

ခရီးခရီး





**№ 2(70) დეკემბერი,
2012**

მთავარი რედაქტორი მანუჩარ კატახიძე
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

**ჟურნალის ამ ნომრის დაბეჭდვა
შესაძლებელი გახდა „მამულის“ დიდი
მეგობრის, ბატონ **ილია ბარამიძის**
უშუალო ხელშეწყობითა და თანადგომით**

ჩვენი მისწრაფება: **ანაწვად-ანაწვადი**
მოზვერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303
ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320
ელფოსტა: mamulusa@gmail.com; www.mamuli.com

**ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია,
დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ
შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს
წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ,
ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.**

საქართველოს ისტორია

- 5 საიუბილე მიმართვა
შალომიანად, ბატონო ოთარ!
- 9 ტავტოლოგია
ცისფერი ეკრანიდან
- 10 ჩემი ბებო -
ნინო რამიშვილი
- 12 ლანა ლოლობერიძე:
რა მხრებით ვზილო ამხელა დარდი!
- 17 ბრძოლა ავტორობისათვის
სადა ხარ ჩემო ვარინკა?!
- 20 „ილუზიონი“ კაბაღონებში
ვისკონტიანა - როკო და მისი ძმები
- 23 რას ვუყურებთ?
ქართული სერიალის სოციოლოგია
- 33 საყმაწვილო ჩანართი
ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვა ქორწილი“
- 37 მარბარიტა, მიზანა და
რეზო გაბრიაძის დიადი სამყარო
- 40 ავვისტოს ომის გმირები
რომან ზოიძე და ალექსანდრე ონიან
- 44 „მოგელანდები“
თბილისის ქუჩებში გამოჩნდა
- 48 ნომრის სტუმარი
იქ ჩემთვის დრო გაჩერდა
- 52 იმობილური საქართველოში
გინახავს ყელის ტბა?
- 54 მასტერკლასი
ბესიკ ხარანაულთან
- 60 პორტრეტები „ფეისბუქიდან“
გაიცანით - ბელა ალანია



სამწიფე-გვერდამ რექსი

ლევან
ფანჩვიძე

მე დაბადიზბრა

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიაღწია სულმა ხატამდი,
მე დამესიზმრა - ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ სეცას ვხატავდი.

როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ განიქცა ქართლი ესოდენ?
მე დამესიზმრა - ვიყავ ილია
და წიწამურთან ტყვიას მესროდენ.

ვარ ვუვლა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატვრის უურემდი,
მე დამესიზმრა - ვიყავ თევდორე
და უიხილბაშებს თავს ხან ვურევდი.

დაფიქრებული მოდის რიონი,
ცა იმერეთის მხიბლავს ტილოთი,
მესიზმრა - ვიყავ ვალაკტიონი
და თვითმკვლელობას ჩემსას ვცდილობდი.

ვერ ვამოვიცან სოფლის იკავი
ბეთლეემის მხრიდან ქრისტეს მოსულამდი,
მე დამესიზმრა - ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.

რამდენი ლექსი დამრჩა უთქმელი,
მოქუხს არაგვად ტალღა სტრიქონთა,
მე დამესიზმრა - ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.

იორის ჰირას ცეცხლი მინთია,
დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა - ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდან.

ვიდრე შემოვა მწუსრი ღამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერწამო, -
მომეცი თაფლი, უნდა წავისვა
და ცოტენესავით შენთვის ვეწამო!



შალონიანად ბრძანდებოდეთ ბატონო მთარ!

ზღაპარით საამოდ შემოვიდა ჩვენს შეგნებაში სიტყვა - ილუზიონი. ბევრმა არც კი ვიცოდით ამ სიტყვის მნიშვნელობა. შემოვიდა მთელი ევროპული ცივილიზაცია თავისი სიანხლით საბჭოურ ცნობიერებაში, რაც რეალიზმის პარამეტრებში არ ეტეოდა და არ ჯდებოდა. არ იყო სტერეოტიპები და კლიშეები, არ იყო ზეაღმატებული პათოსი კაცობრიობის ბენიერ მომავალზე მოფიქრალი გმირების.

კაცობრიობა იყო, როგორ არა, თავისი მარადიული ღირებულებებით, მაგრამ ძალდატანებით თავს არაფერს გახვევდა; კაცობრიობა იყო ადამიანური ყოფის ყოველდღიურობაში, თითოეული კინო-გმირის ცხოვრებაში - მის ტრაგიზმში, მის სარკაზმში, მის დრამატიზმში...

ეს იყო რკინის ფარდის მიღმა არსებული რეალობა, რომელიც ერთმა გონიერმა კაცმა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაში დაამკვიდრა კინოხელოვნების წარმოჩენის ეგიდით.

ამ გონიერ კაცს ოთარ სეფიაშვილი ჰქვია.

მან თავის ტელეგადაცემებში ის მოახერხა, რასაც ვერ მოახერხებდა ვერანაირი პოლიტიკური მოძრაობა, ვერანაირი უკუთქმათა არალეგალური გავრცელება.

ბატონმა ოთარმა მოძებნა ის რაკურსი, რითაც ხელს ვერ შეუშლიდნენ, თუმცადა ხელის შეშლის მცდელობა და სურვილი მრავლად იყო. განა ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს კინო-კლასიკისა? - ისმოდა პირდაპირ კითხვა.

მაგანი და მაგანი აქ ჩერდებოდა, თავის ავრესიას შესაფერისი დროისთვის ინახავდა. ასეთი დრო კი არასოდეს დადგა, ყველაზე თამამი ფილმების ჩვენების დროსაც კი.

„ილუზიონის“ ტელეგადაცემებმა და პირადად ბატონმა ოთარ სეფიაშვილმა ადამიანთა აზროვნებაში მენტალიტეტის ცვლილებას დიდად შეუწყო ხელი. მისი საჯარო ლექციები ამა თუ იმ კინო-კლასიკის გარშემო, ან რეჟისორისა თუ მსახიობის შესახებ იყო უაღრესად აკადემიურ დონეზე შესრულებული და რაც მთავარია მაგანსა და მაგანს არ აღიზიანებდა.

იყო ამ გადაცემებში აზარტიც,

იყო მეტის შემეცნების სურვილიც.

განხილვას ექვემდებარებოდა როგორც კინოხელოვნების მიმდინარეობა, ასევე რეჟისორის, სცენარისტის, მსახიობისა და სხვათა შემოქმედების დეტალები და ბიოგრაფიული ნიუანსები. სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ აქამომდე ეს ყველაფერი სისტემატიზებული არ ყოფილა და ყველაფრის სისტემაში მოყვანა ბატონ ოთარს თავად უხდებოდა. ეს კი ტიტანურ შრომას მოითხოვდა ყოველდღიურად.

მისმა დაუღალავმა ნებისყოფამ ტელეგადაცემა „ილუზიონი“ პოპულარული გახდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში, თანაც მსოფლიოს კინოხელოვნება მოაქცია ერთიან მეცნიერულ სისტემაში... და ეს მაშინ, როცა ინფორმაციული სიმწიერ სუფევდა საბჭოეთში და ვკამყოფილებოდით მხოლოდ იმ ინფორმაციებით, რაც „СОВЕТСКИЙ ЭКРАН“-ში და ქართულ კინოპერიოდიკაში იბეჭდებოდა. თანაც მისი საუბრები უდავოდ მიმზიდველი იყო. ეს შემეცნებითი საუბრები, ხანდახან ჭარბი მონოტონურობაც კი თავისებურ ხიბლს სძენდა გადაცემას და „ილუზიონის“ სავიზიტო ბარათად ქცეულიყო. სწორედ ამაში გამოვლინდა ბატონი ოთარის თავისებურება, მისი სულის ნაწილი ჩაიღო ამ ტელეგადაცემაში და ამით ყველანი მიგვიზიდა თავისკენ, მიგვიზიდა თავისი ნათელი სახისმეტყველებითაც.

წლების მანძილზე იზრდებოდა თაობები მის ნამოღვაწარზე - ერთი გადაიღო ფილმი და თანაც კარგი ფილმი,

მეორეა მოიძიო ეს კარგი ფილმი და გაუშვა ტელეეკრანებზე და მარტო კი არ გაუშვა, არამედ მასზე, ან მის შემოქმედებით ჯგუფზე მოიპოვო ინფორმაცია და ასე სრულყოფილად მიაწოდო ის მაყურებელს. ბატონმა ოთარმა ყველაფერი ეს შესძლო პირველყოფლისა თავისი განსწავლულობით, თანაც ღირებულებას ისიც მატებდა „ილუზიონს“, რომ მასში არ მოიპოვებოდა ჭორების დონეზე შეთხზული ინფორმაცია, ორღობებში რომ უყვებინა ერთმანეთს უსაქმურები. მასში მეცნიერული აკადემიზმით, თანმიმდევრულობითა და ავტორიტეტულ კინომცოდნეთა დამოწმებით განხილული იყო თითოეული გაშვებული ფილმი, თითოეული წარმოდგენილი რეჟისორი და მსახიობი და მთელი კინოპროდუქტის კოლექტივი. იმ აკრძალულშიც გადადიოდა და ისე ოსტატურად, რომ ამას ხაზგასმით არ აკეთებდა, არავის აღიზიანებდა.

ბატონი ოთარი ამას მარტო აკეთებდა, რა თქმა უნდა, ტექნიკურად ტელესპეციალისტები ეხმარებოდნენ, მაგრამ უმთავრესი მის მხრებზე გადადიოდა - ყველაზე სართულო და საპასუხისმგებლო. ერთის მხრივ რთული იყო მაშინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის გათვალისწინებით არამარტო მასალის შეკრება, არამედ თვით ფილმების მოპოვებაც და თანაც ისეთების, როგორებიც არ იყო საბჭოთა კინოგაქირავებაში, ან იყო და აკრძალვის ტაბუ ელო მათ.

თავისთავად საბჭოურ სისტემაში დიდ როლს ასრულებდა ენობრივი ბარიერი. თუ ფილმი დუბლირებული არ იქნებოდა, უცხო ენაზე მათი გაშვება უაზრობა იქნებოდა. მაშინ კაპიტალისტური ქვეყნების ენების ცოდნა დიდი ფუფუნების საგანი იყო და ამ ენებს მხოლოდ ერთეულები ფლობდნენ, ისეთები, ვინც საწინააღმდეგო პარტიისათვის, თუ არადა, მათ მეთვალყურეობდა ფხიზელი ყოვლისმხედველი თვალის.

მხოლოდ ასეთებისთვის, ბუნებრივია, მთელი ტელეგადაცემა ვერც და არც გაკეთდებოდა.

საზღვარზე ფილმების გადმოტანა, მით უმეტეს არალეგალურად, წარმოუდგენელი იყო (ფილმები არ იყო პატარა ვიდეოკასეტებზე ჩაწერილი, ან კომპაქტდისკზე, ასეთი ფუფუნება ჯერ არ იყო გამოგონებული, ან ჩვენ მათზე ხელი არ მიგვიწვდებოდა. ფილმები წარმოადგენდა დიდი დახვეწულ კინოფირების რულონებს სულ მცირე ათი ნაწილისგან შემდგარს. თავისთავად სიმძიმითაც გამოირჩეოდა, განსაკუთრებით ორსერიანი ფილმები).

ბატონ ოთარს შეჯახება უწევდა კონკრეტული კინოფილმების შემოქმედებით ჯგუფებთან მათი საავტორო უფლებების გამო, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხას წარმოადგენდა ამა თუ იმ ფილმის თუნდაც ერთჯერადი გაშვება. ეს კი სახელმწიფოს დააწვევებოდა ჯარიმებად და აქედან გამომდინარე სანქციებად. ამიტომ უნდა გაკეთებულიყო ყველაფერი ისე, რომ იურიდიული საფუძვლით მართალი ყოფილიყო ბატონი ოთარი და თანაც საშუალება მისცემოდა ქართველ მაყურებელს უსასყიდლოდ ყოველგვარი კაბალის გარეშე საღამოობით ჩაერთო ტელევიზორი და ეყურებინა საყვარელი გადაცემისა და კინოშედეგებისათვის. ერთგვარი ხერხი შეიმუშავა ბატონმა ოთარმა, სადაც ხელ-ფეხი ეხსნებოდა და ფილმის საავტორო ჯგუფი ვერა-

ფერს მოითხოვდა ანაზღაურების მაგვარს - საკმარისი იყო ფილმი არასრული სახით ეჩვენებინა, რომ საავტორო ჰონორარებზე მოთხოვნა იქვე შეწყდებოდა, ამასთანავე, ამ კინო-ნაწარმოებებს წამძღვარებული თუ ექნებოდა საკვლევი მასალა. ბატონი ოთარი ამას თავისუფლად ახერხებდა - ყველაზე გაჭიანურებულ ადგილებზე შეაკვეცდა ფილმს მცირე ნაწილს ისე, რომ ფილმის ღირებულება არ წაშლილიყო და თავისუფლდებოდა ერთი თავი პრობლემებისაგან, რომელსაც შეეძლო გამოეწვია არც მეტი და არც ნაკლები საერთაშორისო სკანდალი. ამას კი საბჭოთა ხელისუფლება არავის პატიობდა.

რაც შეეხება ფილმებს, რომლებიც ცენზურამ თაროზე შემოღო აკრძალვის იარაღით და ისინი რუსულად მაინც იყო განმარტებული - ისევ და ისევ მეცნიერული კვლევის ეგიდით და კეთილსმყოფელთა მიერ თვალის დახუჭვის ხარჯზე გამოდიოდა სამშუოზე და მხოლოდ ამის შემდეგ იხსნებოდა ტაბუ და გადიოდა საჯარო ჩვენებებით მთელი საბჭოეთის მასშტაბით. მრავალი ასეთი ფილმი გამოვიდა კინოეკრანებზე ტელეგადაცემა „ილუზიონის“ წყალობით.

ოფიციალური თვით გადაცემის სათაურსაც აღმაცერად უშერდა და ბატონი ოთარი აიძულეს უფრო ბანალური სათაური გამოეძებნა თავისი ტელეპროექტისათვის - „ფილმი, მსახიობი, როლი“. ამ იარაღითაც გამოდიოდა ეს გადაცემა. „ილუზიონის“ დაჩვეულები ერთხანს დაიბნენ, მაგრამ მალევე აუღეს ალლო. თუმცა დაჩვეულები გადამცემის არაერთხელ დახურვასაც, მით უმეტეს, მის ისევ და ისევ აღდგენასაც. საჩივროსნებიც კი წერდნენ საჩივრებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ითხოვდნენ ყოველი დახურვის შემდეგ „ილუზიონის“ აღდგენილიყო. ეს არ იყო მხოლოდ კინოფილმების ან ცნობილი კინომსახიობების სიყვარულით გამოწვეული - ბატონმა ოთარმა ყველას შეაყვარა თავი. საზღვარგარეთული ფილმები (ნებადართულები) საკავშირო, თუ რესპუბლიკური ტელევიზიით ასე თუ ისე მაინც გადიოდა, მაგრამ „ილუზიონს“ და მის მიერ ყურადღებულ ფილმებს თავისი განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა. ახლაც კი, ამ თავისუფალი მედიის პირობებში მსგავსი გადაცემები არ ეწყობა.

დღეს უცხოურ ფილმთა ბუმი, მაგრამ ღირებული ფილმები ცოტაა. წალეკა ტელეეკრანები ე.წ. საკასო ფილმებმა. ინფორმაციებიც ამა თუ იმ მსახიობებზე თავსაყრელად შეიძლის, გნებავთ პრესის საშუალებით, გნებავთ ტელევიზიითა და თუნდაც ინტერნეტ-საშუალებებით, მაგრამ ისე დაწყობილ-დალაგებული და მეცნიერულად შესწავლილი მონაცემები, როგორც ამას ბატონი ოთარი აკეთებდა, აღარ მოგვეპოვება. მათში არის ყველაფერი საპირფარეშო ოთახიდან დაწყებული ინტიმით დამთავრებული, მაგრამ არ არის მთავარი, რითაც ყურადღება უნდა მიაქციო ამა თუ იმ მსახიობს - შემოქმედება, შემოქმედების თავისებურება, შემოქმედების კავშირი მსოფლიო კულტურულ ტრადიციებთან და ამ შემოქმედების განსხვავება სხვათა შემოქმედებისგან.

ბატონი ოთარის ლექციები სწორედ ამით გამოირჩეოდა, ეს იყო მისი ინტერესთა სფერო და ამიტომ გახდა მან „ილუზიონის“ განუმეორებელ გადაცემად არამარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა სამყაროში.

გადაცემის ქუდიც კი გამოირჩეოდა - კოლაჟითა და მუსიკით. ამ ქუდში იდო მთელი იდეა კინოხელოვნებისა. წლების შემდეგ რომ მოვისმინო ეს მუსიკა კინოფილმიდან „ცის ქუხილი“, ამ მუსიკის შემდეგ, ასე მგონია (და სურვილიც მაქვს), ბატონი ოთარის მომდინარე სახე გამოჩნდება, მოგვესალმება და დაიწყებს თავისი კეთილზმოვანებით თხრობას რომელიღაც მიმდინარე ფილმზე. მან შეგვაჩვია საკუთარ თავში ჩაღრმავებას, გვესწავლა სიყვარული, მეგობრობა,

ერთგულება კინოხელოვნების ენაზე.


საკმაოდ შთამბეჭდავი იყო მისი გადაცემა მიძღვნილი ინდური ფილმებისადმი: იმხანად, საბჭოთა გენსეკი იყო ჩასული ინდოეთში, თუ ინდირა განდი ჩამოვიდა საჭოთა კავშირში, გამოცხადდა მთელს ქვეყანაში ინდოეთის დღეები და ყველა ტელევიზია, კინოთეატრები სულ ინდოეთის ფილმებს უშვებდნენ და ინდოეთის შესახებ წერდნენ და უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმებს, იყო კონცერტებიც, სადაც წარმოჩენილი იყო ინდოეთის ფოლკლორი. თავისთავად „ილუზიონსაც“ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. ბატონმა ოთარმა გასაოცარი მოხსენება გააკეთა ინდოეთის კინოზე, საბჭოეთში საკმაოდ კარგად ცნობილ მსახიობ რაჯუ კაპურზე. ფაქტიურად მან თვალი აგვიხილა ინდოეთის კინოზე ზოგადად და მის ფენომენზე. ჩვენ, ასე ვთქვათ, ინდოეთის ფილმებზე ვიზრდებოდით - ყოველ კვირაში ახალ-ახალი ინდური ფილმები შემოდოდა და ბილეთები წინდაწინ იყიდებოდა. ერთი კი იყო, არავინ გვახედებდა მის სამზარეულოში: რით ცხოვრობდნენ, რა მისწრაფებებით, რა სულისკვეთებითა და რა მსოფლგვრებით.

ბატონმა ოთარმა ჩვენი ცხოველი ინტერესი სულ რაღაც ერთი ღამის განმავლობაში დააკმაყოფილა. შემდეგ ნიმუშად გაუშვა საყოველთაოდ ცნობილი ფილმი „ბატონი 420“. მომდევნო გადაცემაში გვესაუბრა ინდოეთის ფილმების სტრუქტურულ თავისებურებებზე, თუ რატომ არის ესა თუ ის მოდელი ინდური კულტურისთვის ესოდენ მისაღები. შეხეო რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებას და გადასწავლა კრიშნაიზმსაც კი. მიმოიხილა მაჰათმა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს შეხედულებები კულტურისა და ხელოვნების შესახებ და გაგვაცნო ახალგაზრდა მუსიკის ინგლისისგან დამოუკიდებელი ინდოეთის პოლიტიკური ვითარება 1947 წლისთვის (როცა ინდოეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამის შემდეგ დღემდე არსებული, ყველაფერი კინოკონტექსტში). ვისაც ყური ჰქონდა და ისმენდა, უთუოდ სხვა თვალთ შეხედავდა ინდოეთის კინო-ფენომენს. საუბრის დასასრულ ნიმუშად გვიჩვენა კ/ფ. „ავარა“.

აი, მიდგომა თავისი გადაცემისადმი ამგვარი ჰქონდა ბატონი ოთარი. არც ერთი ზერეულე და ზედაპირული გადაცემა, არც ერთი ყალბი პათოსი. თუნდაც მისთვის მიუღებელი ფილმი, ან რეჟისორი (გემოვნებიდან გამომდინარე, თორემ მიუღებელი ბატონი ოთარისათვის არც ერთი ფილმი არ არსებობს, უნდაც ყველაზე მღორე ფილმიც) მას უნდა წარმოეჩინა ისე, როგორც ის შევიდოდა მსოფლიო კულტურის საგანძურში და არა ისე, როგორადაც მას ჰქონდა შექმნილი სუბიექტური აზრი.

სუბიექტივიზმის მიღმა არსებობს მარადიული ღირებულებები და ეს კარგად მოეხსენება ბატონი ოთარი. მან ჩვენში განავითარა კინო-ენით აზროვნება, დახვეწა გემოვნება. ამით გვასწავლა საკუთარი პიროვნებისადმი პატივისცემა, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების კულტურა. თავმოყვარობამ (და არა პატივმოყვარობამ) გააჩინა მოთხოვნა უკეთესისადმი და ვეღარ ვგეუბოდით ბანალურ საბჭოური კლიშეებით გაწყობილ ფილმებს. მაყურებელი მომთხოვნი გახდა პირველყოფისა ეროვნული კინოს მიმართ, ყოფილიყო იმ მოწინავე სიმაღლეებზე, რა სიმაღლეებსაც ფლობდა ევროპული კინო.

დიდი ცვლილებები გამოიწვია ჩვენში აკირა კუროსავას ფილმების შემოტანამ და იაპონური კინო-კულტურის გაცნობამ. საბჭოეთში ითარგმნებოდა რიუნასკე აკუტაგავა, მაგრამ მის შემოქმედებას ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევდა, სანამ „ილუზიონში“ არ იქნა ნაჩვენები „რასემონი“. ამ ფილმმა მისცა ბიძგი ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს შეესწავლათ იაპონური ლიტერატურა საფუძვლიანად, ამის შემდეგ ითარგმნა ქართულ ენაზე იაპონური „ტანკები“ (ერთ-ერთი მთარგმნელი მურმან ლებანიძეც გახლდათ) - იაპონური სალექსო მოდელი. ტელეგადაცემა „ილუზიონმა“ გააკეთა სწორედ კულტურათა დახსლოება. თუნდაც თურქული ფილმები (ძირითადად მულოდრამები) შემოვიდა ჩვენში.



ესეც დიდი ღონისძიება იყო კულტურისა და ხელოვნების დარგში და ამას ბატონი ოთარი ახორციელებდა თავისი გონებაგამჭრიახობით.

ასე რომ, „ილუზიონი“ და ოთარ სეფიაშვილი ლამის სინონიმებად იქცა ქართულ რეალობაში და ვისაც კი მისთვის მოუსმენია და მისი ერთი გადაცემაც კი უნახავს, ასეთადვე დარჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.

იგი ისევე უჩუმრად წავიდა ტელევიზიიდან, როგორც უჩუმრად მოვიდა 1981 წლის 1 იანვარს. საბჭოეთი დაინგრა. შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკაც. შიდაპრობლემებმა და კონფლიქტებმა ხალხს გადაავიწყდა, დროებით მაინც, მარადიული ღირებულებები. გამოგვეპარა პოლიტიკურ საზოგადოებას ტელეეკრანებიდან „ილუზიონის“ გაუჩინარება, თითქოსდა მისი საჭიროება გაქრა. არადა როგორ ვიდევით ამ გადაცემის სადარაჯოზე, რათა კომუნისტურ ცენზურას არ გაექრო ჩვენთვის ყოველი შაბათის მოახლოების სიამოვნება. ხალხი ილუზიებიდან ილუზიებში ვცხოვრობდით (კომუნისმის ილუზიიდან გადავინაცვლეთ დემოკრატიის ილუზიებში) და ახლაც ვცხოვრობთ ასე.

ბატონი ოთარ სეფიაშვილი ერთადერთი პიროვნება იყო, ვისაც ღია ეთერის მეშვეობით ხალხი ილუზორული წარმოსახვებიდან გამოჰყავდა და ნამდვილ კინოხელოვნებას აზიარებდა. ეს მაშინ (ახლა მით უფრო) გმირობის ტოლფასი იყო.

ახლა რა, მოგვეძალეა ძველი ფილმების ნოსტალგია და ამ ნოსტალგიის დასაკმაყოფილებლად რემიქსებს ვიღებთ, ან ვყიდულობთ უცხოურ გარემიქსებულ ფილმებს, რომლებსაც არანაირი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. იქამდე, უცხო ენის სწავლის ეგიდით ქართულ ტელევიზიებში სუბტიტრებიან ფილმებს უშვებენ და ვედარც ფილმებს ვუყურებთ და ვედარც მათ წაითხვას ვასწრებთ. ფაქტიურად ჩვენგან გაქრა კინოხელოვნებაცა და წიგნიც, რადგან მასიურად წარმოდგენილი ფილმები არც ფილმებად წერია ენობრივი ბარიერის გამო და არც წიგნად სუბტიტრებიანი თარგმნის გამო, რომელიც საჩქაროდ და სინქრონულად არის შესრულებული და არა პროფესიონალურ ღონეზე. „ილუზიონში“ ყველა ფილმი რუსული დუბლირებით გადიოდა და ცოტა თუ იყო სუბტიტრებით წარმოდგენილი, მაგალითად მიუზიკლები, როგორებიც იყო „შერბურგის

ქოლგები“, „ვესტლსაიდური ისტორია“. დღეს სანატრელი გავიხსენა ეს გადაცემა, საერთოდ, აკადემიზმი დიდ იშვიათობას წარმოადგენს ჩვენს სინამდვილეში, ზოგადად.

ამჟამად ბატონი ოთარი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ჩემი ბავშვობის ცოცხალი ლეგენდა ჩემს სიახლოვესაა. მახარებს და მანებიერებს სატელეფონო მოკითხვებით, სახლში მიპატიჟებებით. მასთან შესახვედრად საგანგებოდ ვემზადები, ვეწვევი და გამთენიისხანამდე ვსაუბრობთ საქართველოზე, მსოფლიო კინოზე, ლეგენდებზე, მის წილ თბილისზე, ხშირად ჩაის თანხლებით, იშვიათად - ლულის თანხლებით.

ჩვენს ჟურნალში „ილუზიონის“ გაცოცხლების იდეაც დიდი მოკრძალებით შევთავაზე, ვიფიქრე, ყოყმანს დაიწყებს-თქო, მაგრამ მან გამიღიმა და სიამოვნებით დამთანხმდა ამ ტიტანურ სამუშაოს შესრულებაზე.

ყველა კონსპექტი, რომლითაც იგი სარგებლობდა, თბილისში ინახებოდა საიმედოდ. კომპანია „ბარამი“ და მისი თავკაცი, ბატონი ილია ბარამიძე დაგვიდგა გვერდში უანგაროდ ამ საშურო საქმეში, რომ ეს ხელნაწერები (რომლებიც 750-მდე გადაცემის კონსპექტია) სრულად ჩამოსულიყო მის ავტორთან, რათა „ილუზიონი“ სასტამბო კაბადონებში გამარადილებულიყო.

82 წლის ამაგდარი კინოხელოვანი, ჩვენთვის ლეგენდალური ოთარ სეფიაშვილი ისევე ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა „ილუზიონზე“ მუშაობას, რათა ისევე საზოგადოების საკუთრებად დააბრუნოს „ილუზიონი“.

დიდი კაცია ბატონი ოთარი, დიდი პიროვნება - ებრაელმა გულით შეიყვარა თავისი მეორე სამშობლო საქართველო, ქართველი ხალხი და თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა. შეგნებულად შეაყვარა ქართველებს კინო, თორემ კინო თავისი გაჩენის დღიდან სპონტანურად ყველამ შეიყვარა, ყველა ოცნებობდა ბავშვობაში ცნობილი მსახიობი გამოსულიყო, მათი ფოტოსურათების კოლექციასაც აგროვებდნენ, მაგრამ ბატონმა ოთარმა ამ სიყვარულს სხვა ელფერი შესძინა - მეცნიერული საფუძველი დაუდო და ცნობიერებაში ჩადო ამ სიყვარულის ღრმა აზროვნება. სიყვარული აზროვნების გარეშე საპნის ბუშტივითაა. ბატონმა ოთარმა ეს სიყვარული ყველა თაობაში გაამყარა და გაამარადიულა. ამიტომ ხმამაღლა და სიამაყით ვამბობ -

შალომიანად ბრძანდებოდეთ, ბატონო ოთარ მრავალჟამიერ!

სვტერმაქერ ჩვენი თან ნაცო მუქამჭვირ რამა ჯრონცო

273 Brighton Beach Ave, Brooklyn, Ny 11235
ბოლქოქბა: 718-646-1225; 718-781-6945



რესტორანი
ნათოქნალი

18
იანვარი,
7 სანაქ



უპრობის ტაბოლობია ნის ზერი მკრანეზიდან

ამას წინათ წერილი დაწერე ქართულ ტელევიზიებზე, დიდი გამოვიდა და ბოროტი. როცა მოვრჩი და წავიკითხე, მივხვდი, რომ ძალიან არაკოლექციონერი ვიყავი. აბსოლუტურად ყველას ვლანძღავდი. ყველას „იმედის“ გარდა, რადგან ისინი ამას ჩემზე უკეთ უკეთებენ საკუთარ თავს. მერე წერილში მოვებზე ყველაზე უწყინარი ნაწილი, ამოვიღე საკუთარი სახელები და ნაწილები დავარქვი.

მოგესვენებათ, ტელევიზია მარტო ინფორმაცია არ არის. იდეაში მას გართობისა და განათლების ფუნქციაც უნდა გააჩნდეს. განათლება - ახლა ტელევიზორია და ძალიან ბევრიც არ უნდა მოსთხოვო, ნუ, ლექციას ხომ არ წავიკითხავენ?! მაგრამ რა განათლებაზეა ლაპარაკი, როცა დღის განმავლობაში ერთი და იმავე არხის სამსხვადასხვა დროს გასულ საინფორმაციო პროგრამაში ბელგიის ქალაქ ლიეჟის სახელი ერთხელაც არ ეთხოვება მის ორიგინალურ დასახელებას?!

კიდევ იმაზე ვლიზინდები, როცა ოფიციალურ პრეტენზია აქვს, რომ ნათარგმნი ფილმებით მოსახლეობას უცხო ენას ასწავლის. რა უცხო ენის სწავლებაზეა ლაპარაკი, როცა მასწავლებელმა მშობლიურიც არ იცის?!

რაც შეეხება გართობას, აქ თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა იყოს: ლლაბუცი ხომ სამი ცენტრალური არხიდან ორის პროფილია?! პირადად მე მათ პროგრამებზე არ მეცინება. მე უფრო იმ გადაცემებზე მეცინება, სადაც, წესით, არ უნდა გავცივდნოს. მაგალითად, საინფორმაციო პროგრამებზე. ისე არ მინდა გაიგოთ, თითქოს ამ პროგრამებში იუმორის წინააღმდეგი ვიყო. პირიქით, ძალიან მომწონს BBC-ს ახალი ამბების წამყვანის ერთი ძველი ხუმრობა, რომელსაც ყველას ვუყვები ხოლმე და არც თქვენთვის დავიზარებ: დიქტორმა მაცურებელს მიულოცა ლონდონში ახალი სავტომობილო გვირაბის გახსნა და დასძინა - დღეიდან ერთი სატრანსპორტო საცობიდან მეორეში ბევრად უფრო სწრაფად მოხვდებით, ვიდრე ამ გვირაბის აშენებამდე.

ღმერთმა დაიფაროს, ჩვენს წამყვანებს ასეთი დონე მოვთხოვო. მათი ძალიან მაღლობელი დავრჩები მხოლოდ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკუთარი სახელების სწორად გამოთქმას შეძლებენ. სიცილით კი მათი კოლეგების მიერ მომზადებულ სიუჟეტებზე გავიციებ.

მაგალითად, ძალიან მამხიარულებენ იმ ბოროტმოქმედების მეზობლები, რომელთა დანაშაულიც კვალიფიცირებულია, როგორც „საზარელი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით“. სამხიაროდ გამოწყობი-

ლი ეს სათნო ქალბატონები კამერების წინ გოცელებს ვერ მალავენ:

- როგორ გეკადრებათ?! მაგას ვინ იფიქრებდა?! ჭიანჭველას არ გაჭყლიტავდა, არა გენაცვალე, ბუზს არ აფერხდა. საერთოდ ისე უყვარდა მწერები, ერთი სკაც კი ჰქონდა და სულ ფუტკრებს ეფერებოდა.

- მარტო მწერები?! უნდა გენახა მცენარეები როგორ უყვარდა. რაღაც პატარა ბუჩქიც კი დარგო სახლის უკან, მოფარებულში, შვილივით უვლიდა. გაგიჟდა კინაღამ ნერვიულობისაგან, უბნის ბიჭებმა რომ დაუკრიფეს.

მაგრამ, სანამ ამ სიუჟეტს გვაჩვენებენ, დანაშაულს დეტალურად აღწერს საინფორმაციო პროგრამის წამყვანი. შემდეგ ის სიტყვას გადასცემს დანაშაულის ადგილზე მყოფ ჟურნალისტს, რომელიც უკვე იქიდან მოგვიყვება ზუსტად იმავე ისტორიას. შემდეგ ეს ჟურნალისტი, თავის მხრივ, ალაპარაკებს ბოროტმოქმედის მეზობელს (მამაკაცს), რომელიც კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ მოგვიყვება ამ ისტორიას, ოღონდ წამყვანისა და ჟურნალისტისგან განსხვავებით, ის დანაშაულს გვართ კი არა, სახელით მოიხსენიებს.

და სწორედ ამ მესამედ მოსმენის შემდეგ, როცა უკვე ზეპირად იცი ავისმქნელის ყველა მზაკვრობა, მობეზრებული გაქვს ეს ისტორია და მზად ხარ ტელევიზორი სხვა არხზე გადავით, სიუჟეტის მსხნელად გვევლინებიან ზემოთ ნახსენები ქალი მეზობლები თავიანთი გამამხიარულებელი კომენტარებით. ამის შემდეგ სიუჟეტს დამთავრებამდე იუმორის მაღალი დონე უჭირავს.

მაცურებლისთვის ამბავი გრძელდება ქუჩაში, რომელიმე გამჭვირვალე შენობის წინ მდებარე კიბეებზე, რომელსაც ხალი-სიანი კუნტრუშით აუყვება ბოროტმოქმედი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების თანხლებით. მერე „ჰუგო ბოსში“ გამოწყობილი ახალგაზრდა სამართალდამცავი მეთხედ მოგვასმენინებს დანაშაულის ისტორიას, ოღონდ ბოროტმოქმედს ეჭვმიტანილად მოიხსენიებს.

და ბოლოს დგება კულმინაცია: დანაშაულის შესახებ აბჯერად მეხუთედ მოგვიყვებიან! და ამას თვით დანაშაულის შემოქმედი გააკეთებს. ყველაზე უცნაური ის არის, რომ დანაშაულის სიძვირის და ამარზუნების მიუხედავად, ჩემი მხიარულე-

ბის ხარისხი იზრდება. ამას კი ძირითადად განაპირობებს ბოროტმოქმედის საოცარი გახსნილობა და მკაფიოდ გამოხატული სურვილი - მაქსიმალურად დაეხმაროს გამოძიებას და ტელემაცურებელს აღუწეროს სასტიკი მკვლელობის ყველა გულისამრევი დეტალი: თუ როგორ არ მოაწვეინა დაზარალებულმა სიგარეტი, რის შედეგადაც დანაშაულზე აფექტში ჩავარდა. ის გაიქცა სახლში, გამოიტანა პურის დანა და მივიდა მომავალ დაზარალებულთან, რომელიც „მერსი როჯით ისევე უბანში აბირავებდა“. მის მოკრძალებულ შეკითხვაზე, რა პრავით არ მაწვეინებ სიგარეტსო, მომავალმა მსხვერპლმა გამომწვევად უპასუხა - არამწვეველი ვარ და არ მაქვსო. ამ თავხედურმა პროვოკაციამ ეჭვმიტანილი საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან. „თავში სისხლი ამიგარდა და დანა დავადრე. თავიდან მეთქი გავაფუჭებ-თქო და ერთი ორი ტრაკში ვხიე, მარა სისხლი რო დავინახე, მივხვდი, რო სპრაველდივად ისჯებოდა და დავაი მუცელში, კისერში, მკერდში. ბოლო-ბოლო დავცა და აკუწვა დავუწყე, თან ვითვლიდი. სულ 362 ნაწილი გამოვიდა. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და იმედი მაქვს, რომ მოსამართლე შეგნებული პიროვნება იქნება.“

ასე მხიარულად დაწვეულ საინფორმაციო პროგრამას, სხვა, არანაკლებ მხიარული სიუჟეტები მოჰყვება ხოლმე. მაგალითად ძალიან მამხიარულებს ქართული საინფორმაციო სერიალი „ახალი საავადმყოფო“. ასევე საკმაოდ ხალისიან განწყობაზე მაყენებს მეორე სერიალი, რომელსაც „მიტინგის დარბევა მოსკოვში“ ჰქვია. მათ ტოლს არ უდებს სიუჟეტები საქართველოს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ, განსაკუთრებით ის ადგილები, რომლებიც „ძალიან მაგარია“. თუმცა, ასეთები ხომ ჩვენ სამშობლოში ძალიან ბევრია! ასე რომ, მხიარული განწყობა თითქმის უწყვეტად გვაქვს გარანტირებული.

სამწუხაროდ, განათლებასთან დაკავშირებით ასეთ მხიარულებას ვერ დაგპირდებით. ჩვენი არხებით ნაჩვენები ფილმები ძალიან ცალმხრივ განათლებას იძლევიან. მათი მეშვეობით სრულფასოვან ინგლისურს ვერა, მაგრამ „ით მაი შით“ და „ბლადი მადა ფაკა“-ს ნამდვილად ისწავლით. და გგონიათ, რომ ვაჭარებებ?



მე დღემდე ვცხოვრობ იმ სახლში, რომელშიც ილიკო და ნინო ცხოვრობდნენ და რომელშიც დაიბადე. ჩემთვის ეს სახლი-მუზეუმი, რომელიც არც მაშინ მივატოვე, როცა ჩემი მშობლები გადავიდნენ.

ბოლო პერიოდში მარტო მე და ნინო ვცხოვრობდით აქ. მასთან ერთად ვიყავი სულ - სახლში, სამსახურში, რეპეტიციებზე, გასტროლებზე. ერთმანეთთან განსაკუთრებით ბოლო 15 წლის განმავლობაში ვემეგობრებოდით - როცა ილიკოს შემდეგ მარტო დარჩა. მას შემდეგ მე ვიყავი მისი თანამემწე, მეგობარი, შვილი, შვილიშვილი, დედა, არ ვიცი, ყველაფერი.

მისი წასვლით ჩემს ცხოვრებაში ისეთი სიცარიელე დარჩა, რომ თითქოს აღარ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა და ვისთვის მეცხოვრა. ყოველთვის ვცდილობდი, რაღაცით გამეკვირვებინა და მესიამოვნებინა ბებიაჩემი. მისი წასვლის მერე კი, ძალიან გამიჭირდა. მაგრამ იმის შეგრძნება, რომ ის დღესაც ჩემ გვერდითაა, სულ მაქვს. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყველაფერს თითქოს უხილავად მას ვუთანხმებ. ზუსტად ვიცი, რა მოეწონებოდა, რა არა და დღემდე მისი აზრი ჩემთვის ბარომეტრია. ხშირად ვამბობ: ბებიაჩემი ამას ასე იტყოდა, ახლა ასე მოიტკეცოდა.

ძალიან დახვეწილი გემოვნების ქალი იყო. ერთი საათი უნდებოდა სარკესთან მომზადებას, სანამ სახლიდან გავიდოდა. რეპეტიციებზე ყოველდღე ძალიან ქუსლებით დადიოდა. მასსოვს, როგორი განსაკუთრებული ჩანთები და ფეხსაცმელები ჰქონდა, როგორი თავსაბურავები. ძალიან უყვარდა სამკაულებიც: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ბოლომდე იყენებდა ამ ყველაფერს.

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მის კარადაში ძროშიალი. ვიცავდი მის ფეხსაცმელებს, ტანსაცმელს, ვიქექებდი მის სკივრში. სარკის წინ ვიდექი მისი სამკაულებით და პრინცესობანას ვთამაშობდი. არასდროს მიბრაზდებოდა.

როცა წამოვიზარდე, სულ გიჟდებოდა, როგორ შეიძლება, ერთი ჯინსით, ერთი მაისურით და ერთი თმის სამაგრით იარო და ისე გახვიდე სახლიდან, სარკეში არც ჩაიხედო.

ბოლო წლებში არაფრით გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, სახე ძალიან დანაოჭებული ჰქონდა, მაგრამ მაინც არ უნდოდა არც გადაჭიმვა, არც არაფერი. როცა ამის შესახებ ეუბნებოდნენ, სულ ანა მანიანის სიტყვებს იხსენებდა: „ნუ მალავთ ჩემს ნაოჭებს, ისინი მე ძალიან ძვირი დამიჯდა“. ნინოც სულ ამბობდა, ამ ყველა ნაოჭს დღე და რიცხვი აქვსო.

ჩვენს სახლში ყოველთვის ძალიან სა-

ინტერესო ადამიანები იკრიბებოდნენ: მასსოვს, სოლიკო ვირსალაძე ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, ასევე ქეთევან მაღალაშვილი - მას ნინოს პორტრეტიც აქვს დახატული. კარგად მასსოვს სესილია თაყაიშვილიც, რომელიც ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა და ასევე ხშირად მოდიოდა ჩვენთან. სვამდნენ ჩაის და უამრავ საინტერესო ამბავს ყვებოდნენ.

საოცრად ქველმოქმედი იყო; ამ სახლში გამუდმებით ვიღაც ცხოვრობდა: ხან მისი მკერავი, ხან მამაჩემის გამზრდელი, რომელიც მოხუცდა და მოვლა სჭირდე-



ბოდა, ხან ჩემი ძიძა. ხშირად ეპატიჟებოდა სადილად ჩვენს მეგობრებს, რომელიც ახალგაზრდობიდან ამ ეზოში მუშაობს. ძალიან უყვარდა ხალხთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მკაცრი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ძალიან თბილი, მოსიყვარულე ადამიანი იყო.

პროფესიაში უკომპრომისო და მომთხოვნი იყო: როგორც მოცეკვავეების, ისე საკუთარი თავის მიმართაც, ვერაფერს გაბედავდა რეპეტიციაზე დაგვიანებას. მოცეკვავეები სულ ფორმაში უნდა ყოფილიყვნენ. მაშინ, ანსამბლის გარდა თითქმის ვერაფერს გადიოდა საზღვარგარეთ და ამიტომ დასს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო და დადებითად წარმოეჩინა საქართველო. ეს ყველაფერი კი ხდებოდა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში, როცა სულ იმის მტკიცება გიწევდა, რომ ქართველი ხარ და არა რუსი, და ეს მაშინ, როცა უამრავი უშიშროების თანამშრომელი დაგყვებოდა, ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც.

ხშირად ამბობდა ხოლმე: მე მებრძოლი ვარ, მთელი ცხოვრება ვიბრძვი. პატარა რომ ვიყავი, სულ მიკვირდა, ნეტავ, რას იბრძვის ეს ქალი-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მართლა იბრძოდა მთელი ცხოვრება, ბოლო წუთამდე იბრძოდა.

მასსოვს, 1990-იანი წლების დასაწყისში, იმ რთულ პერიოდში, ერთ დღეს არ ჩავარდნილა რეპეტიცია. ნინო ყოველდღე დადიოდა სამსახურში, ხელთათმანებით და ქურ-

თუკით იჯდა და ასე ატარებდა რეპეტიციებს, რაც ძალიან დიდი სტიმული იყო ანსამბლისთვის.

გასტროლებისას, ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისას, ხანდახან 10-12 საათი გვიწევდა ავტობუსში ყოფნა. ნინო ერთი წუთით არ მოინებოდა, სარივით გამართული იჯდა: ძალიან ქუსლებით, მაკიაჟით, ასხმული საყურეებით და ბეჭდებით. არასდროს გაგონობინებდა, რომ დაღლილი იყო. ამის შემხედვარე, ახალგაზრდებს უკვე რცხვენოდათ, რამეზე დაეწუწუნათ.

მე და ილიკოს ბავშვობაში არასდროს გვაძალბებდნენ, რომ მათი საქმე გაგვერძელებინა, საერთოდ არ ვიზრდებოდით ამ იდეით, მაინცდათ, რომ ცეკვა თვითონ უნდა მოგინდეს და არა ვიღაცის გავლენის გამო. როცა გადავწყვიტე, რომ ჩემი თავი სცენაზე სერიოზულად გამომეცადა, კაი ხანი ვერ ვუმხელდი ნინოს. დიდი პრეტენზია იყო ეს ჩემი მხრიდან 20 წლის ასაკში და ძალიან ბევრი მუშაობა დამჭირდა, სანამ დასს შევუერთდებოდი.

90 წლის ასაკშიც კი ბუნებით ახალგაზრდა და ნოვატორი იყო, ყოველთვის ძალიან უყვარდა ახალგაზრდებთან კონტაქტი. ჩემი მეგობრები ხშირად მასთან საურთიერთოდ უფრო მოდიოდნენ, ვიდრე ჩემთან. ბოლო პერიოდშიც, ჩვენს ახალ წამოწყებებს ძალიან დადებითად აფასებდა. სულ ამბობდა, ანსამბლი არ არის ცეკვის მუზეუმი, ეს არის ცოცხალი ორგანიზმი და უნდა ვითარდებოდესო.

მასსოვს, ბოლოს როგორ უხაროდა: ვიცი, რომ ეს ყველაფერი საიმედო ხელშიაო. ამბობდა, მე ვიცი, ილიკო გენიოსია და გააკეთებს იმას, რაც მე ვერ მოვასწარიო.

ახლა, როცა კედლებზე მის ფოტოებს ეუყურებ, სულ თვალწინ წარმომიდგება მისი საოცარი ფერის, ვარსკვლავით ანთებული თვალები და სიცოცხლით აღსავსე გამომეტყველება. ამბობენ, ასაკში თვალი ქრებაო, მას არ ჩაუქრა, ბოლომდე ცოცხალი და ხასხასა თვალები ჰქონდა; ძალიან ლამაზი, ღრმა და თითქოს უკიდევანო.

ბოლო წლებში არაფრით გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, სახე ძალიან დანაოჭებული ჰქონდა. როცა ამის შესახებ ეუბნებოდნენ, სულ ანა მანიანის სიტყვებს იხსენებდა: „ნუ მალავთ ჩემს ნაოჭებს, ისინი მე ძალიან ძვირი დამიჯდა“. ნინოც სულ ამბობდა, ამ ყველა ნაოჭს დღე და რიცხვი აქვსო.




„როს მხრებით ვზიღო ახელა დარდი“

„ანიის სანაპიროები“ - ასე ჰქვია ანიეს ვარდას ავტობიოგრაფიულ დოკუმენტურ ფილმს, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფრანგული ოსკარი, ანუ „ცეზარი“ მიიღო.

„სასაცილოა იდეა, დადგა და გადაიღო შენი ავტობიოგრაფიკი, როდესაც უკვე 80 წლისა ხარ. ეს იდეა დამბადა ერთხელ ნუარმუტიეს პლაჟზე, როდესაც გავი-აზრე, რომ სხვა სანაპიროებმაც დააჩნიეს დალი ჩემ ცხოვრებას, - წერს ავტორი, - ზღვის სანაპიროები იქნენ ფილმის ბუნებრივ საბაბად და თავებად. ბევრ მოხუცს აქვს სურვილი, მოჰყვეს თავისი ცხოვრების ამბავი, მეც ასევე. მომიხდა, გადავცე ჩემ ახლობლებს და ზოგიერთ სხვასაც ჩემი ცხოვრების ფაქტები და ნამუშევრები“.

ამ სურვილების შედეგი - უცნაური, ძალიან სუბიექტური და თავისებური ფილმი, ფანტაზიის, წარმოსახვის, ირონიის და რეალობის ნარევი. „ჩემ ერთ-ერთ ფილმში მე ერთი წუთით გამოვჩნდი ეკრანზე. აქ პირდაპირ წყალში გადავუშვი და ვითამაშე საკუთარი თავი. ჩემს აზრებს, რომლებიც ახლოსა სინამდვილესთან, კვთის სკეტ-ჩემი, სადაც მე ღიად ვითამაშობ როლს. მომწონს, ვიყო ცოტათი მასხარა, რაც მამლევს გაუცხოების საშუალებას“.

ჩრდილოეთის ქარიანი, უსასრულო და უკაცრიელი სანაპირო, კამერა აღბეჭდავს 80-ოდე წლის, პატარა, „ჩოლკიან“ საკმაოდ ჩასუქებულ ქალს, ჩაფართხუნებულ სამოსში, ის მოდის კამერისკენ და ლაპარაკობს ფილმის მიხეზებზე და თავის თავზე, რომელსაც მოიხსენიებს, როგორც „ერთ ენაჭარტალა მოხუც ქალს“, რაც უკვე თავისთავად განსაზღვრავს სურათის ირონიულ ინტონაციას და მაყურებელსაც ნდობით განაწყობს მომავალი ფილმის მიმართ... და ისევ ის უსასრულო ქარიანი სანაპირო და ადამიანები, ვარდა და მისი თანამშრომლები, რომლებიც ებრძვიან ქარს, რათა დადგან პლაჟზე, ანუ დაამაგრონ სხვადასხვაგვარ კონსტრუქციებზე სულ სხვადასხვაგვარი სარკეები, დიდი და პატარა, მრგვალი, მოგრძო, თუ ოვალური, ძველებურ, ხშირად მოხატულ ჩარჩოებში ჩასმული... და ამ მოულოდნელ ადგილას დამაგრებულ სარკეებში რაღაც უცნაურად აისახება თვითონ ავტორი, და სხვები, და ზღვა, და სანაპირო... ერთდროულად რეალური და არარეალური სამყარო. და ასეთია მთელი ფილმიც. ირონიული, ღრმა, გულწრფელი, თამამი. „ენაჭარტალა მოხუცი“ ჰყვება თავისი ცხოვრების ისტორიას - თავისივე ფილმების კადრებით, დღე-




ვანდელი გამოსახულებით, თავისი, ძველი და ახალი, ფოტოებით... და სიტყვით. „კინოს ერთ-ერთი მიზანი - ოცნებების გაცოცხლება“ - ამბობს რეჟისორი. ზღვის პირას ქალის და კაცის შიშველი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული სხეულები... ისევ ზღვის პირას, ერთმანეთისგან მოშორებით, სილაში მოთამაშე ბავშვი და ზღვისკენ მიბრუნებული კაცი, და ავტორის ტექსტი: მე ისინი ყოველთვის მაინტერესებდნენ - მოთამაშე ბავშვი და კაცი, რომელიც ვაჭყურებს ზღვას. თვითონ ვარდა კი თამამად დაბიჯებს ეკრანზე, ხან შავად შეღებილი და ხან ნახევრად თეთრი თმით, ხან ფართხუნა შარვლით და ხან ეგზოტიკურ, მდიდრულ, აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი, და ყველა საშუალებით ჰყვება თავის თავგადასავალს, თავისი ფოტოგრაფობის ისტორიას ჟან ვილართან, ჟერარ ფილიპთან მუშაობის ამბებს, თავისი სიყვარულის და ოჯახური ცხოვრების ისტორიას „შერბუხის ქოლგების“ ავტორ ჟაკ დემისთან, რომელიც თურმე - იმ დროს ეს საიდუმლოებით მოცული სიკვდილი იყო - შიდასით გარდაიცვალა.

„სიყვარულის ეს მშვენიერი ამბავი, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი, ბუნებრივად ჩაჯდა ჩემი კინემატოგრაფიული ცხოვრების ისტორიაში და ამ ფილმში“. მოშიზველელი და დასამასხვრებელი პლანი: ვარდა, რომელიც იყურება კამერაში და თან უკან-უკან იხევს, ასეთი კადრი რამდენჯერმე მეორდება, ხან პლაჟზე, ხან

ქუჩაში, ხან გადაღების მოედანზე. „ეს ფილმიც ხომ თავისებური უკან დახევია“, - ამბობს თვითონ. და კიდევ ერთი თავისებური პლანი - მისი ოჯახის წევრები, ორი შვილი და ოთხი თუ ხუთი შვილიშვილი, ყველანი თეთრებში, მოძრაობენ ეკრანზე, რაღაც ჯგუფებს ქმნიან და იშლებიან და მათ შორის - ანიესი, შავებში, ისიც მოძრაობს ამ თეთრი ჯგუფის ფონზე და თან გვესაუბრება: ესენი ჩემი ოჯახის წევრები არიან, მე არ ვიცი, ვიცნობ თუ არა მათ და მესმის თუ არა მათი, უბრალოდ ეს ჩემი ბედნიერებაა.

ანიეს ვარდას ჩემს წინა ცხოვრებაში ვიცნობდი. ჯერ როგორც რეჟისორს, მისმა პირველმა ფილმმა „კლეო ხუთიდან შვიდამდე“ ნამდვილი დალი დააჩნია ჩემი თაობის კინემატოგრაფისტებს. მერე ვხვდებით ფრანგი რეჟისორის და ქართველი რეჟისორების დიდი მეგობრის - პასკალ ობიეს სახლში. პასკალი - გახმაურებული ფილმის „ვალპარაიზოს“ ავტორი, დიდი, ზონზროხა და დღეს უკვე ძალიან ღიპიანი, 70-იან წლებში ნამდვილი „შარმიორი“ იყო - მაღალი, ლამაზი, ნიჭიერი, კარგი მოსაუბრე, ტიპური ფრანგი ბონვიანი... მიმზიდველია მისი წარმომავლობაც - ბაბუა - წიგნების ცნობილი გამომცემელი, დედა - მსახიობი, ახალგაზრდა პასკალს თავის მეგობრებთან - ჟერარ ფილიპთან და მარია კახარესთან ერთად აკითხავდა ხოლმე თავგადასხდილი მანქანით კონსერვატორიაში, (მოგვიანებით სამივე ერთად ჟან ვილარის თეატრის მსახიობები გახდნენ); მათ სახლში, რომელიც ლუქსემბურგის ბაღს გადაჰყურებს, უკრავდა დიუკ ელინგტონი. სრულიად არავეროსებულად სტუმართმოყვარე პასკალის ჰობი, წინათაც და ახლაც - საჭმლის მომზადება და მრავალრიცხოვანი მეგობრების მიღებაა. უნდა ნახოთ, რა გატაცებით და რა შესანიშნავად, როგორც ნამდვილი გურმანი და შემომქმედი, აკეთებს, და ხშირად იგონებს, თხზავს სხვადასხვა კერძს, მისი სახლი სავსეა ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი სუნელებით, და მათ შორის ყოველთვის მოიპოვება სვანური მარილი!

სასაცილო ისაა, რომ პასკალს სამი ცოლი ჰყავდა და არც ერთმა არაფრის გაკეთება იცოდა; არ ვიცი, ამ ნიშნით არჩევდა ის თავის ცოლებს, რომ არავის შეეძალა მისთვის ხელი საყვარელ საქმეში, თუ ქალები სიამოვნებით ესადაგებოდნენ ქმრის მიდრეკილებებს. ყოველ შემთხვევაში, ყველა წვეულებისას, რაც ძალიან ხშირად



■ მიუღლესთან,
ლადო ალაძე-
მესხიშვილთან
ერთად



■ „როცა აჩვენებდა
ნუში“ გადაღებისას

იმართებოდა, და იმართება დღესაც, მათ ოჯახში, ყოველი ცოლი ფეხი-ფეხზე გადადებული ზის, წინსაფარაფარებული პასკალი კი სამზარეულოში ტრიალებს.

ის ბევრჯერ ყოფილა საქართველოში, უკანასკნელად შარშანდელი ზაფხული თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად კვარიათში გაატარა, ჩვენს მიერ ამორჩეულ სახლში, იქიდან ვიღაცის დაყენებული ღვინოც ჩამოიტანა, რომელსაც დღემდე განსაკუთრებით უფრთხილდება და არავის ასმევს. საქართველოში მან კიდევ ერთი ჩვევა აითვისა - სადღევანდელი წარმოთქმა, და უნდა ნახოთ, რა ოსტატურად დაეუფლა ამ ხელოვნებას. აი, ამ პასკალთან გზვდებოდი ანიეს ვარდას, ისევე, როგორც იმ დროის ფრანგული კინოს სხვა ცნობილ წარმომადგენლებს... და თუმცა მაშინ ანიესიც გარეგნულად სხვანაირი იყო, ალბათ, უბრალოდ ახალგაზრდა და თხელი, მე ეკრანზე დღესაც ზუსტად ის ადამიანი დავინახე - ცოცხალი, ირონიული და ყველაფრისადმი ინტერესით სავსე. და ჩემთვის კიდევ ერთხელ გამოვიტანე დასკვნა, რომ „დროის მსახურალი ხელი“ არცთუ აუცილებლად სწვდება ყველა ადამიანს, უფრო ზუსტად, შეიძლება ისე წახვიდე ამ ქვეყნიდან 80 თუ 90 წლის ასაკში, რომ მოხუცის სტერეოტიპად არ იქცე.

* * *

დღეს რამდენიმე საათი კონკორდზე, ანუ „თანხმობის მოედანზე“ გაატარე. დავდიოდი, ვკითხულობდი, ვფიქრობდი... კონკორდი - ეს მთელი სამყაროა, და ის ყოველთვის ახლად მხიბლავს - თავისი განსაკუთრებული სინათლით, შადრევნებითა და სკულპტურებით, მწვანისა და ოქროსფერის შესაბამის, ხედვებით - ტრიუმფალური თაღისა და მადლენისაკენ, და, რაც მთავარია, სივრცის უსაზღვრობით, რასაც, თურმე, სრულიად გარკვეული ახსნა აქვს: ის ერთადერთი მოედანია მსოფლიოში, რომელიც არ არის შენობებით შემოზღუდული და ღიაა სამი მხრივ, მანზელიზეს, ტიუილრის ბაღებისა და სენის მიმართულებით. და სწორედ ეს გახსნილობაა მისი მთავარი თვისება, მისი ხიბლი. აქ ყოველთვის მეუფლება ჰარმონიულობისა და სიმშვიდის განცდა...

მაგრამ წარსული?

მაგრამ გილიოტინა?

1793 წლის 16 ოქტომბერი.

მაშინ ამ მოედანს „რევოლუციის მოედანი“ ერქვა. მის შუაგულში გილიოტინა იდგა. 16 ოქტომბრის დღე იყო ნათელი, მაგრამ ცივი. 11 სათზე მარია-ანტუანეტა გამოიყვანეს კონსიერჟერიდან „მაისის ეზოში“ - სადაც მას ტალახიანი ეტლი ელოდებოდა. ჯალათმა მიუთითა ადგილი, სადაც უნდა დამჯდარიყო. თვითონ მის უკან დაჯდა. ეტლი ნელა მიგორავდა

კონკორდისკენ, გზაზე უძრავი ხალხი ხედებოდა, მაგრამ არ ისმოდა არც ყვირილი, არც ლანძღვა, ჩურჩულიც კი. 30000 ჯარისკაცი ქმნიდა მთელ გზაზე ცოცხალ ლოხვს. მხოლოდ სენტ-ონორეს მისასვლელთან გაისმა სიძულვილის შეძახილები. ლუერის პირისპირ დედის ხელში მოკალათებულმა ბავშვმა კოცნა გაუგზავნა. დედოფალს თვალები ცრემლებით ავესო. ეტლი რევოლუციის მოედანზე შემოგორდა. მარია-ანტუანეტა ადიოდა ეშაფოტის კიბეზე, ასვლისას შემთხვევით ფეხი დააბიჯა ჯალათის ხელზე, მისი ბოლო სიტყვები იყო: „მაპატიეთ, ბატონო, მე ეს განგებ არ გამოკეთებია“. მერე ყველაფერი ჩვეული თანმიმდევრობით მოხდა. 12 საათსა და 15 წუთზე რიტუალი დამთავრებული იყო. ჯალათმა თმებში ჩაავლო ხელი მარია-ანტუანეტას თავს და აჩვენა ბრბოს, რომელმაც შესძახა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“

იგივე გზა რამდენიმე თვით ადრე ლუდოვიკო მე-16-მ გაიარა. 1793 წლის 21 იანვარს ის გახდა რევოლუციის პირველი მსხვერპლი. ისტორიაში დარჩა მისი ჯალათის, სამსონის წერილი, დაწერილი 1793 წლის 20 თებერვალს:

„როდესაც მივიდა გილიოტინის ფეხთან, იკითხა, შეწყდებოდა თუ არა დოღების ბრახუნი. სანამ ხდებოდა მისი მიბმა ფიცარზე, დაივირა: „უდანაშაულო ვარ“. მერე მოგვიბრუნდა ჯალათებს: „ბატონებო, მე უდანაშაულო ვარ ყველაფერში, რასაც მატრალეებენ. ვისურვებდი, რომ ჩემმა სისხლმა შეადუღებოს ფრანგების ბედნიერება“. მეფემ აიტანა ეს ყველაფერი სიმშვიდით და სიმტკიცით, რომელმაც ყველა გააკვირვა. მე მჯერა, რომ ეს სიმტკიცე მან იპოვა რელიგიის პრინციპებში, რომელთაც მასავით არავინ ჩაწვდომია“.

რა საინტერესოა, არა, როგორ და რა სიტყვებით ლაპარაკობს ჯალათი თავის მსხვერპლზე. ამ წერილში თანაგრძნობაც იკითხება მეფის მიმართ, მოწიწებაც და პატივისცემაც. როგორ ეხამება ეს გრძობები თვითონ თავის მოკვების ფაქტს?

წლების მერე აღექსანდრე დოუმა, მამა, რომელსაც უნდოდა ცერემონიის დეტალების დაზუსტება, შეხვდა სამსონის (ჯალათის) შვილს და შემოუხანა ისტორიას ამ საუბრის ჩანაწერი: „რა მოხდა მეფესა და თქვენი მამის დამხმარეთა შორის? - დიან, მე შემიძლია გიპასუხოთ, მე იქ ვიყავი... როცა მეფე მიიყვანეს ეშაფოტთან, ხელები თავისუფალი ჰქონდა. ერთი დამხმარე ელოდა თოკით ხელში, მეორემ უთხრა: აუცილებელია შეგიკრათ ხელები. - არასოდეს! - შესძახა მეფემ, - არასოდეს! და თოკიან კაცს ხელი ჰკრა. სამი დანარჩენი მეფესთან მიიჭრა. მაშინ მამაჩემი მიუახლოვდა და დიდი მოწიწებით

უთხრა: მხოლოდ ცხვირსახოცი, თქვენო უდიდებულესობავ. ამ მიმართვაზე - თქვენო უდიდებულესობავ, რომელიც დიდი ხანია, აღარ გაეგონა, ლუდოვიკო მე-16 შეკრთა და თქვა, - კარგი, იყოს ასე. ღმერთო ჩემო, ესეც! - და გაუწოდა ხელები დასაბმელად“.

მადამ დე სტალი ასე აფასებს ლუდოვიკო მე-16-ეს პიროვნებას:

„ამ კაცმა, რომელსაც აკლდა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ძალა, სითამამე - მტრების მოსაგერიებლად, კაცმა, რომლის ბუნებრივად მორცხვმა გონებაში ვერც საკუთარი იდეები გაიჩინა და ვერც სხვათა ნაზრვის ათვისება შეძლო, ტანჯვისა და ღირსეულად სიკვდილის გასაკვირი უნარი გამოამჟღავნა“. მე ეს სიტყვები ბევრის მოქმედლად მიმაჩნია და მეფისა და დედოფლის გოლგოთას გზა კიდევ ერთხელ მაფიქრებს იმაზე, რა რთული და წინააღმდეგობრივია ადამიანის ბუნება და რამდენი, ერთმანეთის გამომრიცხავი თვისების დატევა შეუძლია მას.

ბინდდება. მე ისევ კონკორდის მოედანზე ვარ... რევოლუციის დროს გილიოტინის აქ აღმართვით ის რევოლუციის სისხლიან თეატრად იქცა. ამ მოედანზე თავი მოკვეთეს 1119 ადამიანს. უკანასკნელად, 1794 წლის 28 ივლისს - რობესპიერსა და მის მეგობრებს.

გილიოტინა... საინტერესოა, და რაღაც გაგებით, შემზარავიც ამ სახელწოდების წარმომავლობა. 1789 წელს ცნობილმა ექიმმა ჟოზეფ იენას გილიოტინმა პარლამენტში ორჯერ ხოტბა შეასხა თავის მოკვეთის ახლად გამოგონებულ მექანიკურ მეთოდს, როგორც უფრო ჰუმანურს, ჩამოხრჩობასა და ნაჯახით თავის მოკვეთასთან შედარებით. გილიოტინი თვლიდა, რომ ახალი მექანიზმი უზრუნველყოფდა დასჯის მყისიერებას, რაც ღირსეული სიკვდილის აუცილებელი და აბსოლუტური პირობაა; თავისი ჰუმანური პროფესიიდან გამომდინარე, ის ცდილობდა, დაერწმუნებინა კანონმდებლები, უარი ეთქვათ ნაჯახით თავის მოკვეთისა და ჩამოხრჩობის ტრადიციაზე, რომლებიც სიკვდილმისჯილს დამატებით წვალებას აყენებდა; ის ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ შეძლო კიდევ დეპუტატთა დარწმუნება. ახალმა მეთოდმა შეცვალა ძველი, მაგრამ საბოლოოდ ეს გამარჯვება ჰუმანისტი ექიმისთვის პარადოქსულად ტრაგიკული შედეგით დასრულდა: თავის მოკვეთის ამ ახალ მექანიზმს მისი სახელი დაერქვა, რის გამოც, საწყალი გილიოტინი მთელი ცხოვრების მანძილზე ღრმა სინანულს გამოთქვამდა.

მაგრამ დასრულდა ტერორის ბნელი ეპოქა და 1795 წელს რევოლუციის მოედანმა შეიძინა თავისი ბევრისმოქმელი სახელი: კონკორდი. ანუ თანხმობა. მერე

სხვა მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა: 1831 წელს ეგვიპტის მეფემ მადლიერების ნიშნად აჩუქა საფრანგეთს ლუქსორის ტაძრის ობელისკი, ფრანგი მეცნიერის - შამპოლიონის - მიერ იეროგლიფების გაშიფვრის აღსანიშნავად; ლუდოვიკო-ფილიპე პირველმა კი გადაწყვიტა მისი დადგმა კონკორდის მოედანზე, რადგანაც „ის არ ვაგვახსენებს არც ერთ პოლიტიკურ მოვლენას“. ასე აღმოჩნდა კონკორდის შუაგულში ეს 3300 წლის ასაკის, 23 მეტრის სიმაღლის, რამზეს მეორეს მადიდებელი იეროგლიფებით მოკაზმული, ვარდისფერი გრანიტის უმშვენიერესი მონოლითი, რომელიც ისეა აქ შერწყმული სივრცესთან, თითქოს, შორეულ ეგვიპტეში კი არა, არამედ პირდაპირ აქ, ამ ადგილას გაჩნდა, გაჩნდა იმისათვის, რომ სამუდამოდ დავიწყებას მისცემოდა რევოლუციური ტერორის ავბედითი წლები და თვითონ მოედანი ადამიანთა და ერთა შორის ურთიერთგაგების სიმბოლოდ ქცეულიყო.

და აი, დღეს, შენ დგახარ კონკორდზე და შეიძლება არც იცი, რომ სამი საუკუნის წინ ამ მოედანზე ცვიოდა ადამიანთა მოკვეთილი თავები და ამას ათასობით დამსწრე აღფრთოვანებით ხვდებოდა; მაგრამ თუ სალამოხანს, ბინდში იდგები დიდხანს, ზუსტად აქ, ამ ადგილას, უსათუოდ იგრძნობ რაღაც გაუგებარ თრთოლვას და იქნებ მოგელანდოს კიდევ თავის მოსაკვეთად მიმავალი, ლამაზმანი და გართობის მოყვარული დელოფალი, რომელიც სიკვდილის პირას წარმოთქვამს თავისი ცხოვრების ყველაზე გასაცარ სიტყვებს, ჯალათისადმი მიმართულს: „მაპატიეთ, ბატონო, მე ეს განგებ არ გამიკეთებია“. მაგრამ ამ მოლანდებს მაშინვე გადაფარავს სილამაზისა და ჰარმონიულობის განცდა. და შენ მთელი არსებით შეიგრძნობ მშვენიერებას, რომელიც ასე ხშირად არის გადაჯაჭვული ტრაგედიასთან, აკვირგვინებს მას და იქნებ ამის გამო თვითონაც უფრო ღრმა, ბევრის დამტვევი და მიმზიდველი ხდება.

მშვენიერება, როგორც ტრაგედიის გვირგვინი!

* * *

ამ ფიქრებში ჩაფლული ვბრუნდებოდი სახლში და უეცრად თვალწინ დამიდგა ჩვენი ქვეყნის ავბედითი წლები, ჩემი ბავშვობის, და მართო ბავშვობის კი არა, ალბათ, მთელი ცხოვრების უმძიმესი დღე, რაჟდენ-ბიძას დაპატიმრების დღე. მაშინ 13 წლისა ვიყავი, და მიუხედავად იმისა, რომ უკვე განცილილი მქონდა მამის და დედის დაჭერა, მაგრამ ეს სულ ადრეულ ბავშვობაში მოხდა, 6 და 7 წლის ასაკში, როცა ამ მოვლენის ბოლომდე გააზრებაც არ შემეძლო. და აი, ახლა, რაჟდენ-ბიძა! - ადამიანი, რომელიც უმშობლოდ დარჩენი-



■ „გი ვხედავ ვხის“
გადასალეხ მიქელანჯო

ლი ბავშვის თავდავიწყებით მიყვარდა, რომელიც ჩემთვის მამაც იყო და დედაც, და კიდევ ბიროვნება, რომელსაც ვეთაყვანებოდი. ყოველ წუთას მასთან ერთად მინდოდა ყოფნა, ეს იქნებ წინათგრძნობაც იყო და შიშიც, რომ მასაც უსათუოდ წამართმევდნენ!

როცა ის ბათუმში მიდიოდა ლექციების წასაკითხად, მე მთელი დღეები ჩვენს პატარა რკინის აივანს ვაფარებდი თავს და ვტიროდი. როცა ის იჯდა თავის უზარმაზარ (როგორც მე მეჩვენებოდა მაშინ) საწერ მაგიდასთან და წერდა, მე იქვე მიუჯდებოდი და ასე ვამზადებდი გაკვეთილებს, ან ვკითხულობდი. როცა, თავისი ჩვეულებისამებრ, ოთახში ბოლოს

სცემდა, მე მაშინვე ფეხებზე შევადგებოდი და ის, ყველასთან მკაცრი და შეუვალი, სტუდენტების რისხვა, მე, მის „მავტუნა გოგოს“, ვერაფერზე მეუბნებოდა უარს, იძულებული ხდებოდა აეტანა ეს ახირება, შემოეხვია ჩემს მხრებზე ხელები, ჩემთან ერთად ევლო ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში და ასეთ უცნაურ მდგომარეობაში ეფიქრა. ეფიქრა წიგნებზე და ფიზიკის სახელმძღვანელოებზე, რომლებსაც წერდა. მე გვიან მივხვდი, რომ ბავშვური ეგოიზმით უბრალოდ სიცოცხლეს არ ვაცლიდი, ის კი უღრტვინველად იტანდა ყველაფერს, ვინაიდან, ალბათ, მასაც ჰქონდა წინათგრძნობა, რომ იმ ბნელ ქვეყანაში ეს იდილია ობოლ ბავშვსა და მრავალჭი-

რგამოვიღე 55 წლის კაცს შორის დიდ-
ხანს ვერ გაგრძელებოდა...

ან იქნებ ეს წინათგომობაც არ იყო,
იქნებ მან უბრალოდ იცოდა, რაც ელოდა,
ვინაიდან იყო ცნობილი გერმანოფილი,
მის დიპლომს აინშტაინისა და პლანკის
ხელმოწერები ამშვენებდა, ეს კი ნამდვილი
დანაშაული იყო ჩვენ ასეთ „პროგრესულ“
ქვეყანაში, განსაკუთრებით გერმანიასთან
ომის დაწყების შემდეგ. იცოდა, რაც ელო-
და, ვინაიდან ესმოდა სისტემის არსი...

ვფიქრობდი რაჟღენ-ბიძაზე და უცებ
გონებაში ამომიტივტივდა ლექსი, რომელიც
დავწერე მისი დაპატიმრების დღეს. საკვირ-
ველია, ახლა პირველად მომინდა ამ ჩემი
პირველი ლექსის სხვებისთვის განდობა.
აქამდე ის ჩემი, და მხოლოდ ჩემი საი-
ღუმლო იყო; ან უბრალოდ თვითონ ლექსს
არ ვანიჭებდი არავითარ მნიშვნელობას.

დღეს კი მან უცებ ჩემთვის დოკუმენ-
ტის ძალა შეიძინა, შავნელი დროის მამხი-
ლებელი დოკუმენტის ძალა.

და რაკი ვფიქრობ, რომ გამოქვეყნების
ღირსია ყველაფერი, რაც იმ ეპოქაზე ლაპა-
რაკობს, რომ დღევანდელმა ბავშვებმაც უნდა
გაიგონ, რა იყო ეს მოვლენა, ეს „საბჭოთა
კავშირი“ სადაც იცხოვრეს მათმა მშობ-
ლებმა და ბებია-ბაბუებმა, ამიტომ ვუბრუნდე-
ბი მას:

მოდი, მიშველე, მითხარი რამე,
თვალზე გააშრე ცრემლი ფარული,
მოდი, განდევნე ბოროტი ღამე,
შიგნით სხეულში შემოპარული.
ო, როგორ მტანჯავს ავი სიცივე,
ვის დაეუშავე, რა დაეუშავე,
როგორ მაშფოთებს სხვების სიცილი,
როგორ შემოდის გულში სიშავე.
უმთვარო ღამე მემახის უხმოდ,
ჩემებრ ეული ფეხზე მეხვევა,
გულს, ნაიარევს თავისკენ უხმობს,
როგორც ნუგეშის ფრთხილი შეხება.
რადგანაც დავრჩი მასავით მარტო,

მე, რაჟღენ-ბიძას „შავტუხა ვოგო“,
რა მხრებით ვზიღო ამხელა დარდი,
ანდა უმისოდ ვიცხოვრო როგორ.

ვიცი, დავკარგე მე მოსვენება,
აქ, სახლშიც ვხედავ
კედლებს ციხისას,
მხოლოდ ეგ სახე, ვით მოჩვენება,
აღმობრწყინდება, როგორც თილისმა.
ბნელ სუღარაში მთლად გავხვევი,
გულშიც ჩამდგარა უნათლო ღამე,
ელვა ელვარებს, თავზე მეხია,
ო, მანუგეშე, მითხარი რამე.

მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვის მივ-
მართავდი და ვისგან ველოდი ნუგეშს! ის
განცდა კი მახსოვს, რომ ჩემს პირისპირ
ვხედავდი საშინელ ურჩხულს, რომელიც
ჩემი უსაყვარლესი ადამიანის გადაყლაპ-
ვას ღამობდა!

და ეს აღსრულდა კიდევ, ვინაიდან იმ
დღეს რაჟღენ-ბიძა მართლაც საშუალოდ
დავკარგე - ის რამდენიმე თვის მერე ცი-
ხეში გარდაიცვალა ღიზინტერით.

* * *

კალდერისა და კანდინსკის გამოფენა
ბობურში, ანუ პომპილუს ცენტრში. კალდე-
რი, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი
საქართველოში...

პირველივე დარბაზიდან მოვიხიბლე
მისი სრულიად განსაკუთრებული სამყა-
როთი, ამ „რკინის ძაფებით“ შექმნილი
და ასეთი მეტყველი ფიგურებით და პორ-
ტრეტებით. 1926 წელს ეს ახალგაზრდა
ამერიკელი დასახლდა პარიზში. ეს იყო
„გიჟური წლები“ ეპოქა, როდესაც საფ-
რანგეთის სრულიად კონსოპოლიტურ დე-
დაქალაქში თანაარსებობენ პაბლო პიკასო,
სალვადორ დალი, ამაღლო მოდილიანი, კონ-
სტანტინ ბრანკუჩი...

განათლებლით ინჟინერი და მოწოდებით
მხატვარი კალდერი ჩქარა მონაპარნასის
ბოჰემის წევრი გახდა. მან ადრიდანვე
მიავნო რკინის, როგორც სკულპტურისათ-

ვის შესაფერისი მასალის შესაძლებლო-
ბებს, დემონსტრაციულად უარყო ქანდაკე-
ბისთვის ტრადიციული ბრინჯაო და მარ-
მარილო და თავისი ფიგურებისთვის მა-
სალად მხოლოდ რკინას, ნაჭერს, თოკს,
ხეს და მავთულს იყენებდა.

და ეს მართლაც საკვირველი სანახა-
ობაა! ეს რკინის ძაფებით „გამოძერწი-
ლი“, ჰაერში დაკიდებული, გამჭვირვალე,
მთრთოლვარე ფიგურები და პორტრეტე-
ბი, რომელთაც თანამედროვეებმა დაარ-
ქვეს „ნახატები სივრცეში“. ჟაკ პრევერი
ამბობდა მის შესახებ:

„ეს გიჟმაჟი ინჟინერი გაუგებარი საშუ-
ალებებით აწყობს ცხოვრების დღესასწა-
ულებს“. სარტრი აღიქვამდა მის უცნაუ-
რად მოძრავ მავთულის სხეულებს, როგორც
„ადგილობრივ დღესასწაულებს“. მირო
ეძანდა „ჯირკვს მერცხლის სულით“.

და ბოლოს, მისი შემოქმედების კულმი-
ნაცია - ცირკი! კალდერამდე ტულუზლოტ-
რეკმა თუ პიკასომ და ბევრმა სხვამ, ნაკლებად
ცნობილმა, უგედავყვეს კლოუნები და აკრო-
ბატები. კალდერიც, თავის მხრივ, გამოხა-
ტავს რწმენას, რომ „ცირკი არის არსებო-
ბის სინონიმი“ და ქმნის თავის „მოხეტია-
ლე ცირკს“. ის მოიცავს ორასამდე მინი-
ატურულ პერსონაჟს და აქსესუარს, რომლე-
ბიც იზიდავენ მნახველს თავიანთი თავი-
სებურებით და სადღესასწაულო განწყო-
ბით და რომლებიც მაშინ, მეოცე საუკუ-
ნის ოციან წლებში, მოძრაობაში მოჰყავ-
დათ თვითონ კალდერს და მის ასისტენ-
ტებს. დღეს ითვლება, რომ ეს წარმოდგე-
ნები, რომლებიც იმართებოდა კერძო ბინებში
თუ საჯარო დარბაზებში, იყო საუკუნის
პირველი არტისტული პერფორმანსები.

როგორც ამბობს ერთ-ერთი მკვლევა-
რი:

„კალდერის ცირკი - ეს არის მაგიუ-
რი სამყარო, სადაც სხეულები აძარცხებენ
მიზიდულობის კანონს“.

ჩვენი შპრნლის მკურნალობა მშობი - მერაბ გომერაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის
ნახლოესი და შიშაზე შედეგის მართალი

ლხუიის

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

თქვა კინაზ სოთინის

VEIN & LASER CENTER



ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!



საღია ხარ სუბი? ზანდია?

ხელეგის დაბანა

1949 წელს გამოცემული „დედა ენა“ რომ ნახოთ და იაკობ გოგებაშვილისეულს შეადაროთ, - მაშინვე მიხვდებით, თუ რა საშინელებას აშენებდნენ ბოლშევიკები: ლენინ-სტალინ-ბერიას პორტრეტები, მათი ბავშვობის შესახებ ტყუილ-მართალი, ბელადთა სადიდებელი, ჩამტკბარი ლექსები, ოქტომბრელთა, პიონერთა, კომუნისტთა, საბჭოთა არმიელთა გმირობის ამბები.

მოთხრობაში „ოჯახის სიხარული“ მეოცე საუკუნის ტირანის დაბადება აღწერილი: გორელ მეჩექმეს, ბესარიონს და მის მეუღლეს, კეკეს პირველი ორი ვაჟი დაედუპათ და შვილის მოლოდინით ედგათ სული. ამიტომაც, რომ სანდალა თავისი მეგობრის სახელოსნოსკენ გახარებული გარბის, რათა ვაჟის დაბადება ამცნოს.

- შენ პირს შაქარი, ჩემო სანდალა, შენ პირს შაქარი! წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი ნუკრი და მისი დედა! - პასუხობს ბედნიერი მამა.

ამას მოსდევს პატარა სოსოს კეთილშობილებისა და გულჩვილობის ამბები. ნიშანდობლივია, რომ მას ცხოველები უყვარს, ადამიანების მიმართ მის თბილ გრძნობებზე კი „დედა ენა“ არაფერს გვეუბნება.

ერთი მოთხრობა განსაკუთრებით შემწარავია: ცივაში ცხენივით შებმული ბესარიონი აღმა-დაღმა ასრიალებს შვილს. მალე მას პატარა დარიკო ენაცვლება და შებინდებამდე ანებივრებს ძმობილს. ბოლოს გუნდაობა იმართება ანუ „ნამდვილი ომი“, როგორც ავტორი უწოდებს და იქვე დასძენს:

„სოსომ წინასწარ იცოდა გუნდების მომარაგება. ვაი მას, ვისაც დაუმიზნებდა! არასოდეს არ ააცდენდა. პირველ გუნდას მიაყოლებდა მეორეს, მესამეს... როცა თამაშობით გულს იჯერებდა, თავის ცუგას, გიშერას, ცივაში ჩასვამდა და აჭარხლებული ლოყებით შინისაკენ მიბრუნდა, სადაც აგუზგუზებულ ბუხარს მიუჯდებოდა ხოლმე და გაყინულ ხელებს ითბობდა“.

ხომ გენიშნათ ტირანის სისასტიკე და ომის შემდეგ ხელების გათბობა ანუ ხელების დაბანა?!

ჩვენ უნდა შევძლოთ საბჭოთა ისტორიის წიგნიდან მტერის, ხავსისა და შემხმარი სისხლის გადაწმენდა, შემდეგ კი - ამ წიგნის გადაშლა და მასში „ადამიანის“ და ადამიანების აღმოჩენა: დავიწყებ



ბუღათა, იენორირებულთა, დაჩაგრულთა და განადგურებულთა ალაპარაკება და ისტორიის ისე დაწერა, როგორც ტირანიას შეწირულნი დაწერდნენ.

სულიკო-პარინკა

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელსაც რუსი ფიკაციის ტაღლა უნდა შეეკავებინა. ამ მოძრაობის მონაწილე იყო გვიტია აგიაშვილი, რომელსაც სოფელ ჭორვილაში საშინაო სკოლა ჰქონდა გამართული. მისი

მეუღლე, გენერალი სპირიდონ მაჭავარიანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. 1874 წელს ახალგაზრდა წყვილს ქალიშვილი, ბარბარე (ვარინკა), შეეძინა. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული მუსიკალურობის გამო, ზინაიდა ვორობეცს (ფილიმონ ქორიძის მეუღლე) მიაბარეს, რომელიც ფორტეპიანოს გაკეთილებს ატარებდა ქუთაისში.

ნიჭიერ გოგონას მაჭავარიანების ოჯახის ყველა ახლობელი და სტუმარი შეჰხაროდა: „მოსწონდათ ჩემი სიმღერა და მამხნეებდნენ. განსაკუთრებით მაგულიანებდა აკაკი, რომელსაც, როგორც თვითონ იტყვოდა, ჩემი სიმღერა ყველაზე უფრო ტკბილად ესაუბრებოდა. მუსიკას უფრო დაეჯერება, ვინემ სიტყვებსაო, - მეტყვოდა პოეტი, და მეც უფრო ხშირად მის ლექსებს ვმღეროდი“ - იხსენებს ვარინკა. იგი მალე მგონის რძალი გახდა - ჩვიდმეტი წლისამ სერგო წერეთელზე იქორწინა. ორ წელიწადში წყვილს ვაჟი შეეძინა, პატარა სპირიდონი, რომელსაც შინაურობაში „გუგული“ ეძახდნენ. ერთხელ აკაკი სახლიკაცს გახუმრებია: „შენ რა მოგკლავს, ძამია, ბუღბუღივც სახლში გყავს და გუგულიც“-ო.

1895 წელს ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა აკაკის „სულიკო“, რომელიც პოეტმა მალევე გადასცა ვარინკას და სთხოვა, რამე ჰანგი შეერჩია მისთვის. „სავონებელში ჩავვარდი, რა თქმა უნდა. ლექსის მომხიბლავმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახე აღძრა. მე ღრმა ინტერესით მოვიკიდე ხელი გიტარას და არსებულნი კილოების დაუსმარებლად შევქმენი ორიგინალური მუსიკა. ამაში დიდად დამეხმარა თვით ლექსის რიტმულობა, სიმსუბუქე“.

დიდ პოეტს ჩემ მიერ შექმნილი მუსიკა ძალიან მოეწონა. იგი მთელი გრძნობით უგდებდა ყურს „სულიკოს“ სიმღერას და მის ნათელ სახეზე უსაზღვრო სიამოვნება იხატებოდა. აღფრთოვანების გამოსახატავად აკაკიმ თავისი სურათი მაჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბუღბუღელს, სუ-

ლიკო-ვარინკას აკაკისაგან“. აკაკის მიერ სიმღერა „სულიკოს“ ასეთი მოწონების შემდეგ ხშირად გამოვლილი სალამოებზე ამ სიმღერით და ამგვარად გავრცელდა იგი ხალხში“.

1898 წელს ინგლისურმა ფირმამ „ფონოგრაფი“ ვარინკას სიმღერა ცვილის ლილვლებზე ჩაწერა, ვანო მაჩაბლის სახელში, ხოლო 1900 წელს კოტე ფოცხვერაშვილმა ნოტებზე გადაიტანა, მჭონგურეთა გუნდისათვის და ფორტეპიანოსათვის, რომელიც ორკესტრმა 1905 წლის აგვისტოში შეასრულა ქუთაისის საქალაქო თეატრში.


1909 წლიდან ვარინკა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეა ყვირილის (ზესტაფონი) თემში. რამდენიმე წელიწადში სამკითხველოს გახსნაც მოახერხა და საკუთარ სახლში, სოფელ ცხრაწყაროში, სკოლაც გამართა. ეს პატარა განათლების კერა ათამდე სოფელს ემსახურებოდა. მანვე აღადგინა ადგილობრივი თეატრის შენობა, სადაც საქველმოქმედო წარმოდგენებს მართავდა, ქუთაისიდან და თბილისიდან მოწვეული შემოქმედებით ჯგუფების დახმარებით.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რეაქციის წლებში ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ლაშქრობას სწორედ ზესტაფონის თეატრი შეეწირა, სადაც ოხრანკა დიდი რაოდენობით იარაღს ეძებდა. ახალგაზრდა რევოლუციონერი სტალინი კი უანდარძებს სწორედ ვარინკას სახლის სარდაფში ეძებებოდა. როგორც ჩანს, აქედან მოდის ტირანის „სულიკოსადმი“ განსაკუთრებული სიყვარული.

ამასობაში ვარინკას ვაჟმა საშუალო სკოლა დამთავრა და საფრანგეთში, ქლაჟ მონპელიეში გაემგზავრა მევენახეობა-მღვინეობის შესასწავლად. 1919 წელს სამშობლოში მომავალს პეტერბურგში ჭლექის უმძიმესი ფორმა შეეყარა. დაულალავი მკურნალობისა და რუდუნების მიუხედავად, იგი მალევე გარდაიცვალა. სასოწარკვეთილი დედა კარგა ხნით მოსწყდა გარესამყაროს: ხალიჩბაკრულ ფანჯრებში მზის სხივს არ უშვებდა და დღენიდაგ დასტიროდა დაკარგულ ერთადერთ იმედს.

ახალი ცხოვრების მშენებლებმა მართოდ დარჩენილ ვარინკას მისი ქონების დიდი ნაწილი ჩამოართვეს, ხოლო სახლის ნაწილში მკურნეობის საწყობი გამართეს. სასოწარკვეთას რომ გამკლავებოდა, მართოსულმა ქალმა ნათესავის გოგონა იშვილა და მომავლის იმედი დაიბრუნა.

ამ წლების საქართველო სასომხიდილი და დაბეჩავებული ითმენდა ბოლშევიკების უსასტიკეს თარეშს. 1924 წელს სწორედ ზესტაფონში, ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობაში ბრალდებული იმერლები რამდენიმე ვაგონში შეყარეს და



მსხვილკალიბრიანი იარაღი დაუშინეს, ვალათები ისროდნენ მანამ, ვიდრე სასაკლაო სისხლისგან არ დაიცილა.

20-იან წლებს ვინც გადაურჩა, მათ წინ 30-იანები ელოდა.

სიმღერის გადარჩენა ორმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი იყო - იმ დროს გადაღებული ფილმში „უკანასკნელი მასკარადი“ ჩასმული გონებამახვილოური სიუჟეტი, სადაც საქართველო შედარებულია პატარადალს, რომელსაც ჯერ მეფის რუსეთის ჩინოვნიკზე, შემდეგ ბურჟუაზე და ბოლოს კი - ბოლშევიკზე გათხოვებას უბირობენ. მთელი თბილისი ალაპარაკდა და ბევრმა ამ ფილმში დრამატურგი ქალის, ნატალია აზიანის სცენარი ამოიცნო.

ფილმის წარმატების მეორე მიზეზი იყო „სულიკო“ რომელსაც ფილმში თავად რეჟისორი ასრულებს. ადვილი მისახვედრია, თუ ვის უმღერის ჭიაურელი, ვის ვნებებს ელაციცება?!

1937 წლის იანვარში მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადა გაიმართა. როცა „სულიკოს“ ასრულებდნენ, ბელადი თურმე ფეხზე წამოდგა და ისე უსძინა მომღერლებს. იმ დღიდან მთელმა ქვეყანამ გაიგო სტალინის ამ სიმღერისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ამიტომაც მთელი საბჭოეთის შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს ასწრებდნენ მის შესრულებას, გადამღერებას თუ გადამუშავებას. ვარინკა წერეთელი, ცხადია, არაავის უხსენებია, რადგან „სულიკო“ წარმოდგენილი იყო, როგორც ხალხური სიმღერა.

ვარინკას ნათესავი, პაპუნა წერეთელი, რომელიც დეკადაზე რუსთაველის თეატრს ახლდა, სამშობლოში გულდაძმობილებული დაბრუნდა: „სულიკოს“ არნახული წარმატება და ვარინკას უნუგემო მღვდომარეობა ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა.

მიხვდა ვარინკა, რომ მას ყოველთვის დაივიწყებდნენ, თუ თავად არ გაიხსენებდა საკუთარ არსებობას, ამიტომაც დაიწყო „ბრძოლა გახსენებისთვის“: ჩამოვიდა თბი-

ლისში და შესაბამის სამინისტროს მიმართა:

„საქართველოს სსრ. სასკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს

ზესტაფონის რაიონის, სოფელ ცხრაწყაროს 26 კომუნარების სახელობის კოლმეურნეობის წევრის ვარინკა წერეთლის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სიმღერა „სულიკო“, რომელიც ამჟამად გავრცელებულია მთელ საბჭოთა კავშირში, მისი სიტყვების ავტორის, აკაკი წერეთლის თხოვნით, 1895 წელში ჩემს მიერ არის გამოთქმული და გიტარაზე დასამღერებლად აწყობილი. ამ სიმღერას აღნიშნულ წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ მე ვასრულებდი და სწორედ ამ გზით გავრცელდა იგი მთელ საქართველოში.

ყოველივე ამის დასადასტურებლად მე შემძლია წარმოვადგინო როგორც წერილობითი საბუთები, აგრეთვე სანდო მოწმებიც, რომელთა ჩვენებით გამოირკვევა ჩემი განცხადების სრული სისწორე. ასეთ მოწმებად ჩემის მხრით მე ვასახელებ: საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს წევრს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ორდენოსანს აკაკი ხორავას და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორს, ორდენოსანს კოტე ფოცხვერაშვილს.

გთხოვთ, მოაწყით თქვენი თანდასწრებით ჩემი საბუთების განხილვა, დასახელებული მოწმეების დაკითხვა და მომცეთ თქვენმიერი საბუთი სიმღერა „სულიკოს“ კილოზე ჩემი ავტორობის დამტკიცების შესახებ“.

საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის, 1938 წლის 5 ოქტომბრის სხდომამ (თავმჯდომარე ვანო გოკიელი, ესწრებოდნენ: კოტე ფოცხვერაშვილი, შალვა დადიანი, ავქსენტი მეგრელიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი სან-

დრო კავსადე) დაადგინა, რომ სიმღერა „სულიკოს“ ავტორი ვარინკა წერეთელია. მაგრამ ავქსენტი მეგრელიძემ არ ისურვა, რომ შემოსავალი ავტორისთვის გაეყო და თანავტორობა დაიჩვენა. ამიტომ ვარინკა იძულებული შეიქნა, ამ საკითხში მეტი გარკვეულობა შეეტანა და 1939 წლის 3 იანვარს იუსტიციის კომისარს მიმართა:

„მას შემდეგ, რაც სრულიად გამოირკვა და დადასტურდა, რომ სიმღერა „სულიკოს“ მე მეკუთვინის, ამ ნაწარმოებზე შემოსული საავტორო ჰონორარი მე უნდა მეძლეოდეს უკლებლივ.“

მაგრამ ეს ასე არ ხდება, რადგან ჰონორარის დამრიგებელი ორგანიზაცია გადაჭრით ვერ ერკვევა იმ ერთადერთი პიროვნების პრეტენზიაში, რომელიც მე ჰონორარის ნაწილში მედავება.

ეს არის მოქალაქე ავქსენტი მეგრელიძე, რომელიც თავის პრეტენზიას ამყარებს არა კანონიერ საფუძველზე, რომ მას ჩემთან შეთანხმებით არსებითად გადაეშვა მავებინოს და ახალი, განსხვავებული ფორმა-შინაარსი მიეცეს ჩემი კილოსთვის, არამედ მხოლოდ მასზე, რომ იგი მას არა ჩემგან, არამედ მრავალ უკვე ჩამწერთა შემდეგ, მხოლოდ უბრალოდ ჩაუწერია და ეს ჩანაწერი ჩონგურზე დაუძლეობია.

ასეთი ოპერაციის ჩამტარებელს, ამ შემთხვევაში კი ავქსენტი მეგრელიძეს, ჩემის ცნობით, კანონი არ უნდა ანიჭებდეს თანავტორობის უფლებას.

თუ ვინმე ჩემს „სულიკოს“ გადაამუშავებს და ახალ განსხვავებულ ფორმა-შინაარსს მისცემს, ეს სხვა საკითხია. ავქსენტი მეგრელიძეს კი გამოქვეყნებული აქვს ჩემი დანამდურის განმეორება.

გთხოვთ წერილობითი განმარტება მომცეთ ამის შესახებ. ამასთანავე დავსძენ „სულიკოს“ შესახებ რამდენიმე საბუთს (დაურთო ლევან ასათიანის, კოტე ფოცხვერაშვილის, სანდრო კავსადის წერილები, სადაც ისინი კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ვარინკას ავტორობას, ასევე კომპოზიტორთა კავშირის 1938 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებას).

1939 წლის 7 აპრილს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ლეო ესაკია „საუდს“ უგზავნის წერილს: „ხელოვნების საქმეთა სამმართველო გაცნობთ, რომ სიმღერა „სულიკოს“-ს ავტორობის საკითხის გარკვევის შემდეგ, თანახმად წარმოდგენილი ფაქტიური მასალებისა, დადასტურდა, რომ აღნიშნული სიმღერის ავტორათ უნდა ჩათვალოს ვარინკა წერეთელი. ჰონორარის 75%-ი უნდა მიეცეს ვარინკა წერეთელს და 25% ავქსენტი მეგრელიძეს, ვინაიდან უკანასკნელს ეკუთვნის სიმღერის ჩონგურზე დამუშავება.“

ვარინკას ავტორობა სულ მალე მოს-

კოვშიც გაიგეს. 1939 წელს თბილისში ლენინგრადის კაპელა ჩამოვიდა, ალექსანდრე სევენიკოვის ხელმძღვანელობით. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართული კონცერტის ბოლოს მათ „სულიკოს“ შეასრულეს და მისი ავტორი სცენაზე აიყვანეს. ასეთი ყურადღებით გაკვირვებული ვარინკა აღტაცებას ვერ მალავდა. შინ მიმავალმა, როცა მას ტრამვაიში ადგილი დაუთმეს, ნათესავს უჩურჩულა: „ეტყობა, მიცნო ამ ახალგაზრდამო“.

1940 წლიდან ქართულ კულტურას ხალხური და ქალაქური სიმღერის განუმეორებელი შემსრულებლები შეემატნენ - დები იმხნელები. მათი დედა, ვასასი ლოლაძე ვარინკას მეგობარი და საუკეთესო მომღერალი იყო.

იმხნელების რეპერტუარში, „სულიკოს“ გარდა, შედიოდა ვარინკას მეორე არანაკლებ პოპულარული „მუსამბაზი“. სამწუხაროდ, დღეს უკვე ძალიან რთულია მის მიერ შექმნილი სხვა მელოდიების დადგენა, რადგან აღარავინაა ისეთი, ვისაც ამ საკითხზე დაელაპარაკები.

ვარინკა წერეთელი 1948 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ცხრაწყაროში, მისი ვაჟის გვერდით.

სიმღერა „სულიკოს“ უამრავ სანოტო გამოცემათაგან მუსიკის ავტორი მხოლოდ 1939 წლისაზე აღნიშნული, ესეც იმიტომ, რომ ეს საკითხი მაშინ სულ ახალი გარკვეული იყო. სხვა ყველა გამოცემას აწერია: „ტექსტი აკაკი წერეთლისა, მუსიკა - ხალხური“. მათ შორის არის 1954 წელს ვანო გოკიელის მიერ გუნდისა და ფორტეპიანოსთვის დაბეჭდილი ნოტები. აქ უცნაური ის არის, რომ სწორედ ეს ადამიანი თავმჯდომარეობდა სხდომას, რომელმაც ვარინკას ავტორობა დაადგინა.

დავიწყების ამ მისტიკას ეძღვნება ლია ჯაყელის ფილმი „სადა ხარ, ჩემო სულიკოს“. რეჟისორი დეტალურად მოგვითხრობს „სულიკოს“ ისტორიას და დემონსტრაციულად აღადგენს სამართლიანობას - ტიტრებში ხაზგასმულად აჩვენებს წარწერას: „კომპოზიტორი ვარინკა წერეთელი“ ანუ აღადგენს სამართლიანობას: ვარინკას უწოდებს „კომპოზიტორს“ რაც აქამდე ვერავის დასცდა.

1981 წლიდან, მამუკა ასლანიკაშვილის ინიციატივით, ვარინკას მშობლიურ ცხრაწყაროში „ვარინკობა“ აღინიშნება. წელს პირველად მოფლავი ამ ზეიმზე. მოწვეული სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ, რადგან ბევრი კარგი სიმღერა მოისმინეს და საუკეთესოებიც გამოავლინეს. ვარინკაც მრავალჯერ მოისმინეს, მაგრამ სულიკო-ვარინკას საფლავი, რომელსაც მთელი საქართველო დღემდე დაეძებს, არავის გახსენებია. არადა, იგი საკონკურსო ეზოდან სულ რაღაც 40 მეტრშია.

კიდევ ერთხელ დავფიქრდი ამ განმანათლებელი ქალის ტრაგიკულ ბედზე. თითქოს სწორედ მას ეძღვნება აკაკის „სულიკოს“, 12-კუბლეტიანი ლექსი, სადაც საყვარლის საფლავის საძებნელად მოხეტიალე მგოსანი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ სატრფოს სული ვარდის, ვარსკვლავების და ბულბულის მშვენიერებას შენივთებია და გახარებული ამბობს:

ბულბულს ყურს ვუვლებ, ვარდს ვწნოსავ, ვარსკვლავს შევეყურებ ღხენითა და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომითქვამს ენითა! ისევ გამეხსნა სიცოცხლე, დღემდი რომ მწარეთ კრულ იყო, ახლა კი ვიცო, სადა ხარ, სამგან გაქვს ბინა სულიკო!



სერიიდან „ვისკონტინა“ როსო და კოსი კოსი



ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ეთერში გავიდა 1982წ. 7 მარტს

ჩვენს საუბრებში უკვე არაერთხელ ითქვა, რომ „ილუზიონი“ ოდენ საღალღობო და თვალსასიერო, გასართობი გადაცემები არ არის, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ტელემეფურებელთა ფართო აუდიტორიის ზიარებას ჭეშმარიტი კინოხელოვნების ქმნილებებთან (რაღა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში).

და აი, ამჯერად პირველად შემოდის ჩვენს პროგრამაში ახალი რუბრიკა სახელწოდებით „ვისკონტინა“, ანუ ვიწყებთ საყოველთაოდ აღიარებული ცნობილი იტალიელი რეჟისორის - ლუკინო ვისკონტის ფილმების რეტროსპექტულ ჩვენებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საზღვარგარეთული კინოს ისტორიაში კი, ალბათ, მწიფად მოიძებნება სხვა, უფრო ნათელი და ამაღლებული სახელი, ვიდრე ლუკინო ვისკონტია. ჭეშმარიტად, რაც მას გაუკეთებია, რაც შეუქმნია, ყველაფერს ნამდვილი ხელოვნების შუქი ადგა და ამ თვალ-გულგონების მიმტაცებელი შუქის ანარეკლი ეფინება დიდოსტატი ხელოვანის სახელსაც.

დღეს მისი ცხოვრების და შემოქმედების არაერთი მკვლევარი აცხადებს (და მეც მთლიანად ვიზიარებ მათ მოსაზრებას), რომ „ვისკონტი“ სახიერება იმ იშვიათი, - კინოში კი სულაც გამონაკლისი, - მოვლენისა, როცა ხანგრძლივი და ძალზე ნაყოფიერი სიცოცხლე ხელოვანისა შემოქმედებითი ენერჯის არნახული აფეთქებით მთავრდება.“

არადა, მართლა საოცარია - ზოგჯერ რა იღუმალ იერს იღებენ სიტყვები, ოდესმე ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე თქმული: 1972-ში, იტალიურ გაზეთ „სტამპას“ თანამშრომელთან ინტერვიუში ვისკონტის უთქვამს: „ჩემი მთავარი ფილმი, - ის, ჯერაც რომ არ გადაღებულა, - იქნება ფილმი თავად ჩემზე: „ვისკონტი გუმინ და დღეს“...“

ახლანახანს კი, პრესაში გამოჩნდა ერთი ცნობისწაღილი ადამიკრელი ინფორმაცია: ახალგაზრდა იტალიელი კინემატოგრაფისტი ლუკა ვერდონე იღებს დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მიზნად ისახავს ლუკინო ვისკონტის ყოფიერების ავ-კარგზე ფიქრთან ერთად, ეპოქის წარუშლელ მოვლენებთან წილნაყარ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზების სახიერად თხრობას. სურათში მოგონებებით გამოვლენ დიდი მაესტროს ყოფილი შეგირდები და თანა-



მოაზრენი - რეჟისორები ფრანკო ძეფირელი და ფრანჩესკო როზი, მსახიობები - ვიტორიო გასმანი და მარჩელო მასტროანი, ფილმში უხვად იქნება ფრაგმენტები ვისკონტისეულ კინოსურათებიდან და სპექტაკლებიდან...“

უკეთილშობილესი და, იმავდროულად, უმძიმესი საქმე უტვირთია ახალგაზრდა კაცს. აბა წარმოვიდგინოთ: ოცდაათწლიანზე მეტი ხნის ურთულესი გზები ხელოვნებაში, თოთხმეტი დიდი ფილმი და ხუთი კინონოველა, სამოცი დრამატული და საოპერო სპექტაკლი, ოცდაოთხი სცენოგრაფიული ნამუშევარი! თანაც, ლუკინო ვისკონტის თავის რეჟისორულ მოღვაწეობაში არასოდეს მიუნიჭებია უპირატესობა ოდენ კინემატოგრაფისათვის, არასოდეს დაუყენებია იგი „დრამასა“ და „ოპერაზე“ ძალდა. მისი ეკრანული თუ სცენური ნახელქმნარის მხილველნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ისინი, ყველა თანაბარი სიმაღლის მოვლენები ხელოვნებაში.

და ისიც ხომაა, რომ ვისკონტის შემოქმედების, მისი ფილმებისა თუ თეატრალური დადგმების ირგვლივ არასოდეს დამცხრალა ვენებათაღელვა. მის ერთ ბიოგრაფს, რომელსაც შეუსწავლია ყველაფერი, რაც კი დაწერილა ვისკონტიზე, გაოგნებულს წამოუძახია: „შეხედულებათა წარმოუდგენელი კაკოფონიააო!“ ვისკონტისა და მის მხატვრულ მეგვიდრობას ეროვნულ სიამაყედაც აცხადებდნენ და, იმავდროულად, არაერთგზის უცდიათ მათი დამცირება და დამდაბლება.

ის კი, უწინარეს ყოვლისა, იყო ნეორეალიზმის - ომისშემდგომი საზღვარგარეთული კინოს ამ ყველაზე ადამიანური მდინარების - თავკაცი და დამფუძნებელი რობერტო როსელინისთან და ვიტორიო დე სიკასთან ერთად. მის ფილმში „მიწა ცახცახებს“ თავმოყრილი დე შეჯამებულია ამ მდინარების მთელი იდეური და ესთეტიკური პრინციპები. შეიძლება ითქვას, რომ ადრეული ნეორეალიზმი ამ ნაწარმოების სიმაღლის დონეს ვერ ასცილდა, ისევე როგორც გვიანი ნეორეალიზმის სწორუპოვარ შედეგად დარჩა მისი ფილმი „ყველაზე ლამაზი“ - მართლა ივაკიმოწვლომელ ლეგენდის, განუმეორებელი ანა მანიანის მონაწილეობით.

ჯერ კიდევ ხელოვანის სიცოცხლეში კინოკრიტიკოსები და ჟურნალისტები სამდღურავს გამოთქამდნენ, რომ ლუკინო ვისკონტი სიტყვაძვირია და არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკიო. მისი ბიოგრაფები რაღაც ჩაგრულად გრძობდნენ თავს. სამაგიეროდ იშვიათად თუ ვისმე აუვლია გვერდი იმ ეფექტური საპირისპირო ფაქტისათვის, რომ უძველესი არისტოკრატიული საგვარეულოს შთამომავალი ლუკინო ვისკონტი (მისი ნამდვილი გვარია - ვისკონტი დი მოდრონე) იმთავითვე შეგნებულად მიემხრო ისტორიის ცოცხალ ძალებს და ჩადგა საზოგადოების ძირეულად გარდაქმნისათვის მებრძოლთა რიგებში და შეიძლება გულდაჯერებით ითქვას, რომ მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ის რწმენა, ზურგი არ შეუქცევია თავისი ახალგაზრდობის იდეალებისათვის.

იქნებ ამიტომაც იყო, რომ ვისკონტის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარები რაღაც წარმოუდგენელი გულმოდგინებით უღრმავდებოდნენ ხელოვანის ბიოგრაფიას და შემდეგ „აღმოჩენითა“ სიამაყით აცხადებდნენ: ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნის იტალიის ისტორიულ ქრონიკებში სისტემატიურად გვხვდება ვისკონტების გვარი, როგორც პოლიტიკურად აქტიური, შინაგანად ძლიერი, სისხლიანი დამყრობლების შტო; რომ თვით დანტე ალიგიერსაც ჰყავს მოხსენიებული თავის „დოთაებრივ კომედიაში“ ვისკონტების საგვარეულო. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კი მათ იხსენიებენ როგორც ჰუმანისტების, მწერლების და არქეოლოგების შთამომავლობას. იტალიური ხელოვნების ისტორიის ანალებიდან ცნობილია, რომ მილანში ვისკონტების სასახლის კედლებზე ფრესკები მოუხატავს დიდ ჯოტოს, ხო-


ლო მეთოთხმეტე საუკუნეში თურმე ვინმე გასპარო ვისკონტი თხზავდა კომედიებსა და გასართობ საკარნავალო სიუჟეტებს, რომელიც გენიალური ლეონარდო და ვინჩის მიერ შექმნილ დეკორაციებში თამაშდებოდა.

(და მაკონდება: მილანში ყოფნისას რაღა არ ვიღონე, რომ მოვხვედრილიყავი ვისკონტების სასახლეში. სწორედ იქ ვიხილე ჩემი თვალით ნამდვილი საოცრება - ერთ-ერთ კედელზე ბათქაშქვეშ აღმოჩენილი ლეონარდო დავინჩის ხელით შესრულებული მცირე ზომის ესკიზი თუ სცენური სანახაობისათვის საგულისხმო დეტალების ფანქრით ჩანახატი. სხვათაშორის, იქვე - ვისკონტების სასახლის ერთ-ერთ დარბაზში დიდხანს ვიდექი მონუსხული საკმაოდ დიდ თეთრ იტალიურ მარმარილოს ლოდთან, რომელშიც ნათლად ილანდება ვერტიკალური ტრაგიკული კომპოზიცია - მიქელანჯელოს დაუმთავრებელი მეთოხე „პიეტა“).

თავად ლუკინო ვისკონტის ბიოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული მეოცე საუკუნის იტალიის იმ მოვლენებთან, რომელიც კვებავდა და ასულდგმულედა ნეორეალიზმს. იგი მონაწილე გახლდათ ე.წ. „წინააღმდეგობის მოძრაობისა“ - იმ ანტი-ფაშისტური ბრძოლის, რომლითაც ესოდენ მაღლდებოდა ომისშემდგომი წლების იტალიის, და არა მარტოდენ იტალიის, პროგრესული კონოხელოვნება. მილანელი არისტოკრატი, რომელსაც ახალგაზრდობაშივე მოვლილი ჰქონდა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები და ევროპის კულტურული ცენტრები, 30 წლის ასაკისა პარიზში ჩადის და მოდების მომავალი კანონმდებლის - კოკო შანელის რეკომენდაციით - ცნობილი ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრის, ოგიუსტ რენუარის შვილის - არანაკლებ სახელგანთქმულ, სიცოცხლისა და თავისუფლების ტრფიალ-კონორეჟისორ ჟან რენუარის ასისტენტი ხდება ფილმ „ქალაქ გარეთ გასეირნებაზე“ მუშაობისას. ეს იყო 1936-ში და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქედან - ფრანგული სახალხო ფრონტის ატმოსფეროში იწყება ვისკონტის იდეოლოგიური მრწამსის სიმწიფეში შესვლა და მისი სიძულვილი ფაშიზმისადმი.

სამშობლოში დაბრუნებული კი, იგი ომის განსაცდელის ჟამს, აქტიურად ამოუდგა მხარში ფრანგულ მებრძოლ ჯგუფს, რომელსაც ფრონტის ხაზსმიღმა გადაჰყავდა საკონცენტრაციო ბანაკებიდან ლტოლვილი მოკავშირეთა არმიების სამხედრო ტყვეები. ვისკონტის დაქმნება გესტაპო, იგი იმალებოდა მეგობრებთან, მათ შორის ლეგენდარულ ანა მანიანისთანაც. მაგრამ ერთ-ერთი ოპერაციის დროს შეიპყრეს და „ვგოჯონეთურ სატუსალოდ“ ცნობილ - „პანსიონ იაკარინოში“ გადაიტანა წამებით დაკითხვები. იგი სიკვდილმისჯილი

■ **გადასალეზ მოედანზე** ■



■ **„როკო და მისი ქმეზი“** ■



■ **„როკო და მისი ქმეზი“**



„მიწა ცაცხახეს“ 1948 ■



■ „ყველაზე ლამაზი“ 1951



„თეთრი ღამეები“ 1957 ■

სასწაულებრივად გადაურჩა განაჩენის აღსრულებას და მრავალდღიან შიმშილგამოვლილი, მაგრამ გაუტეხელი, უკვე მძიმე დისტროფიით დასნეულებული, საკაციით გამოუტანიათ მეგობრებს „იაკარინოდან“. აქვე ხაზგასმით ვიტყვი: ვისკონტი სიცოცხლის ბოლომდე იყო ანტიფაშისტი და შეურიგებელ ანტიფაშისტადვე დარჩა ხელოვნებაშიც.

ამჯერად, „ვისკონტიანას“ ამ პირველ გადაცემაში, ჩვენ ვიხილავთ საუკუნის დიდი რეჟისორის ერთ-ერთ დაუვიწყარ ნახელქმნარს, ფილმს „როკო და მისი ძმები“. პრობლემას, რომელიც წამოჭრილია ამ სურათში, თავად იტალიელები „სამხრეთის საკითხს“ უწოდებენ. იგი ღრმა ისტორიული ძირების, ადამიანურად ძალზე მტკივნეული პრობლემაა და მის გამო ვისკონტის ჩაფიქრებული ჰქონდა ფართო კინოტრილოგია თუ ტრიპტიქი. მისი პირველი კარი - ფილმი „მიწა ცაცხახეს“ გადაიღო 1947-48 წლებში. „როკო და მისი ძმები“ კინოტრილოგიის მეორე ფილმაა. იგი 1960-ში გამოვიდა. ტრიპტიქის მესამე კარი კი საერთოდ არ გადაღებულა.

ვისკონტის მუდამ იტაცებდა და აღელვებდა „ოჯახის თემა“ ანუ ცხოვრებაში მრავალსულიანი ოჯახის ერთობისა და გადარჩენისათვის, მზის ქვეშეთში შენი ადგილისათვის ბრძოლის, ადამიანური ღირსებისათვის შემართების თემა. „როკო და მისი ძმები“ კი ტრადიციული ოჯახის რღვევისა და სულიერად გადაგვარების ტრაგედია სრულიად განსხვავებულ მასშტაბშია გადმოცემული. შემთხვევით არ აცხადებდა რეჟისორი იმთავითვე, რომ ეს სურათი „რეალისტურ ტრაგედიად“ მაქვს წარმოდგენილი. ხოლო ძალა იმ გულახდილობისა და ემოციურობის, რომლითაც „როკო და მისი ძმები“ წამოჭრილია იმუამინდელ იტალიელთა საარსებო პრობლემები, ფილმს უთუოდ აქცევდა სოციალური სინამდვილის მნიშვნელოვან ფაქტად და, იმაედროულად, ცხადი ხდებოდა, რომ ვისკონტი უკვე სულ სხვა ელფერს ანიჭებდა და ახალი მიმართულებით წარმართავდა იმ მხატვრულ აღმოჩენებს, რომელიც თავის დროზე მოჰყვა ნეორეალიზმის მდინარეებს.

ლუკინო ვისკონტის განუმეორებელი ტალანტი, სამყაროს ორიგინალური ჭვრეტა და განცდა, მისი ინდივიდუალური ხელწერა ისეთი ძალითა და სიმკვეთრით ვლინდება მის ფილმებში - ძნელად, რომ დაეჭვდეს ვინმე ამ სურათების ავტორისეულ საწყისებში. არადა, ვისკონტის ფილმების უმეტესობა ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციებია. ძნელი წარმოსადგენია ამ ხელოვანის ღრმა და ინტენსიური სულიერი ცხოვრება მისი მშობლიური ქვეყნის მხატვრულ მემკვიდრეობასთან და, საერთოდ, ევროპულ კულტურასთან განუყ-

რელი კავშირის გარეშე. აქ იდებდა სათავეს მისი მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი შემოქმედება, მისი ლტოლვა სხვადასხვა ავტორებისადმი:

შექსირი და სტენდალი, გოლდონი და ბომარშე, ვერგა და კამიუ, დოსტოვესკი და ჩხვრივი, თომას მანი და მარსელ პრუსტი, ჟან კოკტო, ანუ... მას თითქოს ხელთეპყრა რაღაც ჯადოსნური გასაღები, რომლითაც ახლებურად ხორცს ასხავდა ამ ავტორთა ნაწარმოებებს, ხელახლა ხსნიდა და ავლენდა მათ არსსაც და აზრს საკუთარი რეჟისორული კონცეფციით - სცენასა თუ კინოკრანზე. დიან, ვისკონტის ფილმების ავტორისეულობა განპირობებულია თავად ხელოვანის მხატვრული პალიტრის ფერთა სიუხვით, დახვეწილი რეჟისორული პარტიტურით და, უწინარეს ყოვლისა, ჩანაფიქრით - დროსთან, ძველგარე სინამდვილესთან თანხმად ჩანაფიქრით, რომელიც მოედინებოდა ავტორის მსოფლშეგრძობიდან, მსოფლჭკვრეტიდან.

რალა თქმა უნდა, ყოფიერება და გზასავალი ისეთი ღრმა და დაუცხრომლად მადიებელი ხელოვანისა, როგორიც ლუკინო ვისკონტი გახლდათ, ოდენ ვარდ-ყვავილებით მოფენილი ვერ იქნებოდა. მას არაერთგზის განუცდია ათვალწუნებისა და ხელოვნებაში მისი ღვაწლის დაუნახობით გამოწვეული თავიკიც; უგრძნია და შეუცნია საკუთარი ხელმოცარვის, ზოგჯერ კი ამკარა ჩავარდნების ტკივილის სისასტიკეც. და მაინც, სწორედ მას შეეძლო ეთქვა - და თქვა კიდევ: „ყველაფერს, რაც სიცოცხლეში მიკეთებია, ოდენ კარგად ვაკეთებდი“. ეს სიტყვები კი იმის დასტურად და გამოხატულებად, რომ თავად მასში არასოდეს ჩანავლულა და ჩანაცრებულა შემოქმედების უწმინდესი ცეცხლი; და მათში იმის მინიშნებაც ისმის, რომ იგი ყოველ თავის ნახელქმნარში ახორციელებდა უკომპრომისო უმაღლესი ოსტატობის მიღწევის საკუთარ ლტოლვასა და წაძილს. და იქნებ, სწორედ ოსტატობის, „ხელობის“ დაუფლების კრიტერიუმია ის უადრესად ფასეული აღთქმა თუ ანდერძი, რომელსაც კინემატოგრაფისტთა ახალ თაობებს უტოვებდა დიდი მესტრო - ლუკინო ვისკონტი.

აქვე აღვნიშნავ - ვისკონტი არც სადმე და არცა ვის მიუჩნევიათ ბედის ნებიერ, ე.წ. „მოდურ“ რეჟისორად. არადა, ვილა არ ყოფილა მოდამში მის თანამედროვეთაგან - ჟან რენუარი თუ როსელინი, ბერგმანი თუ კუროსავა, ანტონიონი თუ ფელინი, ხიჩკოკი, ტრიუფო, გოდარი... ვისკონტის კი, მართალია, ვერ ჩქმლავენენ, მაგრამ მისი სახელის ირგვლის „სიცივის“ ან ღუმილის გამეფებას კი ცდილობდნენ საეჭვო მიმართულებისა თუ მიზანდასახულობის პრესა და კრიტიკა. „ამხედრებულ სნობებს“ თავიანთი სინამდვილის ძალზე დაურიდე-

ბელ მხილებად, ან ყვედრებად ქვვენობად მისი გულახდილად მოუბარი და არაჩვეულებრივად დახვეწილი ოსტატობით შესრულებული ფილმები, მათი თვალსაზრისით, ვისკონტის შემოქმედება მოკლებული იყო ე.წ. „თანადროული კინოს“ ნამდვილ გარეგნულ ნიშნებს.

თუმცაღა, ვისკონტის არცთუ იშვიათად უწოდებდნენ „პერფექციონისტს“. ეს გამოთქმა წარმოდგარია ფრანგული სიტყვიდან - „perfection“, რაც „სრულქმნილს“, „სრულყოფილებას“ ნიშნავს. დრომ, ჟამთასვლამ დადასტურა ამ წოდების მინიჭების სამართლიანობა იმ ხელოვანისთვის, რომლის სახელი და ნახელქმნარი ღირსეულად შევიდა და დამკვიდრდა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. შემთხვევით არ შეურქმევიათ თანამემამულეებს მისთვის - „ალორდინების ხანის დიდოსტატ მხატვართა ტოლი და სწორი ხელოვანი“.

ვისკონტის კინოშემოქმედება, მეტადრე მისი „მეორე პერიოდი“ - დაწყებული ფილმებით „როკო და მისი ძმები“ და „ლეიპარდი“, სულ უფრო და უფრო სიბრძნით დახუნძლულად წარმოვიდგებოდა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ძალზე ახლო იყო თავის კინოთხრობაში ფართო და ტევად რომანულ ფორმასთან. ახალ ეპიკურ სახიერებას იძენდნენ არა მარტოდ მისი ე.წ. „გერმანული ტრილოგია“ - „დმერთების დაღუპვა“, „ლუდვიგი“ და „სიკვდილი ვენეციაში“, არამედ შემდგომი სურათებიც: „ოჯახის პორტრეტი ინტერიერში“ (თავისი მოჩვენებითი კამერულობით) და ვისკონტის ბოლო ფილმი - „უდანაშაულო“ (ე.წ. „დანუნციოს კომპლექსის“ დაძლევის ცდა). თითქოს აღარაფერი ამორებად დიდ ხელოვანს, რომ ხორცი შეესხა ეკრანზე თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრნაოცნებარისათვის - გადაელო ეკრანიზაციები თომას მანის „ჯადოსნური მთის“ და მარსელ პრუსტის რომანისა - „დაკარგული დროის ძიებაში“.

მაგრამ... უღმობელია წუთისოფლის ტრიალი. 1976-ის სწორედ ამ თვეში - 17 მარტს აღესრულა ვისკონტი. ჯერ 70-იც არ შესრულებოდა. ალბათ არ დარჩენილა დასავლეთში გაზეთი თუ ჟურნალი, რადიო - თუ ტელეარხი - წრფელი დანაწებით რომ არ გამოთხოვებოდა მას. მახსოვს ერთი პოპულარული გამოცემა წერდა: „მისი ბიოგრაფია ისტორიის შედეგად მოჩანს - მასში ისე თვალხშიერად აისახა იტალიის - და საერთოდ - დიდი ევროპული კულტურის უწვევებელობა, მისი ძირძველი, მაღალი ტრადიციებისა და დეკადენტური ესთეტიზმის წინააღმდეგობრივი კავშირი“.

... გვრძნობ, რომ როგორღაც გაგვიგრძელდა წინათქმა, მაგრამ ვისკონტის გამო შემდეგისთვისაც ბევრია სათქმელი. ამჯე-

რად კი, ფილმის ჩვენების დაწყებამდე, ალბათ, მაინც უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება:

როგორც ვიცით (და ვინც არ იცის - ახლა იხილავს), - „როკო და მისი ძმები“ იწყება იმით, რომ სამხრეთ იტალიელი, ლუკანიელი პაფუნდების მრავალსულიანი ოჯახი, რომელსაც მარჩენალი მამა დაუკარგავს, წინაპართა კერიდან აყრილა და - დაბნეული და მიუსაფარი - უკვე ჩრდილოეთის დიდი სამრეწველო ქალაქის, მილანის რკინიგზის ვაგზალზეა...

ფილმის დრამატურგიულ ფუქემში ანუ სცენარში კი არის „პროლოგი“, რომელიც, სამწუხაროდ, ვისკონტის არ გადაუღია. „სამწუხაროდ“ - მეთქი, რამეთუ, შესაძლოა, იგი იტალიელი მაცურებლისათვის აუცილებელი არც იყო, მეტადრე - მაშინ, როცა მათ სულში ჯერ ისევ „დეულა“ ე.წ. „სამხრეთის პრობლემა“, მაგრამ სხვა ქვეყნების მაცურებლებისათვის ლუკანიელ გლეხთა იბულებითი ემიგრაციის მთელი ტრაგიზმის წარმოსადგენად, ვფიქრობ, საჭირო და აუცილებელიც კი იყო ეს მოკლე „პროლოგი“. აი, ისიც:

„... დილაბინდა. წვიმს და გაშმაგებით უბერავს ქარი. ზღვაც გაავებულა და ზათქით, ღრიალით აწყდება კლდოვან ნაპირს... კონცხზე ნისლში ილანდება ოთხი ადამიანის უძრავი ფიგურა. ამთავან ორს მხრებზე კუბო შეუდგამთ. ისინი მოულოდნელი მოძრაობით კუბოს მაღლა ასწევენ და ზღვაში ისვრიან... ერთი ვაჟი წინ გამოდის. წვიმა და ცრემლი უსველებს სახეს. ქეთინს ძლივს იკავეებს და ამბობს:

- მე სიმონე ვარ. შენთვის ამოსათხოვარი სიტყვა ვინჩენთვის უნდა ეთქვა. ის არის შენი უფროსი შვილი. მაგრამ ახლა იგი შორსაა და ჩვენი არა იცის რა. შენ რომ ზამთარში მომკვდარიყავი, დასამარხავად ბერნალში წაგიღებდით. იქ არის სასაფლაო. ახლა კი ყველგან შეწყვერია, ყველაფერი ლაფში ევლობა და გზა არსად ჩანს...

სიმონეს გვერდით დგება მეორე ძმა და გაუბედავად წარმოთქვამს:

- მე როკო ვარ. გულში მწუხარება ჩაგვიდგა და ნუგემისმცემელი არავინაა. მაგრამ მანდ, ზღვის ფსკერზე, სხვებცა წვანან, ისინი ყველა შენი მეგობრები არიან...

ძმები უკან ბრუნდებიან, უხმოდ ჩაუვლიან ლუკანიაში შრომის ბირჟასთან თავშეყრილ უმუშევარ თანასოფლელებს... შემდეგ ისმის ოჯახის დედის - ქრისტი როზარისა წერილი უფროსი შვილისადმი, რომელშიც თავისებურად ახსნილია ოჯახის სასოწარკვეთა და მილანში ჩამოსვლის იბულებითი ნაბიჯი...“

ვიმეორებ, სამხრეთელი ლატაკი პაფუნ-

დების საბედისწერო ემიგრაციის, ჩრდილოეთის მილანში მისი ტრაგიკული შედეგის ასახსნელად, ეს „პროლოგი“, უთუოდ, გამართლებული იქნებოდა, ცხადია, არა იტალიელებისათვის, არამედ ჩვენთვის - სხვა ქვეყნების მაცურებლებისათვის. ეტყობა, თავად ლუკინო ვისკონტიც გრძობდა ამას და ამიტომაც დატოვა ეს „პროლოგი“ წიგნად გამოცემულ ფილმის სცენარში.

ფილმის პირველი ნახევრის შემდეგ:

1961-ში, როცა „როკო და მის ძმებს“ უჩვენებდნენ ბევრი ქვეყნის ეკრანებზე, ლუკინო ვისკონტი მოსკოვს ესტუმრა, როგორც საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრი. ბუნებრივია, რომ იმ დიდ კინოფორუმზე სახელგანთქმულ რეჟისორს არაერთი შეხვედრა და დიალოგი ჰქონდა კინოხელოვან კოლეგებთან, კინოკრიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან. მაშინ ამ ფესტივალის პრესცენტრში მეც ვიყავი აკრედიტებული, როგორც კინოკრიტიკოსი და, რაღა თქმა უნდა, დავსწრებდით ვისკონტისთან შეხვედრებს. განსაკუთრებით შემომძრია სსოვნაში მისი საუბარი შესანიშნავ რეჟისორ მიხეილ რომთან, სადაც - არცთუ შემთხვევით, - სიტყვა ჩამოვარდა იტალიურ კინოში იმჟამად ნეორეალიზმის ირგვლივ საკმაოდ გართულებულ ვითარების გამო. ცნობილია, რომ ამ ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულებისა თუ მდინარების გაჩენის მომენტი თანხვდა იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობას. და ვისკონტი ამბობდა: „მიამჩნია, რომ ისეთი მხატვრული მდინარება, როგორც ნეორეალიზმი, ვერ გაჩნდებოდა და ვერ იცოცხლებოდა, იმავდროულად რომ არ დამდგარიყო სიმართლის თქმის გარდევალობა“.

ასე ზუსტად და უბრალოდ, ხილვადი კონკრეტულობით განსაზღვრა მაშინ ვისკონტიმ ნეორეალიზმის ხელოვანთა უმთავრესი მიზანი და ამოცანა - ხალხის ცხოვრების მართლად, შეუღალაზღვრად ჩვენება! იგი ამბობდა: „ნეორეალიზმის - და საერთოდ, ხელოვნებაში რეალიზმის - საკითხი, პირველ რიგში, შინაარსის საკითხია და არა სტილისტიკური სისტემისა“. და იქვე ასახელებდა იმ ფილმებს, რომლებსაც იგი გულისხმობდა „ნეორეალიზმის“ მცნებაში. უწინარეს ყოვლისა, გაიხსენა:

რობერტო როსელინის „რომი, ღია ქალაქი“ და „პაიზა“, ჩეზარე ძავატინისა და ვიტორიო დე სიკასეული შედეგები - „ველოსიპედების გამტაცებლები“, „მუშა“, „უმბერტო დ.“, დაემთხვა აღნიშნა ჯუზუპე დე სანტისის ტეტრალიგია - „ტრაგიკული ნადირობა“, „მწარე ბრინჯი“, „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ჭაღებში“, „რომი, 11 საათზე“. მაშინ, იმ მომენტისთვის ჩვენ უკვე ნანახი გვექონდა ამ ფილმების უმრავ-

ლესობა, რომლებშიც ყველაზე ნათლად, მკვეთრად და მთელი სისავსით იყო ხორცშესხმული მართლმორწმუნე ნეორეალისტთა მსოფლგანცდა, მათი სტილისტიკური და იდეური მიდრეკილებანი. და რასაკვირველია, ისიც ვიცოდით, რომ თავად ლუკინო ვისკონტის ნახელქმნარი იყო - სიცილიაში, ზღვისპირა დატაკ სოფელ აჩი ტრეცში გადაღებული „მიწა ცაცხახებს“, რომლის გამოც შემდეგ იტყვიან ცნობილი კინომოღვაწეები: რომ ეს სურათი ახალ იტალიურ კინოში იმთავითვე „გამოირჩა თავისი სიმედგობით და გაბედულებით“ (კარლო ლიბანი), გამოჩნდა როგორც „ნეორეალიზმის მწვერვალი“ (ჯუზუპე ფერარა), რომ ის იყო „უპირველესი, ყველაზე დიდი ფილმი ომისშემდგომი პერიოდის იტალიაში“ (ფრანჩესკო როზი)...

ღიან, „მიწა ცაცხახებს“ უმაღლესი ნოვატორული ღირსების ნაწარმოებია, ეწ. „გამოუგონებელი სიმართლის კინემატოგრაფის“ არნახულ შესაძლებლობათა აღმოჩენი. ვისკონტისათვის ნეორეალიზმი იყო ზნეობრივი პრინციპი, ცხოვრებასთან დამოკიდებულების მრწამსი. აქედან მოედინებოდა მისი სწრაფვა - აესახა სინამდვილე ისე, როგორც ისაა - ყოველგვარი სიცრუისა და სიმრუდისაგან თავისუფალი, შეუღალაზღვრელი, პირუთვნელად წარმოჩენი იმ პრობლემებისა, რომელიც აღელვებდა ხალხს...

როდესაც 1947-ის შემოდგომაზე ლუკინო ვისკონტი სიცილიაში მიემგზავრებოდა, განაცხადა, რომ აპირებს დოკუმენტური ფილმის გადაღებას სამხრეთის დღევანდელ მეზღურეებზე და, იმავდროულად, ეს იქნება მწერალ ჯოვანი ვერგას რომანის - „მლაგვლის ოჯახის“ ეკრანიზაციაო. მახსენდება ვისკონტის შემოქმედების ერთი მკვლევარის შემახილი: „მსგავსი ორმაგი ჩანაფიქრი ალბათ არც არსებულა მსოფლიო კინოს ისტორიაში!“ არადა, მკაცრად დოკუმენტური ფილმს, პერსონაჟთა როლებების არაპროფესიონალი შემსრულებლებით, მართლა უშუალოდ ვერგას რომანის სიუჟეტის მიხედვით იღებდნენ. და მიუხედავად ამ ნაწარმოების ნოვატორული ხასიათისა, რეჟისორის მიერ ტრადიციულ კინოსანახაობათა გადაჭრით უარყოფამ ფილმი - (მაშინდელი ყველაზე ავტორიტეტული კინოკრიტიკოსის, ანდრე ბაზენის თქმით) - „სასტიკ წარმოდგენად“ აქცია, რამეთუ „მისი დოკუმენტური ღირებულება რაიმე ემოციური გამომსახველობითი საშუალებით მხარდაჭერილი არ აღმოჩნდა“.

ფილმი „მიწა ცაცხახებს“ - თავისი შინაარსითა და ბუნებით ჭეშმარიტად სახალხო ხასიათის ნაწარმოები - ვერ გახდა მასობრივი მაცურებლის მიმზიდველი სანახაობა. „იგი გამოიყურებოდა როგორც მოკვლენათა ქრონიკა. იაზრებოდა როგორც

რომანი, და არ კი მოქმედებდა როგორც დრამა“... რაღა თქმა უნდა, ვისკონტი გულდათანღრული იყო მისთვის ესოდენ მოულოდნელი ვითარებით, რომლის განეიტრალებას იგი შეეცდებოდა - და მიაღწევს კიდეც - შემდგომი ნამუშევრებით, უწინარესად კი ფილმით „გრძობა“, რომელიც ლამის ერთხმად აღიარეს „იმჟამინდელ მსოფლიოში ფერებში შესრულებულ ყველაზე საუკეთესო ფერწერულ კინოსანახაობად“. მაგრამ მაინც, „როკო და მისი ძმები“ დარჩება ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ვისკონტის სიცილიურ დოკუმენტურ პანორამასთან - „მიწა ცაცხახებს“. ორივე ფილმი ეძღვნება იმჟამინდელ იტალიის სამხრეთის გულშემძრავ ლუჩვირადამიანურ და ძალზე მტკივნეულ სოციალურ დრამას. ორივე ყველაზე რეალისტური ფილმია ლუკინო ვისკონტის კინოშემოქმედებაში.

ალბათ, აქვე უნდა ითქვას, რომ ვისკონტისათვის შემთხვევით არ უწოდებიათ „რეჟისორი-სტენოგრაფი“, რადგან ამ გამოთქმის მნიშვნელობის გააზრების გარეშე შეუძლებელია ყველა მისი კინემატოგრაფიული თუ თეატრალური ნამუშევრის ესოდენ მაღალი გამომსახველობითი კულტურის ახსნა. ნეორეალისტებმა ხომ იმთავითვე შეურიგებელი ომი გამოუცხადეს ყოველგვარ ესთეტიზმს და ეკრანზე ამკვიდრებდნენ ყოფიერების ყოველდღიურობის მოსაწყენ ხატს. ლუკინო ვისკონტი კი პირველი იყო იტალიურ კინოში, ვინაც საშობლო-ქვეყანას დაუბრუნა მისი სრულფასოვანი სილამაზე.

და აქვე: ძნელია დუმილით გვერდის ავლა იმ ფაქტზე, რომელიც უთუოდ საგულისხმო აღმოჩნდა როგორც ვისკონტის, ისე მთლიანად ახალი იტალიური კინოს სინამდვილეში. 1954-ში იდეებს სათავეს მწვევე კამათი ნეორეალიზმის ბედიბალსა და მომავალ გზასავალზე: - საით მიემართება ახალი იტალიური კინო, რა გზით ვითარდება მისი, არცთუ დიდი ხნის წინანდელი აღმოჩენები? კამათი მთლად გააღმასდა, როდესაც ლამის ერთდროულად გამოჩნდა კინოეკრანებზე ორი, მართლა დროის წინააღმდეგობრივი სულისკვეთების მატარებელი ფილმი: ახალგაზრდა ფედერიკო ფელინის - „გზა“ და ნაცადი ლუკინო ვისკონტის - „გრძობა“.

ამბობენ, ვისკონტის არც ერთ სურათს არ მოჰყოლია ესოდენ მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანი გამოძახილი და ნაყოფიერი დისკუსიები. ერთნი საყვედურობდნენ ვისკონტის, რომ ზურგე შეუქცევია ნეორეალიზმის ტრადიციებისათვის და სანახაობითი კინოს ძველი პოეტიკისაკენ იხრებო. მეორენი კი, აღფრთოვანებულნი აღნიშნავდნენ, რომ ვისკონტიმ ამჯერად მწერალ კამილო ბოიტის ხანდაზმული

ნოველის ჩვეულებრივი ეკრანიზაცია კი არ გადაიღო, არამედ შექმნა იტალიურ კინოში პირველი ნამდვილი ისტორიული ფილმი - სრულიად მოულოდნელი თანადროული ჟღერადობისაო.

გამოგიტყდებით, თავის დროზე ჩემში რაღაც გაუცნობიერებულ პროტესტს იწვევდა ფელინისა და ვისკონტის, მათი ყოველი ახალი ქმნილების ის აუხსნელი დაპირისპირება, რომელიც რატომღაც ვიუტად ფენს იკიდებდა პრესაში და კინოკრიტიკაში. არა-და, ზოგჯერ ირონიული ღიმილის მომგვრელიც იყო ის პარადოქსული აზირება: 1957-ში ვისკონტიმ შექმნა დოსტოევსკის მოთხრობის - „თეთრი ღამეების“ ეკრანიზაცია. თავად რეჟისორი აცხადებდა: ამ ფილმზე მუშაობისას „ოცნებასა და სინამდვილეს შორის კონტრასტის“ თემა მიპყრობდაო. კინოკრიტიკამ კი, სურათი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ეტიუდად აღიქვა და მას „ფორმით რომანტიკული და აზრით ანტირომანტიკული“ უწოდა... მაგრამ მოხდა ისე, რომ იმავე 1957-ში გამოვიდა ფელინის ახალი ფილმიც - „კაბირიას ღამეები“ და სენსაციურ „აღმოჩენებზე“ დახარბებულმა პრესამ და კრიტიკამ ამ ორ, ძალზე განსხვავებული სურათის სახელწოდებათა თანხმეერ ჟღერადობაშიც („თეთრი ღამეები“ - „კაბირიას ღამეები“) მათი ავტორების ერთმანეთთან დაპირისპირება „ამოიკითხა“.

ამ ტენდენციამ კიდევ უფრო დამაფიქრებლად იჩინა თავი შემდგომ წლებში. ჯერ იყო-და, 1960-ში ვენეციის საერთაშორისო ბიენალიზე, ფესტივალის აშკარად არაობიექტური დირექცია არაფერს დარიდებდა, ოღონდ „როკო და მისი ძმები“ არ მიეღო „გრან-პრი“ - „წმინდა მარკოზის ოქროს ლომი“. ეს გახმაურებული სკანდალი უკვე ცნობილი იყო ჩვენთვისაც, როცა 1961-ში ვიზილეთ, მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალზე კონკურსგარეშე წარმოდგენილი „როკო და მისი ძმები“.

მაშინ ჩვენშიც არცთუ ცოტა იყო ამ ფილმის ირგვლივ განსხვავებულ აზრთა შეჯახება, სჯანი და კამათი, მეტადრე - მის ლიტერატულ თავწყართოთა გამო. რა ვარაუდი აღარ გამოითქვა, თუმცაღა ყველაზე სანდო ისევ რეჟისორის აღიარება იყო. ვისკონტი კი, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე აღნიშნავდა: „როკოს“ რომ ვიღებდი, შთაგონებული ვიყავი ვერიზიმის თვალსაჩინო წარმომადგენლის - ჯოვანი ვერგას რომანებით“, რითაც გამოხატა პიეთეტი საკუთარი ეროვნული მწერლობის მემკვიდრეობისადმი. იგი ასახელებდა სხვა თავწყართოებსაც: ბიბლიას, თომას მანის „იოსებსა და მის ძმებს“, ჯოვანი ტესტორის ქალაქური ბულვარული ბელეტრისტიკის თავისებურ სამყაროს, - და ბოლოს - დოსტოევსკის რომანს - „იდიოტს“, რომლის ერთ-



„ლეიპაპლი“ 1963



„ღმერთების დაღუპვა“ 1969



„ლუდვიგი“ 1972



■ „სიკვდილი ვენეციაში“ 1971



■ „ოჯახური პორტრეტი ინტერიერში“ 1974



■ „უდანაზაულო“ 1976

ერთ პერსონაჟს, თავად მიშკინს „თვითმიზნად ქცეული სიკეთის ფილოსოფიის ძალზე დამახასიათებელი წარმომადგენელი“ უწოდა.

ბუნებრივია, რომ რუსული კრიტიკა გულისყურს ამახვილებდა, თუ რა სიღრმით არის გააზრებული ფილმში დოსტოევსკის პროზის კლასიკური მოტივები, კერძოდ, რამდენად მკვეთრადაა მინიშნებული ნადიას, როკოსა და სიმონეს ურთიერთობებით რომან „იდიოტის“ მთავარ გმირთა - ნასტასია ფილიპოვნას, მიშკინისა და როგოვიჩის ე.წ. „სამკუთხედი“...

წერდნენ, რომ „როკოში“ უჩვეულოდ რთულად აღიქმება სურათის დამდგმელის რეჟისორული ნება და წადილი, მეტადრე - მის მიერ აღმოჩენილი მთავარი როლებების ახალგაზრდა შემსრულებლების - ანი ჟირარდოს, ალენ დელონის, რენატო სალვატორის არტისტული ნიჭის გახსნასა და ეფექტურ წარმართვაში;

აღნიშნავდნენ - ერთგვარი შინაგანი წინააღმდეგობის, რაღაც მოგანგაშე და გულშემძრავი დისპარმონიის შეგრძნებას, რომ სურათში „მიღწეული არ არის ნატურალიზმისა და ესთეტიზმის მთლიანობა, ფსიქოლოგიური დაძაბულობა მეზობლობს სოციოლოგიურ სქემატურობასთან“.

და ლამის ერთხმად მიუთითებდნენ - ფილმში დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენს ძალადობისა და მკვლელობის სცენების სისასტიკეო...

დაიხ, თავდაპირველად რაღაც გაორებულის, ეჭვიანი და ფრთხილი კრიტიკული დამოკიდებულება უფრო სუფევდა ჩვენში „როკო და მისი ძმებისადმი“. მერე, მოგვიანებით, არაერთი რეცენზენტი და კინომომხილველი ინანიებდა თავის მამინდელ მიუხელომლობას თუ შეცდომას, თუმცაღა, იშვიათად, თუ ვინმე ეძებდა მიზეზთა მიზეზს.

არადა, ყველაფრის თავი და თავი მიზეზი ისევ ფელინისა და ვისკონტის და მათი ფილმების ტრადიციულად დაპირისპირება იყო. სწორედ იმ წელს „როკო და მისი ძმების“ პარალელურად ეკრანებზე გამოჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იტალიური სურათი - ფელინის „ტკბილი ცხოვრება“, რომელიც უმაღლეს იქცა იმჟამინდელი საზღვარგარეთული კინოს მთავარ მოვლენად. რაღა თქმა უნდა, მაშინ სწორედ ფელინის ამ არაჩვეულებრივად შთაბეჭდვად „ფრესკასთან“ უშუალოდ გვერდიგვერდ ყოფნასა და მასთან გარდუვალ შედარებაში აღიქმებოდა „როკო და მისი ძმები“.

- რა ხილავდა ან რით იპყრობდა მაყურებლისა თუ კრიტიკოსთა გულისყურს „ტკბილი ცხოვრება“? - უწინარეს ყოვლისა, სინამდვილის გამჭოლი მზერით აღქმისა და მხილების ძალასთან ერთად, ალბათ ეს იყო ადამიანის წარმოუდგენელ შესაძლებლობებით განცვიფრება, ყოფიერების

პოეტური განცდა და სწორედ ხელოვანის ესოდენ წრფელი და გადამღები განცვიფრება განაპირობებდა მაყურებლის წინასწარ განწყობას არა მარტოდენ ფილმის პერსონაჟებთან შეხვედრისათვის, არამედ სურათის ავტორთან უშუალო ურთიერთობისთვისაც.

და ახლა, თუ კანდიდატურა არ ჩამოთვლით, მოვიხმობ ერთ ამონარიდს სწორედ იმხანად - 1960-ში თუ 1961-ში - დაწერილ ჩემი ნაშრომიდან, რომელსაც „თაობა და მისი ბუდი“ ერქვა. მოვიხმობ იმისთვის, რომ დღევანდელი მაყურებელი, მეტადრე - ახალგაზრდობა უკეთ გაერკვეს, თუ რა სოციალური სინამდვილის, იდეათა ჭიდილისა და კინოშემოქმედების კონტექსტში აღიქმებოდა იმჟამად ორი კინოშედეგრი - „როკო და მისი ძმები“ და „ტკბილი ცხოვრება“.

ინტერმედია - ჩანართი

„ომის შემდგომ, სულ ძალი, - 50-ანის ჩამოდგომისთანავე - განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი დასავლეთის სამყაროში ახალმა კრიზისმა, რომელიც პირველ რიგში გამოვლინდა როგორც სულიერი ანუ იდეების კრიზისი. ეს არ იყო რაღაც მოულოდნელად „თავდადებული უბედურება“. იგი კანონზომიერად, თანდათან მზადდებოდა. მაგრამ თუ ეს პროცესი „მამებისთვის“ თანმიმდევრული იყო, „შვილებს“ დახვდათ ამ პროცესის მხოლოდ შედეგი. ცხოვრებაში შემოსვლისთანავე მათ დაინახეს ირგვლივ გამეფებული სიბინძურე, სისასტიკე, სიყალბე და გამოფიჭავი ერთფეროვნება. პრესა კი ხმადაღლა „წინასწარმეტყველებდა“ ატომური ომის გარდუკაობას...“

და ახალგაზრდობა, რომელსაც, ცხადია, არ გააჩნდა რაიმე ახალი თავისი იდეალი, ამბობდა, უარი თქვა ყველაფერზე, ყოველგვარ მორალურ პრინციპზე, რამაც გამოხატულა პპოვა უკიდურეს ანარქიზმში... და აი, გახეთქილი მყვიარალა სათაურებით იუწყებთან თვითმკვლელობისა და მკვლელობის, მძარცველობისა და სისხლის სამართლის ქრონიკებს, ყოველდღიურად აფიქსირებენ ახალგაზრდობის უკიდურესობამდე მისულ სულიერი სიცარიელის, ცინიზმის, ამორალურობის გამოვლინებებს...

საზღვარგარეთული კინოს პროგრესული მოღვაწეები გვერდს ვერ აუვლიდნენ ამ მწარე სინამდვილეს. ასეც მოხდა. მსოფლიო ეკრანებზე გამოჩნდა რეჟისორი კოლას რეის „უმიხეზოდ მემამოხე“, ანდრე კაიატის „წარღვნის წინ“, ლასლო ბენედეკის „ველურთა ბრიგადა“, მარსელ კარნეს „თვალთმაქცები“, სუან ბარდემის „მთავარი ქუჩა“, კარელ რეისის „შაბათ საღამოს, კვირას დღით“, ალენ რენეს „მარშან ზაფხულს მარინადაში“, ფრანკუელი „ახალი ტაღლის“ ლიდერთა - ფრანსუა ტრიუფოს და ჟან-ლიუკ გოდარის პირველი ფილმები, კლოდ შაბროლის „ბი-

მაშვილები“ და ბოლოს, თითქოს ყველას ერთად შემაჯავებელი ლუკინო ვისკონტის „როკო და მისი ძმები“ და ფედერიკო ფელინის „ტკბილი ცხოვრება“, რომელსაც იმთავითვე ადარებდნენ მიქელანჯელოს ფრესკებს, გოიას ოფორტებს, დანტეს „ჯოჯოხეთს“...

ზემოთ ჩამოთვლილ ფილმებში ასახულია სხვადასხვა ქვეყნების და განსხვავებული ეროვნების ახალგაზრდების ცხოვრების ერთი რაიმე მომენტი თუ ეტაპი. ცხადია, ამჯერად ჩვენ გვინტერესებს არა მათი გადამღები რეჟისორების ფილოსოფიური კონცეფციები, არამედ თავად ფილმებში ასახული სინამდვილე.

ერთგან ახალგაზრდები ოცნებით მიიღტივან შორეულ მარჯნის კუნძულებისკენ - ისინიც შემოწუნებული არიან მოსალოდნელი ატომური კატასტროფით და „წარღვნის წინ“ გადარჩენის იმედს ეძებენ გაქცევაში... მაგრამ აი, გამოჩნდნენ „თვალთმაქცები“, რომლებიც უსასრულოდ მსჯელობენ ატომური ომსა და თვითმკვლელობაზე. ფრანსუაზა საგანის რომანებსა და ბეკეტის პიესებზე და, გამოსავლის ძიებაში, იძირებიან პარიზის კაფეებში, ლითონისა და ღამის დროსტარებისათვის დაქირავებული ოთახებში, ჯახის ღრავში, უცხო ლოგინში - პირველ შეხვედრილთა გვერდით...

მერე თითქოს ჩადგა ქარბუქი, დაცხრნენ ახალგაზრდები და ის, რაც ზოგს სახად საყმაწვილო სუნად ეჩვენებოდა, იქცა ყოველდღიურობად: ისევ წამიერი, სწრაფწარმატალი სასიყვარულო კავშირები, მოსაწყენი უდიდამო ქიფები, უხალისო შეხვედრები და განშორებები, უსინარული წარმატება, გულს გაუკარებელი ხელმოცარვა, დღით უნივერსიტეტების კაცრი აუდიტორიები, ღამით კი ისევ თავბრუდამხვევი როკვა, უგრძობი კოცნისთვის მექანიკურად გაწვდილი ტუჩები, ალკოჰოლითა და ავადმყოფური ვნებით დაბინდული თვალები, უაზრო ყოფით გამოფიტული სახეები...

- რა დააყენებ „ემეციტომილებს“ ჭეშმარიტების გზაზე?

ამ შეკითხვაზე საგულისხმო პასუხად მენჯენება კლოდ შაბროლის „ბიმაშვილების“ ფინალი. სურათის მთავარ გმირს - პოლს ხელმარცხად შემოაკვდება პროვინციიდან პარიზში ბუდის საძიებლად ჩამოსული ბიმაშვილი შარლი, ეს ჟიულიენ სორელისა და რასტინიაკის დაკნინებული ორეული. პოლს, რომელიც უნებური მკვლეელი შეიქმნა, სახეზე აღბეჭდია ტკივილი, გაორება, გაურკვეველობა... იქვე, მის ვიდეოთი კი, რადიოლაზე ისევ ბრუნავს პატერფონის შავი ფირფიტა... ბრუნავს... ბრუნავს...

... და აი, „ტკბილი ცხოვრება“ - მისი საწყისი ეფექტური კადრები:

ქრისტეს ჩრდილი დასცემია რომს - სიძველეებით დამძიმებულ ღია ქალაქს. ჰელიოკოპტერზე დაკიდული მაცხოვრის ქანდაკება გადაუფრენს აბღვიალეულ

ვია ვენეტოზე ღამის კლუბებს, ფეშენებლურ ვილეს, ძველ არისტოკრატულ ციხე-დარბაზებს, კოსმოპოლიტურ სალონებს... თითქოსდა, მართლა გოიას ოფორტებიდან გადმოსულანო, ლანდებივით ირევიან ღამის საეჭვო დუქნების მუდმივი მუშტრები; იაფფასიანი სიძვის დიაკები კაბარებთან; სხვათა ინტიმურ ცხოვრებას დადარაჯებული, სენსაციებს დახარბებული პაპარაცი რეპორტიორები; თავხედი ტურისტები; აღტკინებული, ღამის შემლილი ფანატიკოსები - „მადონას სასწაულებრივი გამოცხადების“ ადგილზე თავშეყრილი; ცხოვრებაშიყრატული მილიონერის ქალიშვილი, მეძვი ქალის საწოლზე რომ ეძლევა ვნებათაღელვას... აი, ახალი ბაბილონი, მისი მეშველობითაა „ტკბილი ცხოვრება“ და ამოება ამოებათა!

ასეთ გარემოში ვეინახავს ფელინი თავის სულიერად გახლებილ პერსონაჟებს და ერთდროულად იმასაც მიგვანიშნებს, თუ როგორი იქნებოდნენ ისინი სხვა სამყაროში და რად აქვია თანადროულმა სინამდვილემ. ეს არ არის განყენებული სჯანი ადამიანზე ან საზოგადოებაზე. „ტკბილი ცხოვრების“ პერსონაჟები კონკრეტული საზოგადოების ისტორიის, მისი განსახლებრული მომენტის შეილები არიან. ამიტომაც ასე შეუცდომლად ამოიცირო ამ ფილმში თავისი სახე თანადროულმა დასავლეთმა, დაინახა საკუთარი „განკითხვის დღე“. ამიტომაც ასე გაბოროტებით აღსდგნენ მის წინააღმდეგ ვატიკანი, მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები და პრესა. მარტოდენ კათოლიკური ეკლესიის ოფიციალიზმა - „ოსსერვატორე რომანოსმა“ თერთმეტი სარედაქციო სტატია „მიუძღვნა“ „ტკბილი ცხოვრებას“, თერთმეტჯერ გადასცა იგი ანათემას. კინოს ისტორიაში ჯერაც არ ჩაწერილა ასეთი სასტიკი ბრძოლა რომელიმე ფილმის გამო. ერთი კრიტიკოსის მოხდენილი შედარებისა არ იყოს. ფელინი ბიბლიურ ბრძენთა მსგავსად ამხელს და წინასწარმეტყველებს სწორედ იმ საზოგადოების კრახს, რომელსაც თავადვე ეკუთვნის“.

ლუკინო ვისკონტი კი განსხვავებული პოზიციიდან, სულ სხვაგვარად ჭვრეტდა და განიხილავდა „როკოში“ თავის პერსონაჟებს - ძლეგარედ, გულშემოვლად, თანგრძობით და, იმავდროულად, ყოველგვარი მატუნებელი სიბრაღულის გარეშე. ეს არის მძიმე და მწარე ისტორიული გამოცდილების პოზიცია. იგი უღრმავდება და ხსნის არა ოდენ ფსიქოლოგიურ, არამედ იმ სოციალურ კანონზომიერებასაც, რომელსაც ხშირად მიჰყავს ადამიანი ფატალურ შედეგამდე - თვითმსხვერვამდე, როცა ადამიანი უნებურად და გაუცნობიერებლად თვითონვე ხდება საკუთარი თავის დამღუპველი ვითარების ხელშემწყობი.

თითქოს მოულოდნელია, რომ „როკოს“ ლიტერატურული თავწყაროებიდან ვისკონტის - როგორც სცენარის სატიტულო

ფურცელზე, ისე ფილმის თავსართ ტიტრებზე - დაუტოვებია მხოლოდ ერთი: „ჯოვანი ტესტორის რომანის - „ნიდი გიზოლფიზე“ მოტივები“. თუმცა არც ესაა შემთხვევითი, რამეთუ - ისევე, როგორც ალბერტო მორავია და პიერ პაოლო პაზოლინი თავიანთ ნაწარმოებებში ძირითადად რომისა და მისი შემოგარენის სინამდვილეს ასახავენ - ჯოვანი ტესტორიც თავის ნოველებსა და რომანებში მხოლოდ მილანს გვიხატავს. ლუკინო ვისკონტი კი, მოგეხსენებათ, მილანელი გახლდათ და კარგად იცნობდა „ჩრდილოეთის დედაქალაქად“ წოდებულ ამ სამრეწველო ვივანტის ცხოვრებას, მის ნათელ-ჩრდილს, ზნე-ჩვეულებებს, ცოდო-მადლს... ცხადია, რეჟისორს უშუალოდ არ გამოქვს ფილმში რომანის სიუჟეტური სველები, მაგრამ სურათში მაინც აშკარაა ტესტორის მილანური მოთხრობების ატმოსფერო და თითქმის გამეორებულია ის სქემა, რომელიც დამახასიათებელია ამ მწერლისა და, საერთოდ, ქალაქური ბულვარული ფოლკლორისათვის. ეს სქემა კი, დაახლოებით, ასე წარმოგვიდგება:

„ორი ღვიძლი ძმის სიყვარული ერთი გზასამცდარი ქალისადმი. ამ ქალის წრფელი ლტოლვა და დაუოკებელი ვნება სუფთა, შეურყენელი ჭაბუკისადმი. ამ ახალი სიყვარულით მისი სულიერად განწმენდის იმედი, მაგრამ ბინძურ სინადვილესთან შეჯახების შედეგად მისი იმედის გაცრუება და ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა, ბოლოს კი - ეჭვიანობის ცოფმორეული ყოფილი საყვარლისაგან სისხლიანი შურისგება...“

ცხადია, ვისკონტი - ღრმა ფსიქოლოგი-რეჟისორი და ქალაქური ხალხური ბელეტრისტიკის შესანიშნავი მცოდნე - ამ სქემას მარტოდენ ჭეშმარიტი ხელოვნების კეთილშობილებას კი არ სძენს, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური აზრითაც ტვირთავს. იგი იმთავითვე აცხადებდა, რომ ეს სურათი მას წარმოუდგებოდა როგორც „თანადროული იტალიის თავისებური მატიანე, ვითარცა ეპიკური რეპორტაჟი, რომელიც არ გულისხმობდა ისტორიულ დისტანციას და რეტროსპექტივას“, რომ „ამ ფილმში განსაკუთრებულად მიტაცებდა სოციოლოგიური ანალიზით“.

„როკო და მის ძმებში“ მოქმედება ვითარდება 1955-ის ოქტომბრიდან 1960-ის თებერვლამდე, ესეც ძალზე ნიშანდობლივია, რადგან ცნობილია, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იტალია უკვე განიცდიდა, - თუ შეიძლება ასე ითქვას, - „მატერიალურად მომჯობინებას“, ე.წ. „ბუმს“ ანუ „ეკონომიკურ სასწაულს“. ისიც ცნობილია, რომ ამ „სასწაულს“ პირველ ხანს მოჰყვა ადამიანთა ზნეობრივი დაცემულობა, მათი მოქალაქეობრივი შეგნების დაქვეითება, რასაც ხელოვანი მტკივნეულად განიცდიდა. სწორედ ხალხის სულიერი ცხოვრების



„დიდი დათვის ნისლიანი თანავარსკვლავედი“ 1965



„ცდუნება“ 1943

ამ კრიზისული მდგომარეობის, ქვეყნის ისტორიაში ამ გაურკვეველი მომენტის მხატვრული გააზრებაა „როკო და მისი ძმები“. იგი განიხილავს იმ უტოპიის ცდას, როცა ბურჟუაზია ცდილობდა „ეკონომიკური სასწაულის“ - „ბუმის“ პირობებში „სოციალური არსებობის გარეშე“ დაეყენებინა ადამიანი, ან უფრო სწორად, ფილმი ასახავს ამ უტოპიური ცდის მორალურ და სულიერ შედეგს - მის კატასტროფულობას, ხსნის და თვალნათლივს ხდის, რომ სოციალური ცხოვრებიდან ხელოვნურად გამოდევნილ ადამიანს გარდაუვალად ელის გადაგვარება, რომ იგი იქცე-

ვა ან ისეთ ბიოლოგიურ ცხოველად, ამძუვებული კუნთებისა და ჰორმონების იმგვარ მონად, როგორც სიმონეა, ანდა ისეთ „განყენებულ სიკეთეს“, ადამიან-სულად, როგორც როკოა...

და ბოლოს: „როკო და მისი ძმები“ ლუკინო ვისკონტის რიგით მეექვსე დიდი ფილმია, შემდეგ მან კიდევ რვა სურათი გადაიღო - ყველა ლამის ხელიეროტიკულად კინოშედეგრი.

იმედი მაქვს, რომ „ვისკონტიანაში“ გზა-დაგზა ყველა ფილმს ვიხილავთ და მეტნაკლებად საუბარიც გვექნება თითოეულზე. გემწვიდობებით - მომავალ შეხვედრამდე!

რედაქციისაგან:

რედაქციის მისამართზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ თქვენი აზრები, შეხედულებები, სურვილები, მოგონებები... მათ პირადად ბატონი ოთარ სეფიაშვილი გაეცნობა და უპასუხებს.

ფილმის ნახვა შემბიძლიათ ამ ლინკზე:

<http://www.youtube.com/watch?v=j-3u70OpDoI>



გიგა ზედანია ქართული სერიალის სოციალური



თუ სატელევიზიო სერიალი შედგა, როგორც ესთეტიკური ფაქტორი, მაშინ მას სოციოლოგიური ღირებულება ექნება. ანუ, თუ სერიალი წარმატებულია მხატვრულად, მაშინ ის საზოგადოების აღსაწერად გამოგვადგება. არა იმიტომ, რომ ის რეალობას პირდაპირ ასახავს, არამედ იმიტომ, რომ ის ადამიანთა დიდი ჯგუფის ფანტაზიებსა და ცნობიერებას აირეკლავს. ამის გარეშე სერიალი ვერ შეასრულებდა საკუთარ მთავარ ფუნქციას - იყოს ხელოვნება მასობრივი მაყურებლისათვის.

ორი სერიალის მაგალითზე შევეცდები ამ თეზისის დადასტურებას. ქართული სატელევიზიო სერიალების ისტორიაში სწორედ ისინი მგონია ყველაზე წარმატებული, ჯერ ერთი, ესთეტიკურად, მეორეც - მათი მჭიდრო კავშირით კოლექტიურ ცნობიერებასთან. ეს სერიალებია „ცხელი ძაღლი“ და „ჩემი ცოლის დაქალები“.

კარგად მესმის, რომ ჟანრები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

„ცხელი ძაღლი“

„ცხელი ძაღლი“ პოლიტიკური დეტექტივია. ის 2003 წელს გამოვიდა ეკრანზე და მოგვითხრობს მილიციის ორი გამოძიების შესახებ. ერთი მათგანი გამოცდილი, ასაკში შესული ოპერა (ჟანრი ლოლაშვილი), მეორე კი - ამერიკაში განათლებამიღებული და იდეალისტი ახალგაზრდა (გიორგი ყიფშიძე). ის, რაც იწყება, როგორც რიგითი კრიმინალური შემთხვევა, მალე გადაიზრდება პოლიტიკური კონსპირაციის გამოძიებაში, რომელსაც მთელი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ორი რამაა საინტერესო.

პირველი, სერიალის ნახვის შემდეგ ადვილად შეიძლება მიხვდე, რატომ მოხდა ნოემბრის რევოლუცია საქართველოში: საჯარო ინსტიტუტების დისფუნქცია, კორუფცია, ყოველდღიურობის ნაწილად ქცეული კრიმინალი - და უსამართლობის მძაფრი განცდა, რასაც ეს ყოველივე ტოვებს. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი საგულისხმო თემა - ამ, ერთი შეხედვით, წმინდად კრიმინალური მოვლენების უკან სერიალში ერთმნიშვნელოვნად რუსული სპეცსამსახურების კონსპირაცია იკვეთება. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციამ-

დე გადაღებულ პირველ ორ სეზონში მოცემულია ყველა ის თემა, რომელიც განმსაზღვრელი იქნება რევოლუციის შემდგომი რამდენიმე წლის საზოგადოებრივ დებატებში.

მაგრამ, გარდა ამისა, არის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი - გარკვეული უტოპიური ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა მოეხდინოს ყველა ამ პრობლემას. ხედვის არსი თაობების ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ადგილობრივი სიტუაციის მცოდნე, გამოცდილი მამაკაცი და დასავლური ცოდნისა და ღირებულებების მქონე ახალგაზრდა - ეს არა მხოლოდ წარმატებული დეტექტივების ლეუტად შეიძლება აღიქვას, არამედ უტოპიურ ხედვად იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სასურველი საზოგადოების მოდელი. სოლიდარობა არა კლასებს, სქესებს, ეთნოსებს შორის, არამედ თაობებს შორის - ეს აღმოჩნდა სერიალის მთავარი თემა, რადგან მთავარი სოციალური ნაპრალები სწორედ გენერაციებს შორის ჩნდებოდა. სერიალმა წარმოსახვით დონეზე გადაჭრა რეალურად არსებული პრობლემა, რომელსაც ჯერ არც კი მიეწვია გამამაფრების პიკისათვის.

სერიალის მსოფლიო

რაც ამ ორ ნახსენებ სერიალს განას-

ხვავებს უმეტესი სხვა ქართული სერიალებსაგან, არის მათი მიმართება, უკაცრავად ნათქვამია და, პორნოგრაფიასთან. უმბერტო ეკომ თავის დროზე პორნოგრაფიული ფილმები გააანალიზა და მივიდა დასკვნამდე, რომ მათი მთავარი მახასიათებელი არის რეალური ქმედების რეალურ დროში ჩვენება. თუ სექსუალურ აქტებს შორის გმირი მანქანით მგზავრობს, პორნოფილმი აჩვენებს ამ მგზავრობის ყველა დეტალს: როგორ გააღებს ის მანქანის კარს, როგორ დახურავს მას, როგორ დაქოქავს მოტორს, როგორ გადაართავს სიჩქარეს, როგორ დაძრავს მანქანას... მიზეზი მარტივია: აქტებს შორის ფილმში რაღაც უნდა აჩვენონ, მაგრამ სერიოზული სიუჟეტის და დიალოგების მოფიქრება არავის უნდა. ჰოდა, აჩვენებენ სრულიად უმნიშვნელო დეტალებს რეალურ დროში.

უმბერტო ეკომ თვითონ ავლებს პარალელს პორნოგრაფიის ამ მახასიათებელსა და სხვა ჟანრის ხელოვნების ნაწარმოებების ზოგიერთ ხერხს შორის. მართლაც, გავიხსენოთ ბრაზილიური ან ვენესუელური სერიალები, ანდა თუნდაც მრავალი ქართული ტელეპროდუქტი: ისინი სავსეა უფუნ-

ქციო ქმედებებით, რომელთა ერთადერთი დანიშნულება დროის შევსებაა.

უმბერტო ეკოზე შორსაც შეიძლება წავიდეთ (რაც გააკეთა კიდევ რობერტ სკოულზმა): თუ ნებისმიერ თხრობას წარმოვიდგენთ, როგორც სექსუალურ აქტს, რომელიც ბოლოში ორგაზმით უნდა დასრულდეს, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მისთვის მომზადებაა, მაშინ ასეთი ტიპის დაბალხარისხიანი სერიალები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც პორნოგრაფიული ფილმები - განუწყვეტლივ, გულისარევამდე აჩვენებენ მონოტონურ აქტს. ამის საპირისპიროდ კარგი თანამედროვე სერიალი იმდენად ჩქარია, რომ ის უფუნქციო მონოტონურობისთვის ადვილს არ ტოვებს. თანამედროვე ამერიკული სიტკომები, მაგალითად, სავსეა პატარ-პატარა „ორგაზმებით“, რომლებსაც ზუმრობების ძალიან ძალადი სინშირე უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თითოეული დეტალი ასეთ სერიალებში ჩასმულია სიმეტრიებისა და გამეორებების საათივით აწყობილ სისტემაში, სადაც შემთხვევითი, დროის შესავსებად ნაჩვენები უფუნქციო დეტალებისთვის ადვილი უბრალოდ აღარ რჩება.

სერიალების ამ მონოტონულ „პორნოგრაფიულობას“ სხვა გზებითაც შეიძლება გაექცე. სწორედ ამ პერსპექტივიდან ხდება გასაგები ისეთი რეჟისორების ტალანტი, როგორებიცაა ტარანტინო და ლინჩი. ტარანტინოს, მართალია, სერიალები არ გადაუღია, მაგრამ ჩვენს კონტექსტში მისი ფილმები მაინც საინტერესოა, რადგან ამ ფილმების დიალოგები სავსეა „პორნოგრაფიით“ (ზემოთ აღწერილი აზრით). ერთი განსხვავებით: ტარანტინოს მათში კომიკური ელემენტი შეაქვს და სწორედ ამით უსხლტება ხელიდან ტელევიზიასა და რეალობას, სადაც ასეთი უაზრო დიალოგების სიმრავლეს ხშირად განვიცდით. ხოლო რაც შეეხება ლინჩს, მან მოახერხა გაეკეთებინა სრულიად უნიკალური სერიალი - „ტვენ პიქსი“ - რომელიც თხრობის არანორმალურად დაბალ სიჩქარეს აკომპენსირებს მიზანსწინითა და სასაქონით, რომლებიც ნებისმიერ, ყველაზე უფუნქციო დეტალსაც კი არნახული მნიშვნელობის შეგრძნებას ანიჭებენ. ტარანტინო მიბაძვადია, იმიტომ რომ მან გამოიგონა მეთოდი; ლინჩი - არა, იმიტომ რომ მან შექმნა სტილი. შეიძლება გადაიღო ტარანტინოსნაირი ფილმები, ლინჩის კი მხოლოდ პაროდირება შეიძლება.

მაგრამ დავბრუნდეთ უკან, საქართველოში. ჩემი აზრით, როგორც „ცხელი ძაღლი“, ისე „ჩემი ცოლის დაქალები“ წარმატებით ართმევენ თავს ამ „პორნოგრაფიულობის“ დაძლევის ამოცანას, რომელსაც ძალიან ბევრი სხვა ქართული სერიალი ემსხვერპლა. როგორც აღმოჩნდა, ამ წარმა-



ტებისთვის არაა აუცილებელ საათივით აწყობილი ტექნიკური მაშინერია გქონდეს (რომლის საუცხოო მაგალითიც აქ შეგიძლიათ ნახოთ) და არც მაინცდამაინც გენიალობაა საჭირო (რაც რაღაც ახლის გამოგონებას გულისხმობს კინემატოგრაფიის ენაში). უბრალოდ, ორივე ქართული სერიალის შემთხვევაში შემოქმედებით ვგუფს ეყო ცოდნა და გემოვნება, არ გადაემლაშებინა იქ, სადაც არ იყო საჭირო. ამ გემოვნების ზუსტი გაზომვა შეუძლებელია, მაგრამ მას მაყურებელი გრძნობს.

„ჩემი ცოლის დაქალები“

ვილაცას შეიძლება გაუკვირდეს, კომედიური სატელევიზიო ჟანრიდან რატომ ავირჩიე გასულ წელს დაწყებული ეს სერიალი და არა „შუა ქალაქი“, რომელმაც თავის დროზე მართლაც დიდ აუდიტორიას შეაყვარა თავი (მის დღევანდელ მდგომარეობაზე ვივს დელიკატურად გავჩუმდეთ). საქმე ისაა, რომ „შუა ქალაქი“ იყო სიტკომი, რომელმაც მოახერხა ხალხის კარგად გართობა, მაგრამ ვერ მოახერხა შეექმნა პერსონაჟები, რომელთა გავლითაც მოხდებოდა კოლექტიური ფანტაზიების აქტუალიზება. დები ლლონტების შესანიშნავი დუეტის გარდა, „შუა ქალაქის“ პერსონაჟები დაახლოებით იმავე პლანის ფიგურები იყვნენ - თუმცა, რა თქმა უნდა, შეუდარებლად უფრო გემოვნებიანად შექმნილნი - როგორებიც არიან დღეს „კომედი შოუს“ სკეტჩების გმირები. მათ არ ჰქონდათ ფსიქოლოგიური სიღრმე, რაც აძნელებდა მათთან იდენტიფიკაციას. მეტიც, მათ არ ჰქონდათ საკუთრივ სოციოლოგიური განზომილებაც - მაგალითად, ახალგაზრდების ცხოვრება უმეტესწილად ისე იყო „შუა ქალაქი“ წარმოდგენილი, თითქოს მათი მშობლები არც არსებობდნენ.

კოლექტიური ფანტაზია, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ რაღაც კავშირი რეალობასთან მასაც კი უნდა ჰქონდეს.

„ჩემი ცოლის დაქალები“ სხვადასხვა თაობების ურთიერთობის ჩვენებასთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა. დავიწყოთ იმით, რომ ეს სიტკომი კი არა, კომედიური დრამაა. თუ „შუა ქალაქის“ მოდელი ამერიკული „მეგობრები“ იყო, „რუსთავი 2“-ის სერიალი ჟანრულად უფრო „სექსი და ქალაქის“ გვერდზე უნდა დავაყენოთ. ნაწილობრივ ამ ჟანრული მიკუთვნებულობის გამო, ნაწილობრივ კი - მეტი ფსიქოლოგიზმის გამო, რომელიც პერსონაჟებს უფრო რელიეფურს ხდის, ახალმა სერიამა შეძლო აქტივაცია გაეკეთებინა იმისთვის, რასაც, საკმაოდ მოუხერხებლად, კოლექტიურ ცნობიერებას თუ კოლექტიურ ფანტაზიას ვუწოდებ.

თუ „ცხელ ძაღლში“ ორივე მთავარი გმირი მამაკაცი იყო და ქალებს მაინც უკანა პლანის როლები ჰქონდათ, ამ ახალ კომედიაში მთავარ პერსონაჟებად სამი ახალგაზრდა ქალი გვევლინება. ეს არაა ჩვენს საზოგადოებაში ქალების როლის ზრდის ნიშანი - უბრალოდ, დეტექტივის მამაკაცები და კომედიური დრამის ქალები სხვადასხვა სივრცეებში მოძრაობენ. პირველ შემთხვევაში ჩვეულებრივი კრიმინალი აუცილებლობით გადიოდა ნაციონალური პოლიტიკისა და საჯარო პრობლემების განზომილებაში; მეორე შემთხვევაში კი საჯარო სივრცე უბრალოდ არ არსებობს: სამი ახალგაზრდა ქალი ექსკლუზიურად კერძო სივრცეში ცხოვრობს, რომელიც გარდა ოჯახისა, მართალია, სამსახურსაც მოიცავს, მაგრამ ეს სამსახურიც სრულიად პრივატული საქმეა. ოჯახი, ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები, თაყვანისმცემლები - ესაა სერიალის ახალგაზ-

რდა ქალების სოციალური გარემო. „ცხელი ძაღლის“ გადაღებიდან ათი წელიც არ გასულა, მაგრამ ცვლილება სახეზეა.

შეიძლება ვინმე შემომედავოს - ეს განსხვავება არა პერიოდების, არამედ ფანრების გამოაო. მაგრამ არ დავეთახნებოდი: ჩვენ გვინახავს ქართული დეტექტიური სერიאלები, რომელთაც არანაირი პოლიტიკურ-საჯარო დატვირთვა არ ჰქონიათ (მაგალითად, „ყავა და ლუდი“), ხოლო კომედიური ფანრის ქართული სერიალი არასოდეს უჩიოდა პოლიტიკოსების ვიზიტების სიმძირეს, რაც მათ საჯარო ფუნქციას თუ არ ანიჭებდა, მანიპულაციის იარაღად ნამდვილად აქცევდა. ასე რომ, თუ ჩვენ დღეს ვუყურებთ კომედიურ დრამას, რომელიც მთლიანად კერძო სივრცეში მიმდინარეობს, ეს შეიძლება გარკვეული სიმბოლო იყოს - სწორედ ჯგუფური ცნობიერებისა, რომელიც, განსხვავებით 2003 წლისგან, ქვეყნის შეცვლაზე კი არა, საკუთრივ ცხოვრების მოწყობაზეა მიმართული.


გამიჭირდება იმის თქმა, ეს რეალობის ასახვაა, რომელიც ტენდენციის სახით არსებობს, თუ კიდევ ერთი უტოპია, რომელსაც ახდენა არ უწერია. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დღეს საქართველოში უკვე არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ცხოვრების აზრად სწორედ პრივატულს მიიჩნევენ და არა - საჯაროს. ეს არ გამოირიცხავს ამ ადამიანების „პოლიტიზაციას“ ქართული აზრით: ანუ პოლიტიკაზე ბევრ ლაპარაკსა და ჩხუბს. მართალია, ზედაპირული პოლიტიზაციის ეს ასპექტი სერიალში ასახული არაა, მაგრამ ალბათ სწორედ იმიტომ, რომ სინამდვილეში ეს ადამიანები საკუთარი პრობლემების გადაჭრას პოლიტიკურ სფეროს აღარ უკავშირებენ.

„ჩემი ცოლის დაქალები“ - ესაა სერიალი საშუალო კლასის ჩანასახზე, რომელიც პირადი ცხოვრების მოწყობას ცდილობს. მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობენ სერიის პერსონაჟების პროტოტიპები რეალურ ცხოვრებაში ნაცმოდრობასა თუ „ქართულ ოცნებაზე“, მათი ცხოვრების ჭეშმარიტება მათი კერძო ცხოვრების დრამებია, რომლებსაც სერიალი ასე ნიჭიერად გადმოგვცემს. ხოლო სოციალურად ეს იმის მომსწავებელია, რომ საქართველოში ნელ-ნელა ხდება პრივატული სფეროს ავტონომიზაცია, რომელიც აღარც ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე დამოკიდებული და აღარც უშუალო ფიზიკური ძალადობის საფრთხეზე. უბრალოდ ეს პრივატული სფერო ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ადამიანის პრივილეგიაა - მათი, ვისაც კარგი შემოსავალი აქვს.

მოხდება თუ არა ამ ადამიანების რიცხვის ზრდა, ამას, ალბათ, ასე ათ წელიწადში ვნახავთ, შემდეგი კარგი ქართული სატელევიზიო სერიალის ანალიზისას.



ნა. ნინოს სასკოლოს ნიუ-იორკის ქართული კვლევების ავტობუსის მარშრუტი



**ავტობუსი
მუშაობს
შაბათ საღამოსა
და კვირა დილით,
აგრეთვე
სადღესასწაულო
დღეებში**



**ერთი ბზის
საფასური
ორი დოლარი**

**დაგვიკავშირდით:
რაული: 646-267-8312
მალხაზი: 347-634-9836**



ვაჟა-ფშაველა წიგნითა მორწილი

ეს ამბავი დიდს, შავს, დაბურულს ტყეში მოჰხდა, სოფლებსა და ქალაქებსე დიდად მოშორებით. რა ამბავიაო? იკითხავთ. ჩხიკვათა ქორწილსე მოგახსენებთ. ჩხიკვი ზაქარა იწერდა ჯვარს ლამაზს, სიტურფითგანთქმულ და მეტიმეტად ეშმაკ ჩხიკვს ქეთევანსე. ამ ორ ახალგაზრდა ფრინველს ჯვარსა სწერდა მსცოვანი ჩხიკვი თომა.

თომამ გულმოდგინედ აღაპერო თვალნი ზეცად და წარმოთქვა: აკურთხე, უფალო, გვირგვინი ამათი, შთაუნერგე ამათ ერთმანეთის სიყვარული და ერთგულება, განამრავლენ ესენი, ვითარცა წყალში თევზნი, ცაში ვარსკვლავნი, ჰქმენ შეუბღალავი სარეცელი მონისა შენისა ზაქარისა და მსევლისა შენისა ქეთევანისა. ამინ.

სთქვა რა ეს, ორივეს ტურფა ევაილები გვირგვინი დაადგა თავსე.

ამინ! ამინ! - გაისმა გრგვინვით ხმა აქეთ-იქიდან. ამას იმანდენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკვი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, ცნოლები, ღობემძვრალეები, ბოლოცეცნელები, ჭიუჭავნი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი.

ტევა აღარ იყო, იმოდენა სტუმრებს მოეუარათ თავი. საქეიფოდ მშვენიერი ადგილი ამოერჩიათ: ერთი ტაფობი

სმირევაილიანი, ბალახით დაფენილი და უსარმაზარი ხეებით დაჩრდილული. ევაილებსაც უსაროდათ, ისინიც ქორწილში იყვნენ დაპატიებულნი. იქვე ცივი, ანკარა წყალი გამოდიოდა. სუფრა გრძლად იყო დაფენილი და ზედ ათასნაირი საჭმელები და სილუელობა ელაგა. რა ჯურის ჭიას და ბუსს იტყვიოთ, აქ არ მოეტანათ, - ბალახთა თესლი ათასნაირი.

ნეფე-დედოფალი მიიწვიეს ევაილებით დაფენილს ტახტსე და წვეულნიც წამოსხდნენ მწკრივად. გაიმართა დიდი სმეულობა და ჭმეულობა. ათასნაირი სასმელები ისმეოდა: კახური ლლისფერი ღვინო წყალივით მოდიოდა სუფრასე. ეველამ ადღევრძელა ნეფე-დედოფალი და ეველამაც ძღვენი მიართვა.

იქვე კოდალა მჯდარიყო ერთ ეუნჭსე ფულურობში და იმან „მრავალქამიერი“ დაიძახა.

- შენ, ეი, მევირალავ, ღვინოს კი არა სვამ, შვილონავ, და რა იქნება? ღვინო დალიე, და! - შეუძახეს კოდალას ერთხმად ფრინველთა.

- მოიცათ, კაცებო, ცოტა ხანი დამაცადეთ, ღმერთი გადავგრძელებთ; აქ ერთი კბი მსუქანი ჭია ვიპოვნე, ის მინდა გამოვთხარო და მერე, რამდენიც გინდა, ღვინო მასვით, ფიქრი აღარა მაქვს, გულდამშვიდებით ვიქნები, - მიუგო მათ კოდალამ და თან ნისკარტით დაუწყო ფუტუროს ხიჩქნა. ეველამ თვალი კოდალას მიაპერო.

- აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, - მისძახოდნენ კოდალას ფრინველნი: - თუ არ გამოგიყვანია, ვაი შენს ტეავს, ზურს აღარ გაჭმევთ, იცოდე.

კარგა ხანს გაუდიოდა ფუტუროს ხეზე კოდალას ნისკარტს და ფეხებს ფხაკუნნი და არც ტყუილად: კოდალამ გამოათრია ერთი კარგი მოგრძო ჭია, გველის ჭარის (გველის წანაყარი ტეავი) მსგავსი, და ნისკარტით მიართვა ნეფე-დედოფალს.

- გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს! - დაივირობ კოდალამ მაღლის ხმით, - კამანისასაც გაუმარჯოს, ურა!

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ურა! ეოჩად, კოდალა! ბარაქალა, რომ არც თავი შეიძრცხვინე და არც ჩვენ, - ჰევიროდნენ ფრინველნი. თამადამ „საკარგემო“, რადგანაც ვაჟკაცობა გამოიჩინა კოდალამ, ღვინით სახვე ჯიხვი მიანწოდა; იმანაც სულუქეფრად გადაჰკრა და გადაუკვდა თამადას ცარიელი ჯიხვი. თამადად იგივე მოძღვარი ჩხიკვი თომა ამოერჩიათ.

- ზურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, - სთქვა ევაუმ და თავის მშვენიერის ხმით შემოსძახა სუფრული. ევაუს მისცეს აქეთ-იქიდან ბანი და გაძლიერდა ძღვერა ისე, რომ ტეეს ჭახჭახსი გაჰქონდა. მთა-ბარი ზანზარებდა. ევაილები სიცილით ისიცებოდნენ.

აქვე ახლოს ერთ თავუნისა ჰქონდა სორო. ხმაურობასე საღერღელი აეშალა და გამოიხედა სოროდან გარეთ.

დიდხანს უცქირა ფრინველთა ნადიმს, შექცევას, ჰხედავდა მსუქანს, ნოყიერ საჭმელებს, ფერად-ფერადს, ნაირ-ნაირს და ხარბად ჰქლანავდა ნერწყვს ნერწყვსედ. ითმინა დიდხანს და ვედარ მოითმინა: რაც მომივა მომივაო, სთქვა; მიცუნცულდა ახლოს, ისკუპა და ზირდაზირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიანს სუფრასე დასკუპდა.

- ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! გაუმარჯოს წრუწუნას! - გაისმა საერთო ხმა ფრინველთა, - ჰოი, შენი ჭირიმე, რო დაგვხედე, ბიჭო! - ეუბნებოდნენ თავს შესარსოშობულნი ფრინველნი.

- გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, გენაცვალეთ, იცოცხლეთ და იხარეთ, მუდამაც ლხინი და კაი საქმე ნუ მოგიძალათ უფალმა დამბადებულმა, - ამბობდა თავი და თან ერთს გულისანს თხილს ჩასციებოდა, კბილით აკნაწუნებდა ნელ-ნელა.

- ღვინო მიართვით წრუწუნას, ღვინო! - დაიძანა თამადამ, - მაგას ჩვენდრობადის ბუფი აკლია.

- არ გაიხლებით, გენაცვალეთ, თხილი ჩემის თვალის სინათლესაც მიჩვევინა, თქვენ გაატარეთ დროება; მე თხილს ვაკნაწუნებ, არაფერი მიშავს.

- არ გაიხლებით, რა სიტყვის ზასუხია! ჰა, დალიე, თორემ თავსე დაგასხამთ ღვინოს, უთხრა შეტყვიით თამადამ თავს და ჯიხვი კოდალას მიაწოდა. კოდალამ ჩამოართვა თომას ჯიხვი და მიუჯდა წრუწუნას ახლოს.

- დალიე, ე, მძობილო, ქორწილია, განა ის ხომ არ არის! თხილი აკნაწუნო, რა ბრძანებაა! ჰაი, თუ აკნაწუნებ შენცა, ჰა, ჩამომართვი ჯიხვი-მეთქი, - უთხრა კოდალამ და თან ჯიხვი მიაწოდა.

- ვერ დავლევ, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, არ შემიძლიან და რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, - მიუგო მას თავკმა და ზირი მოარიდა.

- დაასხით, თავსე დაასხით მაგ ვირიშვილს, მაგას! - დაიყვირა თამადამ, - მაშ, ნეფე-დედოფალი არ უნდა ადღეგრძელო, შე ბრიეო, შენა?!

- ჩემს დეში ღვინო არ მისვამს, კაცებო, ესლა უნდა დამახვიოთ ღვინის სმასა? როგორ იქნება, რა ახირებაა მაინც და მაინც?! ზატოისანი, დარბაისელი ხალხი ბრძანდებით. აი, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოდ ერთს სოკოს გაიხლებით.

- დააღეინე, დააღეინე, ძალით უნდა დალიოს. აქ რისთვის მოეთრეოდა, თუ ღვინოს არა სვამდა, დააღეინე, დააღეინე, - ისმოდა ფრინველთა ხმა.

კოდალამ დასტავა წრუწუნას ცალის ხელით კისერში, მეორე ხელით ზირში მიავება ღვინით სავსე ჯიხვი და დაუწყო ძალათი სმევა.

- შენი ნება თუ იქნება, კი ვიცი, არ მიირთმევ, ვაკბატონო, მაგრამ აქ თამადის ნებაა. უყურებ ამოდენა დუნიას, ერთი არ არის, ღვინოს არ სვამდეს. ერთი შენ გამოხინდი

აქ ახირებული. ჰა, გაუბედე, გაუბედე, ცოდო არ არის დედის რძესავით ღვინოს ზირს არიდებდე, შე უჯიშოვ, შენა?

თავკმა რის წვალებით ჩაელაზა რამდენიმე წვეთი და თან წრუწუნებდა, ეტობოდა, არ ესინამოვნებოდა ღვინო.

- გაუბედე, წრუწუნავ, გაუბედე! აბა და ჰა! ემანგრე, მანგრე! ა, ეოჩად, ბიჭო! - დაჰკვიინებდნენ თავსუნას ფრინველნი.

თავსუნამ დაიწვიპა, დაიჭიმა უელის ძაფები, შეებრძოლა ღვინოს და გადაჰკრა, დასცალა. ხოლო ხავერდის ქულაჯასე გადაეხსნა ცოტადენი ღვინო.

- ქულაჯასე ნუ მასხამ ღვინოს, ე, ჩერხეტო, განა შენს ხანანის ფაფანასა ჰგავს, რომ ავრე ბრიევად ექცევი?! - შეუტია კოდალას. მერე ღრმად ამოიხვნეშა. სულ უკანასკნელი ულაზილ აკლდა და დაიყვირა: გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს!

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! მოცალა! მოცალა! - ისმოდა ადტაცებული ხმა.

წრუწუნას ძალე მოედო ღვინო და მოჰყვა ბაიათებს. ისე მღეროდა, რომ წრიზინით ეველას ყურები გამოუჭებდა. მერე ცეკვავც დაიწყო. ხალხს სიცილით ჰხოცავდა. იმას კაჭკაჭი აჰყვა და დავლურს უვლიდნენ ორივენი. ევავეს მუცლები ხელით ეჭირათ, იმდენს იცინოდნენ ამ სურათის მნახველნი.


- უჰ, დავიღალეო, - სთქვა ბოლოს თავკმა; მართლაც ზირსე და გულ-მკერდსე ხვითქი გადასდიოდა: იქვე სუფრის ახლოს წამოწვა. გამობურთული ფაშვი წყაცს მიაშერო და ისე ქმინავდა. სულ ბოლოს სუფრასე ბულებული იჯდა, მგალობელი ჩიტი არა ღხინობდა, არ იცინოდა; დაღონებულ-დაფიქრებული უცქეროდა სერს.

- მძვენიერო ბულებულო, რატომ შენს მძვენიერს ხმას არ გაგვაგონებო? - შესთხოვეს ბულებულს ფრინველთა.

ბულებული უარსე დადგა; განა ყოველთვის ვარ სიმღერის იმტასე, უგუნებოდ ვახლავართო, - სთქვა მან. როგორც იყო, ფრინველთა ხვეწნა-მუდარამ გასჭრა და ბულებულმაც დაიწყო. ფრინველთ ხმა გაკმინდეს, ბუხების ფრენა ისმოდა, ევაველთ სული განახეს და მოტრფიალე თვალეებით შესცქეროდნენ მგოსანს. ბულებულმა დაიმღერა.

ამდროს შორიასლოს ხარირემი გამოჩენილიყო და გულმოდგინედ უგდებდა ყურსა ფრინველთა მღერას, ბულებულის სტეკანას. ბულებულის სტეკნამ ნაღველი აღუძრა გულში. რაღაც მოაგონდა, თვალეზე ცრემლი მოუვიდა, ამოიოხრა და გაბრუნდა, მიეფარა უღრანს ტყეს.

ფრინველთ განახეს საერთო მღერა. ერთს სიმღერას ამბობდნენ ეველანი, ხოლო თავ-თავიანთს ხმაზე კი; ამ სიმღერაში ბუნების ქება იხატებოდა, ტყისა და დედამიწის მადლი. ამ მადლს მადლობას უძღვნიდნენ ფრინველნი. ამ დროს თვალის ვლებით ვადმოიარა არწივმა; „არწივი, არწივი!“ გაისმა ხმა: „მეფე მობრძანდებაო!“ ერთბაშად ეველას ჩაუ-



კრეატიული ბავშვების მულტიფილმი:
<http://www.youtube.com/watch?v=MdxyJ8XJ80I>

ვარდათ მუცელში ენა, ხმის ამოღებას ვეღარ ჰბედავდნენ; ვეველანი ცანცანმა, კანკალმა აიტანა.

მართლაც და საძინელი სანახავი იყო ამ დროს არწივი: რა უნდოდა? ერთის დატყევის მეტი კი არ მოუნდებოდა, რომ მთლად ბურნუთად ექცია ფრინველთა ბრბო.

- რად შეჰკრთით, ხალხნო? ხმა ამოიღეთ. განა მეფე ჩვენს შემუსვრას იკადრებს, მოიწადინებს?! - ეტყოდა ფრინველთ ჩხიკვი მოძღვარი, - თუ მეტყვით, ამ წუთას აქ მოვიწვევ მეფეს.

ზოგნი უარზე დადგნენ; იმის თვალების ბრიალს ვინ გაუძღვებოდა, ამბობდნენ: ჩვენ კი ვეღარას ვისიამოვნებთ და რა იქნებაო. სხვებმა მოუწონეს, მოვიწვიოთო.

მოძღვარი ჩხიკვი წავიდა სრიალით აღმა და გაუთამაშა წინ ფრინველთა მეფეს. არწივმა სიარული არ შეშალა, თითქოს ბუხი უფრინავად წინა.

- გაუმარჯოს შენს დიდებულებას, ჩვენო მეფე, - მისცა ქუდმოხდილმა ჩხიკვამ სალაში არწივს.

- გაუმარჯოს ჩხიკვსაც, - სთქვა მან დინჯად.

- ჩვენო დიდებულო მეფე, გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთ, გთხოვთ გულის და სულის; მუსლმოურით გვევდრება მთელი შენი საეპო; თუ გვიკადრებს შენი დიდებულება, დიდად მადლობელი დაგვრჩებით, თავს შემოგეგვლებით.

- შეიძლება, რატომ! - სთქვა არწივმა, - გამიძღვ წინ!

ჩხიკვი დაეშვა თავქვე და არწივმაც შემოიკეცა თავისი მძლავრი ფრთები და დაემო თავქვე.

მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ჭივილ-სივილით მიეკება წინ თავის მეფეს. არწივმაც თავისებური ხალაში მისცა ფრინველთა კრებულს.

მოიწვიეს მეფე და დასვეს თავში. ვეველანი ფესზე იდგნენ ქუდმოხდილნი. ბულებული არა სხანდა მხოლოდ.

- შეგიძლიათ დასხდეთ, - უთხრა მათ არწივმა და ფრინველნიც უფროს-უძვროსობის წესზე დალაგდნენ.

ეს ამბავი ოთხმბაბათს დღეს მოჰხდა. ტყეში წასული ხალხი, თუ სამუშაოდ, თუ სანადიროდ, გაოცებული რჩებოდა. ამბობდა ვეველა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმაც აღარსაიდან ისმისო. ხალხმა რა იცოდა, თუ ფრინველნი ჩხიკვთა ქორწილში იყვნენ, - განცხრომა-სა და ქეიფში. არწივს მიაღრთვეს ღვინო ჯიხვებით. იგი დაუნარებლივ სვამდა და ძლიერად გამხიარულდა; შემოსძახა თავისი სახარელი ხმით რაღაც საგმირო სიმღერა; ვეველანს ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

- ღმერთო, - ესვეწებოდნენ ვეველანი ღმერთს, - ღმერთო, ნუ გააჯავრებ ნურაფრით ჩვენს მეფეს, თორემ გაგაკვუჩავს ერთ წამშიო.

არწივი მაინც არა ჯავრობდა, სთხოვდა ფრინველთ ემსიარულათ, ემღერათ, ეცეკვათ, მაგრამ ფრინველთ რაღაც გუნება გადაუბრუნდათ. არ იცოდნენ, რა დაემართათ, რომ ფრინველებისთვის გაბედულება მიეცა, არწივმა უბრძანა

შთაებერთათ ბუკ-ნაღარსათვის. ბრძანება იმავე წუთას ასრულდა და არწივმაც დაიწყო ბობლვა თავის მძლავრის კლანჭებით: სულ გათელა თითქმის ის ვევალიანი ადგილი. მაინც კიდევ ვერავინ ჰბედავდა თამაშობას. ბოლოს ისევ წრწუნამ გაჰბედა: ისეთი ლეკური დაუარა, ისეთს ბუქნაში ამოდიოდა, რომ მტვერი ცანსა სწვდებოდა. ერთხელ გატაცებული და განცხარებული არწივსაც კი გადაახტა თავსე. ცოტა არ იყოს, ეწვინა მეფეს ემის ასეთი ბრივეული ქცევა, მაგრამ ზრდილობისა და შემთხვევის გამო, არაფერი უთხრა, მხოლოდ შეუბღვირა კი ერთხელ ისე, რომ თავუნამ შიშისაგან კინაღამ სული განუტევა. მაინც ამ შებღვერვის შემდეგ წრწუნა კაცად აღარ ვარჯოდა, განდა ავად, წავიდა და დაწვა ერთის ხის ძირას, ზედ ერთი სმელი ვერხვის ფოთლი წაიხურა.

ფრინველებში ვეველანე თამამად კოდალა იქცეოდა, კარგა გადაკრულიც განლდათ და ისეთს ბაიათებს გაჰკიოდა, რომ მთელი მთა-ბარი ინძვროდა. კოდალა ეხლა იქამდის გათამამდა, რომ მეფესაც აუსირდა.

- შენ მეფობა ვინ მოგცაო, - უთხრა მან არწივს, - ჩვენ როდის ამოგირჩიეთო.

- ბიჭო, შე ოჯახქორო, სუ, განუძღვი, რას ამბობ, შე თავსედო? - წასჩურჩულეს ფრინველთა.

- არც ვაზრუდები და არცა! რად უნდა ვაზრუდო, რაო ჩემო?! - ამბობდა კვლავ შესარწმუნებელი კოდალა. - თქვენ რა ხალხი ხართ? გული-გულში ვეველანს გეჯავრებთ, და ჰირში კი ვერაფერს ეუბნებით. ბიჭობა ჰირად თქმაა.

არწივმა ბევრი იცინა კოდალას ახირობასე, მაგრამ ფრინველთა ითაკილეს მეფის შეურაცხყოფა, შეიპყრეს კოდალა, ნისკარტში წბილა გაუყარეს და იქვე სეზე მიაკრეს. დაღონდა კოდალა, აღარ იღებს ხმას, არ ესმის, რისთვის დასაჯეს ასე სასტიკად. ფრინველნი რომ ამ განიდუღობაში იყვნენ, მელა მოჰპარვოდათ ახლო. დიდხანს უთვალთვალა ცბიერმა ცხოველმა ტყის ჰირიდან და უცდიდა დროს, ფიქრობდა, ჯერ კარგად დათვრენ, მაშინაა ჩემი დროო. მელა იმ დროს დაინახეს, რომ ის-ის იყო უნდა ნეფე-დედოფლისათვის ეტაცა ჰირი. ატედა ხმა, ევირილი, აიშალა ფრინველთა გუნდი, ხოლო ნისკარტადგებული არწივი ეძკერა მელას და ერთს წამს სული გააფრთხობინა. ფრინველნი გაიფანტნენ: ზოგი სეებზე შესხდა, სხვა მადლა ტრიალებდა. დაბლა არწივი და კოდალაღა დარჩა; ავადმოფშა თავკმაც განგაშის ხმასე სორო მოძებნა. არწივმა კოდალაც გაათავისუფლა და უთხრა: ეგ მიქარვა მიწატიებია, რადგანაც ნასვამი იყავი, და მეორედ აღარ გაბედოო.

თვითონაც აფრინდა, აფრინდა მადლა, თითქოს ცანს მიეკარა, და იქ ირგვლივ დაიწყო ტრიალი. ქეთევანი და სხვანაც მიეფარნენ უღრან ტყეს: ერთმანეთის აღერსში და კაცნა-ხვევანში გაატარეს ის დღე და საღამოდ ერთის წიფლის ტოტზე დაემინათ გვერდის-გვერდ.

ბუჩქი დეიდას მოწყობილი ამბავი

„ტორპედოს“ სტადიონის წინ, მიხეილ მესხის ქუჩაზე, ორსართულიანი, კერძო სახლებია ჩამწკრივებული. ერთ-ერთი მათგანის ჭიშკართან მივაკვლიეთ ფრიად კოლორიტული გარეგნობის, 72 წლის ქალბატონს. მოკლესახელოებიანი მონაცრისფრო კაბა ეცვა, მარცხენა ლაწვზე დიდი, მუქი ხალი ჰქონდა, თავზე კოსტად შემოხვეული შავი ხილაბანიდან კი ჭადარაშერეული, მოწითურო, ხვეული კულულები უჩანდა. იფიქრებდი, შეხნიერებული მარგალიტა ბიცოლაა „შერეკილებიდან“, ისე ჩამოჰგავდა... ახალგაზრდობაში მართლაც მშვენიერი ქალი იქნებოდა.

მასთან საუბრისას ასეთი საინტერესო რამ მოვისმინეთ:

- სახლში ბუჩქის მეძახიან, ისე ქსენია მქვია პასპორტში. ქმარი იყო ჩემი ბრეგვაძე, ვალიკო ბრეგვაძე. რეზოს ბებია და ჩემი მამამთილი ბესარიონი და-ძმანი იყვნენ. კინოში რო მარგალიტაა, სინამდვილეში, იყო რეზოს კვიდრი დეიდა. ისედაც მარგალიტა ერქვა. მართლა გავდა იმას, ეკრანზე რომაა: დიდი, მოსული, ფართესახიანი ქალი იყო ისიც, სახეზე ის ქონდა, რა ქვია, ნაბატონარს რო იტყვიან... ნაყვავილარს... კაი შეხედული ქალი იყო ძან.

მარიფათიანი ქალი, უი, რაფერი!

ჯერ მუშაობდა კონდუქტორად - პირველად რო გევიდა ტროლეიბუსი აქანე, მაშინ. იცოდა გადმოძახება მგზავრებში: საყვარლებო, ოქროიებო, გენაცვალეთ! - ეფერებოდა ხალხს, ბილეთის ფულს რო ითხოვდა. მერე გადმევიდა სუნელებზე დიდ ბაზარში. ნიორებს ქე რო ყიდიან ახლა, იმ რიადში იჯდა.

ყველას უყვარდა მარგალიტა და პატვის ცემდა, სანათესაოშიც კაი ქალი იყო ნამეტანი.


დიდი ხანია, გარდაიცვალა. იქნება ერთი 15 წლის, მეტის გარდაცვლილი. შვილი ყავდა ერთი, მაყვალა, კაი გოგო ძალიან და მოკვდა ისიც, საწყალი! კაი შთამომავლობა დარჩა მაყვალას, ნასწავლი ხალხი.

ჩემ მამამთილს, როგორც ვითხარით, ბესარიონი ერქვა, მართლა კაი კაცი იყო, მშრომელი, გულკეთილი, გიჟდებოდა დისშვილებისთვის. ეს ფილმი, „შერეკილები“ რო გამოვიდა, რეზო ემასხრა: „შენ გამოგიყვანე, ბიძაო. ასეაო. შენ არ იცი გადახთა ვალის და ამიზა გამოგიყვანეო. ჩემ მამამთილს ეწყინა, ასეთი ვარ მეო? - და დაემდურა. ჩემი მამამთილი ფილმში რომელია და - მიზანა ბრეგვაძე. რა იყო გულმოსასვლელი, მარა ჩემ მამამთილს გული დაწვდა მაინც: მე ასეთი ვარო? მე მიყვარს სხვის ხარჯზე ყოფნაო? ერთი პატარა ამბავი მომხდარა დიდი ხნის წინათ, - ჩემი მამამთილი გვიყვებოდა, - თურმე,

ძალიან ძნელია, ცდუნებას გაუმკლავდე და არ დაინტერესდე საყვარელი მწერლის შიდა ლაბორატორიით: როგორ ქმნის ის სიუჟეტს; როგორ იყენებს პროტოტიპის თვისებებს მხატვრული სახის შესაქმნელად; როგორ აისახება მის შემოქმედებაში რეალურად ნანახი და განცდილი...

ჰო, კაცმა რომ თქვას, რა ჩვენი საქმეა! მკითხველებმა უკვე გამზადებული და გარანდული ნაწარმოები უნდა ვიკითხოთ, ხოლო მწერლის უბის წიგნაკში თუ მეხსიერების დაფაზე ჩაწერილი, სამზეოზე გამოუტანელი სიტყვები, სახელები, ფაქტები რა ჩვენი განსახილველია! მაგრამ მაინც... როგორ უნდა გაუძლო ცნობისმოყვარეობას და არ მოუსმინო ადამიანებს, რომლებიც დიდი რეზო გაბრიადის შესახებ თავისებურად გიყვებიან?!

კანკანიტა, კიხანა და რეზო გაბრიადის დიდი სამყაროს სხვა მოზინადრები



„წივლა მიზანამ, ხმა ზეცას
ებღვანა, ეჩხუბა, შემდეგ მოფე-
რა, თავქვე დაეშვა და, ის იყო,
სუფრას უნდა დაბრუნებოდა, ის-
ვე აფრინდა ზევით და ისევ იწყო
ტაში ბრღვანა და გლეჯა...“

შრომაში წასულა რეზოს ბაბუას, ვარლამის ფაეტონით, ჭურების ჩამოსატანად. ესე იგი, სიძე და ცოლისძმა. ხოლო, რასან ახლობლები იყვენ, ჩემმა მამამთილმა, ბესარიონმა, ფული არ გადაუხადა, თურმე, სიძეს. ეს ახსოვდა, ეტყობა, რეზოს. ამაზე ააგო მიზანას ხასიათი, მგონია, რა ვიცი.

მარგალიტასაც უთხრა თურმე: დეიდა, ეს შენ ხარო და იმასაც წყენია - როის იყო, ბიჭო, მე ბუხრებში ვაძვრენდი კაცებსო. მარა, ყველაფერი ზუსტად ისე ხო არ იქნებოდა, მწერალი ხო ამატებს და ლამაზად ყობა ამბავს. მე მარგალიტაც ძან მომწონს და მიზანაც. რეზოს ნაჩუქარი

წიგნები მაქვს, სიამოვნებით ვკითხულობ, მარა ახლა ამათმა საცხა გადამიკარგენ ამ რემონტის დროს.

თვითან რეზოც როგორი კაი კაცია ურთიერთობებში! უყვარს უბრალო ადამიანები. იცის შეკითხვები, კი. ნამდვილად არ არის ისეთი, ქე რო გეიპრანჭებიან. უფრო - შინაურული და თბილი კაცია. წიგნებიც რა კაი აქვს დაწერილი! როგორ იყო, რაფერ იზრდებოდა, - ყველაფერი აქვს ერთ წიგნში შეტანილი...

უფროსი და

პროტოტიპებსა და მწერლის შინაურ

გარემოზე სასაუბროდ, სად უნდა იპოვნო მის ღვიძლ დაზე უკეთესი რესონანსი?

როგორც კი თბილისის ქუჩაზე, მწვანე სუროში ნახევრად ჩაფლული სახლის სადარბაზო კარს გაგიღებს თოვლისფერი ქალბატონი, ღვაწლმოსილი ექიმი ნორა გაბრიაძე, პირველი გაცემა შეგიპყრობს: „როგორ ჰგავს სახის ნაკვთებით ძმას!“

- ქალბატონო ნორა, თქვენი ნათესავის თქმით, მარგალიტას პროტოტიპი რეზო გაბრიაძის დეიდაა. ასეა?

- მე ვფიქრობ, რომ რეზოს პერსონაჟებს ერთი კონკრეტული პროტოტიპი არ ჰყავთ. ისინი ცხოვრებაში შეხვედრილი ადამიანებისა და გამოგონილის კრებითი სახეა, მხატვრულად გარდაქმნილი და დამუშავებული. ასე რომ, ვერ დავადასტურებ.

რეზოს უნიკალური მეხსიერება აქვს. ისეთ რამეებს გაიხსენებს ხოლმე წარსულიდან, ისეთ შემთხვევებს, ფაქტებს, ადამიანებს, უწვრილმანეს დეტალებს, რომ ყოველთვის გაცემაზე ვარ - საიდან გახსოვს-მეთქი. აი, ის შთაბეჭდილებები და ემოციები მხატვრულად გარდასახული მის ნაწარმოებებში.

მაგალითად, მიზანა მამაჩვენის ერთ-ერთ თანამშრომელს ერქვა... არა, არა, თანამშრომელი კი არა, ფარდულში ღვინოს ყიდდა. ძალიან კარგი, სიმპათიური კაცი იყო. რეზომ მერე სწორედ მიზანა დაარქვა თავის ერთ, სრულიად განსხვავებულ პერსონაჟს, რომელსაც, ვფიქრობ, ძალიანაც მოუხდა ეს სახელი. მის პერსონაჟებს შორის ბევრს ჰქვია ჩვენი ახლობლების სახელები, გვარები. მაგალითად, ვარლამი (რომანიდან „ქუთაისიც ქალაქია“) ჩვენი ბაბუას სახელია და ა.შ.

მე რეზოზე ხუთი წლით უფროსი ვარ. გვყავს კიდევ ერთი და, ლალი. იმის მიუხედავად, რომ მამაჩვენი, ლევან გაბრიაძე, უმაღლესი პარტიული მუშაკი იყო, ჩვენი ოჯახიც, სხვების მსგავსად, ძალიან დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ისე, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, როცა სასწავლებლად თბილისში გადავედი და იქაურ ოჯახებში მოხვდი, ზოგიერთი კერძი პირველად გავსინჯე და ბევრი რამ პირველად ენახე. ჩვენ არასოდეს გვქონია ფუფუნება და სხვებისგან განსხვავებული ყოფითი პირობები. მძიმე დრო იყო, შიმისი და გაჭირვების დრო. ჩემგან, ალბათ, კარგი დიზაინერი დადგებოდა, მაგრამ ექიმის პროფესია ამირჩია ოჯახმა და, იცით, რატომ? - გადასახლებაში რომ მოხვდეს, ამ პროფესიით უფრო გაიტანს თავსო... აი, ასეთ დროში ვცხოვრობდით, თუმცა ამ წლებიდან ბევრი კარგიც გვანსოვს - ადამიანური ურთიერთობების, ქალაქური ტრადიციების, კულტურის სიღამაზე... ეს ყველაფერი დალექილია რეზოს ნაწარმოებებში, როცა

მათ ვკითხულობ, ვეღარ გამოვდივარ იმ ძველი, მშვენიერი ქუთაისის ნოსტალგიიდან. რეზო ისე წერს, ვეღარც ვამჩნევ, სად მთავრდება ნამდვილი ქუთაისი და სად იწყება რეზოს შემოქმედება.

- როგორი ურთიერთობა გაქვთ შემოქმედ ძმასთან?

- მე შემოძლია ვთქვა, რომ მუდამ მისი



ერთგული მკითხველი ვიყავი. როცა რაიმეს შექმნიდა და წამაკითხებდა, იცოდა, რომ გულწრფელად გავუზიარებდი ჩემს შთაბეჭდილებებს, შენიშვნებს. თუმცა, ნაკლებად მახსენდება, რომ რაიმე შენიშვნა მიმეცეს - ის ისე ლამაზად, განსხვავებულად წერდა, რომ, როგორც მკითხველი, ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობდი.

ახლა აღარ მაკითხებს. არც ვიცი, რაზე მუშაობს. მგონი, უფრო ხატავს. მას ერთი დღითაც კი არ შეუძლია, არ ხატოს. აი, აგერაა მისი ძველი ნახატებიც - დააკვირდით, ხომ საკუთარი, განსხვავებული ხელწერა აქვს?

- დიახ, ძალზე გამორჩეული.

- მისი ძველი ნახატები უფრო მეტი მქონდა; წლებია, ვინახავ. მაგრამ, რამდენჯერაც ჩამოვიდა, იმდენჯერ შეარჩია ნაბუშევრები და წაიღო. ერთხელაც, გავუბრაზდი და კუთხარი - აწი, შენი ჩამოსვლის წინ, ნახატებს სადმე გადავმალავ-მეთქი. მე ისე მიეყარს თითოეული ნაბუშევარი და ისე ვუფროთხილდები, ძალიან გული მწყდება, როცა მიაქვს.

- ბატონი რეზო ქუთაისში ჩამოსვლისას სულ თქვენი ოჯახის სტუმარია?

- დიახ, რა თქმა უნდა. აი, ეს მისი საყვარელი კუთხეა, აქ იძინებს ხოლმე. მისი ნახატებიც აქვეა გამოფენილი.

ერთ საიღუმლოს გაგიმხვალთ: რეზოს ჩემთან პატარა უბის წიგნაკი დარჩა, შიგ რაღაცები აქვს ჩანიშნული... ძალიან მიყ-

ვარს ეს წიგნაკი, ამიტომ არ ვუბნები, ჯერჯერობით, რომ ესეც არ წამართვას.

- ქალბატონო ნორა, შეიძლება, ცალი თვალთ მინც ჩაიხედოთ ამ წიგნაკში?

- ჯერ არა. ჯერ ვეჭვი რეზოს. მერე, პირობას გაძღვეთ, პირველი, ვინც ამ წიგნაკში ჩაიხედავს, თქვენ იქნებით. მაინც სადღაც მაქვს გაბნეული...

- უღრმესი მადლობა. ერთი ასეთი შეკითხვა მაქვს: თქვენი მეუღლე საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ცნობილი მოქანდაკე და კოლორიტული პიროვნება ვოგოლო ნიკოლაძე ბრძანდებოდა. ზოგჯერ ამბობენ, რომ სწორედ ვოგოლო ნიკოლაძე იყო რეზო გაბრიაძის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გმირის - აგული ერისთავის პროტოტიპი. მართალია?

- აი, თქვენს წინაშე ვოგოლოს ნამუშევრები, დააკვირდით - ეს ხელმოცარული მოქანდაკის ნაწარმოებებია? ერთხელ ვილაყამ დაწერა და მერე სხვებმაც აიტაცეს, თითქოს ვოგოლო იყო აგულის პროტოტიპი. არავითარ შემთხვევაში! მინდა ეს საზგახმით ვითხრა, სხვების გასაგონადაც, რომ ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს ამაზე ლაპარაკი: ვოგოლო ნიკოლაძე არ არის აგულის პროტოტიპი! სხვა მხატვარია, დასახელება არ მინდა...

- მოდი, ბატონი რეზოს მარიონეტებზეც მითხარით რამე: „არაჩვეულებრივი გამოფენის“, „არ დაიდარდის“, „ფოლას“, „მერეკილების“ - ამ აღიარებულ, შესანიშნავი ფილმების შემდეგ, რეზო გაბრიაძემ, ყველასთვის მოულოდნელად, მარიონეტების თეატრისაკენ აიღო გეზი...

- ზუსტად მახსენდება ის დღე და ადგილიც კი - სპორტის სასახლესთან, წითელ შუქზე იყო მანქანა გაჩერებული, როცა რეზომ უეცრად მითხრა, რომ მარიონეტების თეატრის გაკეთებას აპირებს. მე გავოცდი: რას ამბობ, კინოსამყაროში ასეთი ცნობილი ხარ, შენი სცენარებით შექმნილი ფილმები მსოფლიოშია აღიარებული, კინოს როგორ ტოვებ-მეთქი?

მიმანია, რომ რეზომ, როგორც შემოქმედმა, საოცარი წინათგრძობით განჭვრიტა ის პროცესები, რაც მსოფლიო კინოში მალე მოხდებოდა... დაიწყო სრულიად სხვა ანრში მოღვაწეობა და შექმნა კიდევ თავისი სრულიად განსხვავებული, ახალი სამყარო.

რამდენჯერ მიტირია მისი ამა თუ იმ სპექტაკლის დროს! მაგალითად, „სტალინგრადის ბრძოლა“-ში არის სცენა, როცა მოახლოებული მატარებლის ბორბლების ხმაურში ყურს სიმფონია, რომელსაც ქვემეხებისა და ზარბაზნების შემზარავი გრილი ჩაანაცვლებს: „...ისეთი ემოციური ეპიზოდი იყო, წნევამ ამიწია. რეზოს ვუთხარი, გასკდა გული, მეტი აღარ შემოძლია, რას მიშვრები-მეთქი. იმის მერე „სტა-

ლინგრადის ბრძოლა“ საერთოდ აღარ მი-
ნახავს.

მარიონეტები, მხატვრობა, მუსიკა, ტექ-
სტი - ყველაფერი ისე სინთეზურადაა
ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ სცე-
ნური პირობითობიდან უცებ ნამდვილ ცხო-
ვრებაში აღმოჩნდები და, გგონია, ამ ტრა-
გიკომედიის უშუალო თვითმხილველი და
მონაწილე ხარ.

- გამორჩეულად რომელი ნაწარმოე-
ბი გიყვართ ბატონი რეზო შემოქმედები-
დან?

- „შერეკილები“. შესავალი მაინც საო-
ცარია, დიდებულია. რამ დაგაწერინა ეს-
მეთქი, კიდევ ვუთხარი აღფრთოვანებულმა.

- თქვენი ბავშვობის ოკრიბაში აღმოჩ-
ნდით, არა? ტუყნურში...

- არც კი ვიყავი ნამყოფი.

- როგორ...

- ერთადერთხელ გახლდით მაშინ, საწ-
ყალი ზურაბ გაბრიაძე რომ დაასაფლავეს,
სახოვადოება „ბალისკიდის“ თავმჯდომე-
რე. არა, მანამდეც ვარ, კი, ერთხელ ნამყო-
ფი, 7-8 წლის წინათ.

- ესე იგი, მხოლოდ ბატონი რეზო
დადიოდა ბავშვობაში ტუყნურში?

- ბავშვობაში სად დადიოდა!.. ჩვენ
არსადაც არ დავყავით... საიდან შეიგ-
რძნო და დახატა ასე ღრმად სოფელი,
პირდაპირ გაკვირებული ვარ. შეიძლება,
რომ წამოიხარდა, მერე დადიოდა?

არ ვიცი.

ზურაბის დაკრძალვაზე რომ ვიყავით
ტუყნურში, ჟრუანტელმა დაძიარა: ვხედავ,
სასაფლაოს ქვებზე ყველგან აწერია: გაბრი-
აძე, გაბრიაძე... ვილაღ ყმაწვილი გვანხლდა
მეგ ზურად, იმას გავუზიარე ჩემი ემოცია,
რამდენი გაბრიაძე-მეთქი და - მეც გაბრი-
აძე ვარო. ვუთხარი, მეც-მეთქი. ისე გაუ-
ხარდა, ისე გაუხარდა, არ იცოდა, რითი
გამოეხატა პატივისცემა.

- ქალბატონო ნორა, ვისაც „შერეკი-
ლები“ აქვს წაკითხული, ან რეზო გაბრი-
აძის სცენარის მიხედვით გადაღებული
ფილმი უნახავს, როგორ დაიჯერებს, რომ
მწერალი „ტურფა ოკრიბის ქვეყანას“ ულ-
რმესი ფესვებიდან არ იცნობს? ამ ფრაზას,
სხვა შემთხვევაში, მწერალი როგორ და-
წერდა:

„იწივლა მიზანამ, ხმა ზეცას ებღღვნა,
ეხნება, შემდეგ მოეფერა, თავქვე დაეშვა და,
ის იყო, სუფრას უნდა დაბრუნებოდა, ისევ
აფრინდა ზევით და ისევ იწყო ცაში
ბრღღვნა და გლეჯა...“

- თქვენ ზეპირად გცოდნიათ „შერე-
კილები!“


ქალბატონი ნორა იღიმება.

და კიდევ ერთხელ ვამჩნევ, უფროსი
და როგორ საოცრად ჰგავს სახის ნაკეთობი
თავის სახელოვან ძმას.

ნანული ცხვედიანი



ერთაოზი ■



■ მარგარიტა



მიზანა ■

შეიძლება ფილმი გეგონოთ, ან რაინდობის დროინდელი ამბავი. მართლა რთულია დაჯერება, რომ ეს დღეს მოხდა...

20 წელი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ფეხსა და მკლავში დაჭრილს, უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი თანამებრძოლები ჰოსპიტალისკენ მიგყავდეს. როცა სამი დაჭრილი მებრძოლი სამშვიდობოს გამოიყვანა, რომან ზოიძე ექიმებს არ დაემორჩილა და უკან, ცხელი წერტილისკენ გასწვია... დღეს სამივე ქართველი ცოცხალია და ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება გმირი, რომელმაც მათ სიცოცხლე აჩუქა...

ქართულმა შენაერთებმა უკან დახევა დაიწყეს, რომანი და მისი თანამებრძოლები, ჯერ შინდისში ეკლესიასთან შეჩერდნენ, შემდეგ კი მატარებლის რელსებს მორე სოფლისკენ გაუყვნენ. თურმე წინ ქართული დროშებით შენიღბული რუსული ჩასაფრება ელოდათ... მოულოდნელი აღმოჩნდა ბიჭებისთვის მშობლიური დროშებსმიღმა მტრის ტყვიამფრქვევის აღმოჩენა. ალყაში მოქცეულებს რესურსი მხოლოდ საათსა და ოც წუთს ეყოთ. რუსები ისე უცბად გადმოვიდნენ შეტევაზე, რომ ვეღარც შეტყობინების გადაცემა მოასწრეს და დერეფნის გარეშე დარჩნენ.

70 მეტრის რადიუსში მიმდინარეობდა ორმხრივი სროლა. მტერი ძალიან ბევრი იყო. ერთი რუსული ასეული, სხვადასხვა შენაერთებით, ჩვიდმეტოდე ქართველს ებრძოდა. როგორც შექმლოთ, მტერს აკავებდნენ, თან დაჭრილები გაჰყავდათ. 17-მა ბიჭმა ისეთი წინააღმდეგობა გაუწია რუსებს, რომ მათი მანქანების კოლონამ, როგორღაც უკან დაიხია და სხვა გზით წავიდა. 17-მა ბიჭმა მაშინ რამდენიმე ქართული ასეული გადაარჩინა.

ამ ამბის მომსწრე რუსი ოფიცერი, საშა დროზდოვი, დღემდე გაკვირვებული ყვება თურმე ამ ისტორიას.

ალყაში საბოლოოდ ორნი დარჩნენ, რომანი და მისი ნათლია - ალექსანდრე ონიანი. რომანი კიდევ დაჭრილა, არტერიამი მოხვედრია ანასხლეტი და სისხლისგან იცლებოდა... ალექსანდრე საერთოდ უვნებლად იყო გადარჩენილი, თუმცა რომანი არ მიუტოვებია... ეხვეწებოდა ნათლული, მე მაინც ვეღარ გადავრჩები და შენ მაინც გააღწიე, რომ შემდეგ საფლავზე ჩემი სადღეგრძელო თქვაო, მაგრამ ისინი ბოლომდე ერთად დარჩნენ...

მუხლებზე იდგნენ და „მამაო ჩვენო“ ამბობდნენ, ორი გააქტიურებული ყუმბარა ფეხებშირის ჰქონდათ დამალული. რუსები მოიტყუეს, ვითომ ხელაწეულები ბარდებოდნენ მტერს და როდესაც მათ სიახლოვეს მტრის რაოდენობამ იმატა, ყუმბარები გაიხსნა. 300 მეტრის რადიუსით გაიშალა ანასხლეტი და 48 რუსის ჯარისკაცი დააზიანა, აქედან 35 დაიღუპა. დიდი დანაკლისი მიაყენეს რუსებს. ორმა კაცმა თითქმის გაანადგურა მტრის ასეული...

გმირობის ისტორია 1988 წლის 9 ივნისს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში დაიწყო, როცა სამშობლოს რომან ზოიძე შეეძინა.

მარინა ზოიძე, დედა: „მუახვევის რაიონში, სოფელ კარაპეტში ვცხოვრობდით. მეწყერსაშიში ზონა იყო და იქიდან კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში გადაგვასახლეს. რომანი იქ დაიბადა და ოთხ წლამდე იქ იზრდებოდა. ბავშვებმა ჰაერი ვერ აიტანეს და 1993 წელს გადმოგვასახლეს მარნეულის რაიონში, სოფელ შულავერში. თავიდან აქაურობას ვერ ეჩვეოდა, უცხო გარემო იყო, თან ბევრი აზერბაიჯანული ოჯახი ცხოვრობს და მათი საუბარი არ ესმოდა... როცა წამოიზარდა, უკვე კარგად ფლობდა აზერბაიჯანულ და რუსულ ენას. ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა...

სულ მეტყვოდა ხოლმე, რომ გავიზრდები, არაფერს მოგაკლებო... გაიზარდა და როცა მართლა რაღაცა შეეძლო, ბედმა გვიმტყუნა...”

ფრიდონ ზოიძე, რომანის ძმა: „სკოლიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, სამხედრო გამხდარიყო. ჩვენს ოჯახს სამხედრო ხაზი წინაპრებიდან მოგვდევს, ბაბუაჩემი, მისი ძმები, ჩვენი ბიძა-

ბიძა



კაპრალი რომან ზოიძე

ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის ორდენოსანი

1988-2008

ვილები, ყველანი სამხედროები იყვნენ და არიან. მეც სასაზღვრო პოლიციაში ვმუშაობ ამჟამად. როცა ბავშვობაში გვეკითხებოდნენ, ვინ უნდა გამოხვიდეთო, ორივე ჯარისკაცს ვამბობდით... ძალიან უყვარდა ისტორია, ბევრს კითხულობდა და ალბათ, აქედანაც მოდიოდა მისი სურვილი.“

დედა: „18 წლის რომ გახდა, კომისარიატიდან მოწვევა მოუვიდა. ჯან-ღონით სავესე ბიჭი იყო, კარგი სიმაღლეც ჰქონდა და კომისარიატში შემოწმება რომ გაუვლია, უთქვამთ, ეს ბიჭი პირდაპირ სენაკში გაუშვითო. წელიწადი რომ მოიხსნა საგალობლო, შემდეგ გადავიდა კონტრაქტზე. მაგრამ მანამდე სახლში მოვიდა და გვითხრა, კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელი და მშობლების თანხმობა მჭირდებაო. ვუთხარი, ჯერ სამხედრო ბილეთი აიღე, სახლში დაბრუნდი, სადმე ჩააბარე და ისწავლე-მეთქი, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე... შენც და მამამაც აუცილებლად უნდა მოაწეროთ ხელიო.“

ისეთი მიზანსწრაფული და მონდომებული იყო, რომ ვერ შევეწინააღმდეგეთ. მამამისმა უთხრა, მამი, შენ როგორც გავიხარდება, ისე მოიქეციო, ეს იყო და ეს...”

ძმა: „მეც წინააღმდეგი ვიყავი. ვეუბნებოდი სენაკი შორია-მეთქი. მაგ პერიოდში შევიტანე სასაზღვროში საბუთები და ყოველდღე ველოდებოდი, რომ უნდა დაერეკათ. რომანსაც ვეუბნებოდი გაიარე ტესტირება და შენც დაგაწვებინებ-მეთქი. შენი დიდი ხათრი მაქვს, ძმაო, მაგრამ იქ ერთი ოცეული ბიჭები ვინც ვართ, ყველანი გადავდივართ საინჟინრო ასეულშიო. საინჟინრო ქიმიური ასეული, ასე ერქვა მათ ასეულს. დანადგმა, განადგმა, სანგრების გათხრა... ეს იყო მათი მისია. საკმაოდ საფრთხილო და საშიში პროფესიაა.“

მათზე ასეც ამბობდნენ, ცხოვრებაში ორ შეცდომას უშვებენ, პირველი ამ პროფესიის არჩევა და მეორე შეცდომას რომ უშვებენ, ისე იღუპებიან, მესამე შეცდომის დრო აღარ რჩებათო. კვითხე მაინცდამაინც ეს პროფესია რატომ აირჩიე-მეთქი და

მიპასუხა: - ერთი ნაცნობი მყავს, საინჟინრო ასეულშია და როცა ამ თემაზე ვლაპარაკობთ, ძალიან მინდა ეს ყველაფერი ვისწავლო... მინდა, რომ ჩემს მტერს „სიურპრიზები“ მოვუწყო... ოცეულის ბიჭებმა მოვილაპარაკეთ და ამ საქმეს ვერ ვუღალატებო.“

2008 წლის აგვისტოს ომში, ერთ ოცეულში 9 ჯარისკაცი არც ერთ ბრიგადას და დანაყოფს არ დაუკარგავს. ყველაზე დიდი დანაკლისი საინჟინრო ასეულმა განიცადა - მათ შინდისის გმირები უწოდეს, ერთ-ერთი რომანი იყო.

ძმა: „მეც მაქვს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა გავლილი და ვიცი, როდესაც შემადგენლობის 30% იკარგება ბრძოლის დროს, დანაყოფი უკან იხვევს. ეს სისხლის დაკარგვას ნიშნავს, 9 ადამიანი ოცეულისთვის ძალიან ბევრია... მაინც არ მოეშენენ და ბოლომდე გმირულად იბრძოლეს...“

დედა: „16 აგვისტოს ზუსტად ერთი წელი შეუსრულდებოდა, რაც კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ 11 აგვისტოს, შუადღის მერე ყველაფერი გაჩერდა...“

რაც კონტრაქტზე იყო, სამ თვეში ერთხელ თუ ამოვიდოდა სახლში. სულ მენატრებოდა და გზას ვაკვურობდი. პირველ ივლისამდე ბოლო ორი კვირა შეგებულება ჰქონდა აღებული და სახლში იყო ამოსული. ძალიან უცნაურად იქცეოდა. სახლში რომ მოდიოდა, არ უნდოდა, რომ დაძებინა, სურდა სულ მასთან ვყოფილიყავი. მეტყოდა ხოლმე, დედა ბავშვობაში, რომ იავნანას მიმდეროდი, ერთხელ ისე მიმდერო... ოთახში იყო წამოწოლილი და „გაპუტულო გლეხის შვილი“ წავუდიდინე, ეგ არ გამაგონო და მაშინ „ვისი ბედისა ხარ მეთქი“- ვუძღერე. გაიღიმა. იმ დამეს ბევრი ვილაპარაკეთ, სანამ ცოლს მოვიყვანე ჯერ ბინა უნდა ვიყიდო, მერე წარმოიდგინა, როგორი ქორწილი ექნებოდა. შეყვარებული ჰყავდა და სექტემბერში დაოჯახებას აპირებდნენ... არ უყვარდა ამ თემაზე ბევრი საუბარი. მარტო ის ვიცით, რომ ქუთაისელი გოგო უყვარდა. მარტო ჩვენი კარის მეზობელს, თავის თანაკლასელ გოგონას უყვებოდა-ხოლმე მის ამბებს. მარტო მისთვის უთქვამს ომში ვარ და დედაჩემს არ უთხრაო... მხოლოდ ის ვიცი, რომ გოგო ქუთაისელია, წარმომობით აჭარიდან. მშობლები საბერძნეთში ჰყოლია და თურმე რომანს ეხვეწებოდა კონტრაქტი დაარღვიე, ჯარიმის ფულს ჩემი მშობლები გადმოგირიცხავენ და ჩვენც საბერძნეთში წავიდეთო... შეყვარებულის ძმამაც დაურეკა, უკვე სიძელ მიაჩნდა რომანი და მანაც უთხრა: წამოდი ჯარიმის ფულს ჩვენ გადმოგირიცხავთო, მაგრამ არ ქნა... მე თუ შეგქმნი, ჩემი ხელით შეგქმნი ცხოვრებასო... ხუთ შვილზე ოცნებობდა...

როცა პირველი ხელფასი აიღო, 90 ლარიანი ტელეფონი იყიდა. სახლში რომ მოვიდა ვუთხარი, დედა ეს რა ვიყიდა, ორი თვის ხელფასი აიღე და ცოტა ნორმალური მობილური გეყიდა-მეთქი. მითხრა, დედი რომ დაგირეკავ, ხომ დაგეღებარაკებო და მეტი რა მინდაო... ბოლოს გარდერობი მიყიდა, ხუმრობით მითხრა კიდევ, ერთი უჯრა ჩემიაო... 6 სექტემბერს უფროსი ძმისშვილი ერთი წლის ხდებოდა. მეუბნებოდა, ისეთი რაღაც უნდა ვუყიდო, რომ მთელი ცხოვრება დარჩეს სამასსოფროდო... ძმის შვილს ბოლო საჩუქარი, ველოსიპედი უყიდა... მთელ ოჯახს რომანი ინახავდა...“

ძმა: „მდინარეზე ჩავდიოდით და იქ ვსვამდით ხოლმე ლუდს. საღამოს სახლში რომ მოვდიოდით ეზოში ვიდექით და ვლაპარაკობდით. დედა ფანჯრიდან გადმოგვძახებდა-ხოლმე, ამოდიოთ. რომანი კი ეტყოდა „დედა, სამშობლო - ცხინვალის გვიხმობსო“. ეს ფრაზა ამოიჩემა ბოლო ერთი კვირა და ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა. როგორც აღმოჩნდა ამ ყველაფერში რაღაც გამოძახილი იყო...“

დედა: „პირველ აგვისტოს სენაკში უნდა გამოცხადებულიყო. კვირას წავიდა სახლიდან, მეორე კვირას ისევ უნდა ჩამოსულიყო, მეგობრის მეჯვარე იყო და ქორწილში მოდიოდა. იმ

ყველაფერი
სისხლისყინი ვაყიდას ხვეთი-
ანთ დაოჯახის,-
დასაღვრის, აბათ, მაყინა...
არავიანი
სხვა სიამოვნო, იმზე მუცო,
არ ქამაჩნია!

მე დედაზე
სვირცხმავს ამბები სვირცო
რომხმედი ცხე
შექნებდით დაუბნეს გაჩნია,
არავიანი
სხვა სიამოვნო, იმზე მუცო,
არ გაჩნია!

შეხვედნით
ონ-მდეს-მთა ჰეჯეტის ხედი,
დასაღვრა: „კონ-კონ?!“
მეტი ქუთაისი ახვრად მაჩნია.
არავიანი
სხვა სიამოვნო, იმზე მუცო,
არავიანი
სხვა ჭა, სხვა ხსნა არ გაჩნია!

დღეს, როცა სენაკში მიდიოდა, წვერი მამამისმა გაპარსა, რა ლამაზი ხარ მამო, მოეფერა მამამისი და რომანმა უთხრა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო...“ ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. ჩაიცვა და სახლიდან გავიდა... მეგობარი მანქანით ეზოში ელოდებოდა, მას უნდა წაეყვანა სენაკში... ფანჯრიდან ვუყურებდი როგორ ჩავიდა კიბეებზე. ჩაჯდა მანქანაში და ხელი დამიქნია, აბა, თქვენ იცითო...“


მანქანა რამდენიმე წუთი გაუნძრევლად მდგარა, შემდეგ სახლისთვის ბიჭებს რამდენიმე წრე დაურტყამთ და წასულან. რომანი მეგობრის ქორწილშიც ვერ ჩამოვიდა, იქ იღვა სადაც მის ქვეყანას გმირი ყველაზე მეტად სჭირდებოდა...

ოჯახის წევრებს ცხელ წერტილში ყოფნის ამბავს ბოლომდე არ უმხელდა, როცა დაჭრილი ძმას ესაუბრა, უთხრა ფენი

მივარტყი მანქანიდან ჩამოსვლისას და გადაყვლეფილი მაქვსო...

14 აგვისტოს გაიგო ოჯახმა ეს უბედურება... ბოლომდე ეგონათ, რომ სენაკის ტყეში იყო... შინდისის გმირები უწმინდესის დახმარებით გადმოსვენეს. რომანის გარდაცვალების ამბავს მისი თანამებრძოლები, ცანავა, კალმანხელიძე და ჩიტბე შეესწრნენ, ისინი დაჭრილები იყვნენ მის შორიანხლოს, სამი დღის შემდეგ იპოვეს, სამივე კომაში იყო, ჰოსპიტალში გააცივებულეს... შინდისის ტრაგედიას მხოლოდ ისინი გადაურჩნენ. დღეს ბიჭები ყვებიან ისტორიას, რომელიც დიდ ტკივილთან ერთად გულში სიამაყის გრძობას აცოცხლებს...

ისინი იღვინენ იქ, სადაც გმირები ერთხელ და სამუდამოდ დგებიან - საქართველოს სადარაჯოზე.



ბ
ი
ბ
ი
ბ
ი

უმც. სერჟანტი
ალექსანდრე ონიანი
ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენოსანი
1988-2008

ასეთი გმირობა მარტო ქართველს თუ შეუძლია, ეს, ალბათ, ყველაზე შემზარავი ტრაგედიაა და კიდევ ერთი დასტური ქართული სულის სიძლიერისა. ალექსანდრე ონიანი რომან ზოიძის ნათლია იყო... აქ შინდისის ტრაგედია გრძელდება...

რომან ზოიძე უკვე სისხლისგან იცლებოდა, ალექოს სთხოვდა: დამტოვე, თავს უშველო, არ დაეტოვებ და არც მათ ჩავბარდებითო, - იყო ნათლიის პასუხი, მტკიცე და საბოლოო, გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა...

მამაო ჩვენო წაიკითხეს - ნათლიამ და ნათლულმა, ხელები აუწევია ონიანს, ბოლოს თურმე აღარც ესროდნენ რუსები... როგორც გადარჩენილი ბიჭები ამბობენ, მათი ტყვედ აყვანა უნდოდათო. ღიმილნარევი სახით მიიწვედნენ რუსი სამხედროები ქართველი გმირებისკენ. ონიანს ფეხებში ჰქონდა დამალული გააქტიურებული „ლიმონკა“ და მტრის მოახლოებას ელოდა. სწორედ ამ დროს გაისმა აფეთქების ხმა... ნათლია-ნათლულის გმირობამ ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლე იხსნა. მათ მტერი საათნახევრის განმავლობაში შეაჩერეს შინდისთან და, საკუთარი სისხლის ფასად, ყველაზე დიდი დანაკარგიც მოუტა-

ნეს რუს აგრესორებს.

ელენე ონიანი, და: „ალეკომ და რომანმა ერთმანეთი სენაკში, ჯარში მსახურობის პერიოდში გაიცნეს. ზოიძე მოსანათლი იყო და ჩემი ძმა სახლში გვეუბნებოდა-ხოლმე, ერთი ბიჭია ჯარში და უნდა მოენათლოო... თვითონ ალექოც გვიან მოინათლა, დაახლოებით 23 წლის იქნებოდა. ამის მიუხედავად, ყველა დღესასწაულს ესწრებოდა და სწამდა უფლის.

ერთ დღეს, როდესაც დაგურეკე, მითხრა, რომ ნათლია გავხდიო. პირველი და უკანასკნელი ნათლული იყო ჩემი ძმისთვის რომან ზოიძე...

სამწუხაროდ, მისი ნათლული ვერ გავიცანით. მხოლოდ ჩემი უმცროსი ძმა იცნობდა.

... ვერაფრით ვუკავშირდებოდით ალექოს. მის მეგობრებთან დავიწყეთ რეკა. ერთმა მისმა თანამებრძოლმა მითხრა, როცა ჭურვი ჩამოაგდეს ლიანდაგს აქეთ ვიყავი მოფარებული და ალექო ლიანდაგის მეორე მხარეს იმალებოდაო.

ბრძოლის ველზე მამაცურად ყოფილა, დაჭრილები გადმოკყავდა და ყველაფერს უხმოდ აკეთებდა. იმ ბიჭებმა გვითხრეს მერე, ბოლოს შეგვრცხვა ბიჭებს და ჩვენც ვენმარებოდითო... ერთ-ერთი ჩენი საუბრის დროს ვთხოვე, იარაღი ზომ ჩააბარეთ და წამოდი, დედაშენი ძალიან ცუდადათ არის და ვერავინ გაიგებს, მანდ იქნები თუ არა-მეთქი. მითხრა, რას მეუბნები, ახლა ვჭირდები აქ ხალხს და ვინც უკან ბრუნდება, ყველას პასუხი მოეთხოვებათო...

დაჭრილები ერთად შეუყვანია შენობაში. ორმხრივი სროლა მიმდინარეობდა. 17 ბიჭი იყო დაახლოებით დაჭრილი. ტყვიები გამოლევიათ და ერთადერთი „ლიმონკა“ ჰქონდათ დარჩენილი... დაჭრილი ბიჭები ეხვეწებოდნენ, წადი, შენ მაინც გაასწარი რუსებსო. შეეძლო წასულიყო, მაგრამ არ დატოვა არც ერთი... ნათლული, ზოიძეც ეხვეწებოდა, „სვანი“ წადიო (ასე ეძახდნენ ჯარში), მაგრამ არ დაუტოვებია... მერე ბიჭებს უთქვამთ, სისხლი მაინც წაისვი და ჩაწექი, ვითომ დაჭრილი ხარო, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, საკონტროლოდ მაინც ესროდნენ და შეამოწმებდნენ ცოცხალი იყო, თუ არა...

ზოიძე უკვე სისხლისგან იცლებოდა, ნუ გეშინია, არ დაგტოვებ და არც მათ ჩავბარდებითო, უთქვამს ალექოს...

ბოლოს თურმე აღარც ესროდნენ, ღიმილიანი სახით მიიწვედნენ მათკენ რუსები. როგორც ბიჭები ყვებიან მათი ტყვედ აყვანა უნდოდათ. დაჭრილები ბოლომდე ეხვეწებოდნენ გაიქეცი, ჩენი გულისთვის რატომ უნდა მოიკლა თავიო, მაგრამ...

ამათ ტყვედ არ ჩავბარდებით. „ლიმონკა“ გაუხსნია, დანარჩენებს თვალები დაუხუჭავთ და აფეთქების ხმაც გაისმა...

ალექსანდრე ონიანი 1981 წლის 9 მარტს დაიბადა, მრავალშვილიან ოჯახში. ორი და და ორი ძმა ჰყავდა. ლენტეხში, სოფელ შახუნდერში გაიზარდა. სანიმუშო ბავშვი ყოფილა. ცხრა კლასის დაამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო. პირველად უმცროსი ძმა წავიდა კონტრაქტზე, შემდეგ - ლექსო.

მამა რვა წლის წინ გარდაეცვალათ და ოჯახზე ზრუნვა ბიჭებმა იკისრეს.

ელენე ონიანი, და: „როცა კონტრაქტზე მიდიოდა, წინააღმდეგობა არ ჰქონია ოჯახიდან, რადგან ლექსო ისეთი ადამიანი იყო, რომელიც რასაც იტყოდა, აუცილებლად გააკეთებდა... ვაზიანში მსახურობდა, შემდეგ სენაკში ძმასთან ერთად გადავიდა.

ხელფასს როცა აიღებდა საჩუქრებს ყიდულობდა ჩვენთვის, დისშვილებზე გაგიჟებული იყო. დიდი ამაგი ჰქონდა მათზე.

დასოჯახებული იყო, მაგრამ, როგორც ვიცით, ჰყავდა შეყვარებული... ამბობდა, ჯერ უმცროსი ძმა უნდა დავნიშნო... სხვანაირი პიროვნება იყო. დედაზე გიჟდებოდა და ძალიან ხშირად ადიოდა მის სანახავად.

... ომამდე 10 დღით ადრე, ლენტეხში, სახლში იყო ასული. ამ ათი დღის განმავლობაში, ძალიან შეცვლილი ყოფილა.

დღეიდან ჩვენი ჟურნალი თანამედროვე საქართველოს გმირებს გაგაცნობთ... 2008 წლის აგვისტოში გმირულად დაღუპულ ქართველ ვაჟაკებს. ეს საშური პროექტი გამომცემლობა „პრაიმტი-იმსმა“ განახორციელა და ხელისუფლებისაგან მივიწყებული გმირები უკვდავყო. ამ საქმეში ჩვენც გვსურს წილი შევიტანოთ და ამერიკაში მოგიყვებით მათი გმირული ისტორიები.

საერთოდ თბილი და მოსიყვარულე იყო, სხვანაირად იქცეოდა, ამბობენ. მთელი სანათესაო შემოუკვლია. ყველა უნახავს, ბოლოს უთქვამს, შეიძლება ველარ ამოვიდეთ...

სახლიდან დაახლოებით 1 აგვისტოს გავიდა. დედაჩემი მთაში იყო ასული, ცხვარი ჰყავდა აყვანილი. სანამ სახლიდან წავიდოდა, ასულა მთაში დედასთან და გამოშვიდობებია...

ცუდი წინათგონობა გვქონდა. იმ კვირაში, როცა ომი დაიწყო გულზე ჩამოკიდებული ორი ჯვარი გამიტყდა...

როცა დედა საინფორმაციო გამოშვებებში ამბებს იგებდა, ალექო გიჟდებოდა, ეუბნებოდა - ნუ უჯერებო.

ბოლოს რა რიცხვში ველაპარაკე აღარ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, როგორ გავიგონე სხვა ბიჭების ხმა, გავიქეცი ბიჭებო და ტელეფონი გაითიშა...

ჩემი უფროსი ძმა ციხეშია და მან დაგვირეკა - ომი დაიწყო... ორივე წაიყვანესო. მაშინვე უმცროს ძმას, სოზარს დავურეკე, მერე ალექოსაც და ორივემ მითხრეს სენაკში ვართ, არაფერი არ ხდება. ვერ დავიჯერე, რომ ომი იყო ქვეყანაში... შემდეგ გავიგეთ სენაკის ბაზა დაიბომბაო. ალექოს დავურეკე, მითხრა, რომ ყველაფერი კარგადაა, არაფერზე ინერვიულოთ.

ტელევიზორი ჩავრთე და მაშინვე მივხვდი, რომ საშინელება ტრიალებდა ქვეყანაში... უმცროს ძმას ველარ უკავშირდებოდით... 11 აგვისტოს უფროსი ძმა მირეკავს ციხიდან და მეუბნება, რომ სოზარს დავუკავშირდი, სადღაც არის, მაგრამ ვერ ამბობს, სად არისო. არეული აქვს გონება, ძალიან მძიმე დღეშია და იქნებ, როგორმე დაეხმაროთო...

მთელი დამე ტელეფონი ხელში მეჭირა, რომ რომელიმეს დაერეკა და არ ჩამძინებოდა. ღამის 4 საათზე სოზარმა დარეკა, ხარაგაულის ტყეში ვარ, გადავრჩიო. ხარაგაულის სასაფლაოებზე სძინებიათ ბიჭებს... საშინელ მდგომარეობაში იყო...

სოზარი გადარჩა... მე ვხვდებოდი, ალექო ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად დამირეკავდა.

მიცვალებული სამი ღლის შემდეგ მოგვიყვანეს... ყველას სკოდნია, როგორ და რა ვითარებაში დაიღუპა, ჩვენ მერე ვითხრეს, მისი გმირობის ამბავი... ერთ-ერთ ინტერვიუში რუსი ჯარისკაცი ყვება, ჩვენმა უფროსმა ვითხრა, ასეთი ჯარისკაცები მე რომ მყოლოდა, ძალიან ამაყი ვიქნებოდიო და ბრძანება გაუცია, რომ ეს გარდაცვლილი ბიჭები არ გაემარცვათ. მათ საამაყოდ იბრძოლეს თავისი ქვეყნისთვისო.

ბოლოს სვანეთში რომ ყოფილა, მამის საფლავზე იყო ასული, რაღაც მთასავითაა და უთქვამს, რა კარგი ადგილია, რომ მოკვდები, აქ დავიმარხებითო. ჩემს ბიძაშვილს უთქვამს, რა დროს ეს არის, ჩვენამდე აქ ბევრი დაიმარხებაო... ალექო იმ ადგილზე დაკრძალეთ...

საშინელია მის გარეშე ცხოვრება. ერთი ოცნება ჰქონდა, უნდოდა, რომ დიდი სახლი ყოფიდა და ყველა დედამამიშვილს ერთად გვეცხოვრა.

ეს ოცნება ალექსანდრე ონიანს აუნდნელი დარჩა. სამაგიეროდ, მან საშუალოდ დაიმკვიდრა ადგილი ერის საამაყო ისტორიაში, ისევე, როგორც აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულმა ქართველმა ვაჟაკებმა. დღეს მათი სახელი ყველამ იცის... შინდისის სისხლიანი ტრაგედია, 17 გმირის სახელს ითვლის.

დაბასსოვრეული ყაზა

ნამდვილი ისტორია

ერთხელ ერთ-ერთი რადიოსადგურში სტუმრობისას ცნობილმა იტალიელმა პოეტმა, მწერალმა და სცენარისტმა ტონინო გუერამ ასეთი ისტორია მოჰყვა:

- ერთხელ მე და დე სიკა მისი ფილმის "ქორწინება იტალიურად" სცენარზე ვმუშაობდით. ამისთვის ნეპოლში მომიხდა ჩასვლა. დე სიკამ ნიშნის-მოგებით მითხრა: ვინც რომ ჩრდილოეთ იტალიელებს სამხრეთელები ნაკლებად გიყვართ. ახლა ისეთ რამეს განხვეწებ, რის გამოც სამხრეთელები უფრო შეგიყვარდება.

დე სიკამ ევაზე დამხატვია. ჩვენ დავსხედით სახაფხულო კაფეში, რომელიც სადგურის მოედანზე იყო განთავსებული. საშინლად ცხელოდა და კაფეს კარი ღია იყო. შემოვიდა ორი ახალგაზრდა მამაკაცი და მიმტანს უთხრეს:

- ხუთი ევაზე, ორს აქვე დავლევთ, სამს კი დავიმანსოვრებთ!

მათ მართლაც ხუთი ფინჯანი ეავის საფასური გადაიხადეს. თითო-თითო ფინჯანი ეავა დალიეს და წავიდნენ.

მე დე სიკას მიუტრიალდი: - რას ნიშნავს დამანსოვრებული ეავა?

დე სიკამ მითხრა: მოიცადე!

შემოდინ ახალგაზრდები, გოგონები, ვაჟები, ჩვეულებრივად უკეთავენ ეავას, საფასურს იხდიან, სვამენ და მიდიან.

კაფეში სოფიდურად ჩანმული მამაკაცები შემოვიდნენ. ისინი სამნი იყვნენ, მაგრამ შვიდი ეავა შეუკვეთეს: - სამს დავლევთ, ოთხი დავიმანსოვროთ.


შვიდი ეავისას იხდიან, სვამენ სამ ფინჯან ეავას და მიდიან.

შემდეგ ერთმა ბიჭმა შეუკვეთა ორი ფინჯანი, ერთი დალია, ერთიც დაიმანსოვრა.

მე დე სიკას ვუეუტებდი, ის - დუმიდა.

შუადღე დადგა. მზე ანათებდა. ვადებულ ვავ ხალის წინ მდებარე მოედანი მისი თვალისმომკრეკ სინათლეში იყო განხვეული. ამ სინათლეში ნელ-ნელა ჩრდილი გამოიკვეთა. კაფეში წყნარად შემოვიდა აჩანულ-დაჩანული მათხოვარი. მან აქეთ-იქით მორიდებით მიმოიხედა, შემდეგ ბარმენს ჩუმიად, ძლივს ვასავონად მიმართა:

- დამანსოვრებული ეავა არის?



იზრის ქუჩებში „მოგვლანდები“ გამოჩნდა

თუმცა დღეს თბილისის ქუჩებში კვლავ გამოჩნდა და ეს „მოგვლანდები“ არ არის - ქართველი მწერალი, მსახიობი და კინორეჟისორი სამშობლოს დაუბრუნდა და ისევ ისეთივეა, როგორც იყო, ერთადერთი - ჭაღარა მორეგია, შთაბეჭდილებას კი ისევ დანახვისთანავე ახდენს. არასოდეს დამავიწყდება რედაქციაში სტუმრობისას მისივე პიჯაკის ჯიბიდან იატაკზე გადმოვარდნილი კოვზი, რომელიც აიღო და მითხრა: - ეს კოვზი, დილით რომ ვისაუზებ, გავრეცხე, ჭურჭლის საშრობზე უნდა დამედო, მაგრამ თან გამოძეოლია. კიდევ კარგი - გზად ვილაცის ოჯახურ კაფეში ჩემი უსაყვარლესი ისპანახის მხალი დავინახე და ამ კოვზით მივირთვიო.

- როგორ გაძელით ამდენ ხანს უკრაინაში კაცმა, რომელიც ამბობდა, საქართველოზე ძვირფასი არაფერი მაქვსო?

- როგორც ძლებენ ისინი, ვისაც სამშობლოს პუტჩისტების სისხლიანი ხროვა ხელიდან ჰკლევს. მაგრამ გაგდებადღე უკრაინაში თავად ზვიად გამსახურდიამ მიმავლინა ელჩად. ვუთხარი, იქ რა უნდა გავაკეთო-მეთქი და - რასაც აქ აკეთებ, უკრაინაში უკრაინული ენა უნდა დაიცვაო. სამშობლოში დაბრუნების ნება მხოლოდ 2000 წელს დამართო საქართველოს მთავრობამ. მაგრამ ვეღარ ჩამოვედი - ჩემი მოვალეობები მქონდა შესასრულებელი. მაგალითად, ვალები უნდა გამეღებინა

ქართულ ენაში კაცის დასახსნადათებლად მრავალი სხარტი სიტყვაა. ზოგი ალგაფრთოვანებს, ზოგიც გულს მოგიკლავს. მაგალითად, სიტყვა „უფერული“ აღმიანს სპობს, - ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი შეიძლება ასჯერ ნახო, მაგრამ არ დაგამახსოვრდეს, არსებობს ისეთი ხალხიც, რომელსაც ერთხელ ნახავ და არასოდეს დავავიწყდება. მაგალითად, გურამ პეტრიაშვილი, - ის ყოველთვის ახერხება და ახერხებს, თქვას თუნდაც ერთადერთი სიტყვა და საბუდამოდ ჩაგრჩეს გულში. ასე იყო 1992 წელსაც. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გაქანებული ომის დროს ტელევიზიით გამოსული დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი გურამ პეტრიაშვილი, გამორიცხულია, ან ის დავიწყებოდა, ანდა მისი „მოგვლანდები!“ მას მერე 20 წელი ამ სიტყვას ხალხი სხვადასხვა კონტექსტით იმეორებდა. თავად გურამ პეტრიაშვილი მას შემდეგ აღარავის უნახავს...

რებინა - დალხინებულად არ ვცხოვრობდი. მაგრამ მაღლობა ღმერთს, მაინც ვცხოვრობდი. ამაში ის დამეხმარა, რომ ჩემი ცოლი უკრაინელია. უმცროსი შვილი წავიყვანე და ჯერ ცოლის მშობლებთან ვცხოვრობდი, მერე ბებია-ბაბუის სახლში.

რეზო ჩხეიძე და მისი დამსახურებით ნასწავლი ხელობაც დამეხმარა. ბევრი ივიწყებს სიკეთეს, მაგრამ მე ვერ დავივიწყებ, - რეზო ჩხეიძემ რუსებს პირდაპირ ხელიდან გამოჰკლიჯა თბილისში კინოსარეჟისორო ფაკულტეტი და მე ამ ფაკულტეტზე ვსწავლობდი თენგიზ აბულაძის სახელოსნოში. მივედი ამ ხელობით ჩერნიგოვოს ტელევიზიაში და გადავიღე შვიდი მულტფილმი „კუკუკუ, ანუ სამჯერ კუ“. ეს არის ამბავი კუსა და მის გასა-

ჭირზე. ძალიან მოეწონათ იქაურ ბავშვებს. მერე გადავედი კიევში, იქაც გადავიღე მხატვრული ფილმები. თანაც ვწერდი (რუსულადაც) წერილებს, ლექსებს, ზღაპრებს (ცხადია, ქართულად - ენას ზომ ვერ ვულალატებ) - მე ბევრი რამ შემიძლია, მაგრამ სინამდვილეში მაინც ნამდვილი მეზღაპრე ვარ, ბავშვებს უყვართ ჩემი ზღაპრები. მწერალმა ნინო სადლობელაშვილმა, მე რომ უკრაინაში ვიყავი, მაშინ დაუწერა თავის ბავშვობას, - ნახე, ის კაცი, შენ რომ გემინოდა, ტელევიზორში რომ გამოდიოდა და „მოგვლანდები“, - იბახოდა, რა კეთილი ყოფილა, რა კარგი ზღაპრები აქვს დაწერილიო.

- მეც ძალიან მიყვარს თქვენი ზღაპრები. მართლა, მაშინ ვის ამბობდით, „მოგე-

ლანდებითო“?

- თქვენ არ გეუბნებოდით, იმათ ვეუბნებოდით, ვინც ტყვია ისროლა. ის კი არა, იმასაც ვპირდებოდი, რომ მოგელანდებით, ფანჯრიდან გადახტებით-მეთქი. მაგრამ სინდისის ნატამალი არ ჰქონიათ და რას გადახტებოდნენ. ზვიად გამსახურდიას აბრალებდნენ, 200 მილიონი დოლარი მოიპარა საქართველოდან და მერე გაირკვა, რომ ამ ფულის წაღებას თურმე ერთი კონტინერი სჭირდებოდა... მაგათ ამ ლაპარაკით ვებრძოდი - როცა რამე „მოგელანდებით“-ის მსგავსს ვიტყვოდი, სროლა ძლიერდებოდა, თუ გავჩერდებოდი, მისუსტდებოდა. ოთარ ჩხეიძემ თქვა თავის რომანში - „გადატრიალება“, - რაც გურამმა გააკეთა, იმას ციციერონიც ვერ გააკეთებდა, გურამი ლაპარაკობდა სროლის დროს, ციციერონი - პარლამენტში.

- თქვენ ასეთი მაპროვოცირებელი უკომპრომისობით მანამდეც იყავით ცნობილი და ნერვებს ბევრს „პუტჩამდეც“ უშლიდით.

- რით? ახლა ბევრ მაშინდელ პუტჩისტზე ლაპარაკი აღარც მინდა, რადგან ამ სისხლიანობისთვის ღმერთმაც მიაგო, მაგრამ მე ვუშლიდი, თუ აქეთ მიშლიდნენ? არ ვილაპარაკებ იმაზე, რაც კარგად არ ვიცი და რა ვიცი კარგად, ეს ნამდვილად ვიცი. არისტოტელეს დავიმოწმებ: ისიც ამბობდა, რომ „ნამდვილი ცოდნა არის ის, როცა იცი, რა იცი და რა - არა“. მე კი კარგად ვიცი ქართული ენა და მასზე ვლაპარაკობდი. მედავებოდნენ და რაღაცებს მარალებდნენ ენის უცოდინარნი. მაგალითად, მომაწერეს, თითქოს მოვიტხოვდი, რომ ვიოლინოსთვის დაგვერქმია ყელფანდურა. პუტჩის შემდეგ ერთმა კაცმა ისიც კი თქვა, - როგორ არ მომეწყო პუტჩი, როცა პეტრიაშვილს უნდოდა ვიოლინოსთვის ყელფანდურა დაერქმიაო! მაგრამ მე ვამბობდი, რომ ჩვენ, ქართველებმა უნდა ვილაპარაკოთ ქართულად და როცა ასე ვილაპარაკებთ, მაშინ შეიძლება ვიოლინოს ყელფანდურაც დავარქვათ-მეთქი. რუსები და უკრაინელები რომ ვიოლინოს სკრიპკას ეძახიან, ამიტომ იქ გადატრიალებას აწყობს ვინმე და ხალხს ხოცავს?

- არც ოპერაში შევარდნილხართ პუჩინის „ტურანდოტის“ წარმოდგენაზე და მსახიობებისთვის არ გიყვართ, რად გჭირდებათ ეს რუსული ოპერაო?

- ეგ გერმანიაში მყოფმა ერთმა „პოლიტიკოსმა“ თქვა და მერე ვახტანგ კიკაბიძემ გაიმეორა, - პეტრიაშვილი ევროპასთან ურთიერთობას გვიშლისო. ესე იგი, მე, თეატრალურ ინსტიტუტში გაზრდილმა კაცმა, არ ვიცოდი, რომ პუჩინი რუსი კი არა, იტალიელი იყო? სინამდვილეში კი კულტურის მინისტრად დანიშნულ გოგი ხოშტარიას შევეყვი ოპერაში და თანაც

მაშინ, როცა არავითარი სპექტაკლი იქ არ იყო და იქაურ მუშაკებს ვუთხარი, - მეგობრებო, ვატყობ, რომ გიყვართ რუსული ოპერები და ამიტომაც მღერით რუსულად „ტურანდოტს“, მაგრამ თუ რუსული ოპერები გიყვართ, რუსულად იმღერეთ „ბორის გოდუნოვი“, „ტურანდოტი“ კი იტალიურად-მეთქი. ურჩხულობა დამაბრალებს. რას იგონებ, რას მბრალებ, შე კაცო, ცოტანი არიან ნამდვილი ურ-



ჩხულები?!

- მსახიობობა ნამდვილად არავის დაუბრალებია თქვენთვის, ქართულ ფილმებში თქვენი ეპიზოდური როლები მართლაც ბრწყინვალეა. ვისაც უნახავს, არ დაავიწყდება, როგორ ვაქეთ მხარზე ამოსული ნაძვი გოდერძი ჩოხელის ფილმში.

- დაბრალება არა, მაგრამ ვილაცას ჩემი დაცინვა რომ უნდა, ამბობს, - ყველა ფილმში თავის თავს თამაშობსო. კაცო, ყველა ფილმში თუ ყველას მე ვთამაშობ, - კაგებენიკსაც, პარიკმახურსაც, მებალესაც და ყველას ჰვინია, რომ ეს ნამდვილად მე ვარ, ესე იგი, ტყუილად დამცინიან! მაგ ფილმს „წერილი ნაძვებს“ ჰქვია. ერთი ლექსი მაქვს - „ჩამეძინა მინდორში ერთხელ, რომ გავივიცი, ვნახე, ვილაც დაბნეულ მებალეს ზედ ჩემს მკერდზე პაწაწინა ნერვი დაერგო და როგორც წამოვიწიე, ნერვმა ამოიკვნესა“. წაუკითხავს გოდერძის ეს ლექსი და მეუბნება, - გურამ, შენს ლექსზე სცენარი დავწერე და აუცილებლად შენ უნდა გადაგიღო. ბორჯომში რომ ვიღებდით, ბიჭები დამღვდნენ, - აბა, მხარი გვაჩვენე, მართლა ამოვივიდა ეგ ნერვიო? ვეუბნებოდი, - ამომდის, აბა, რა! საღამოს გადაჭრის გოდერძი და დილას ისევ მეზრდება-მეთქი. მერე წამოვივი თბილისში, გადის კინო, უყურებს ჩემი უფროსი გო-

დილაადრიან ნაწვიმარ ბაღს ვუცქერ ფანჯრიდან და თვალს ვარიდებ ბაღის ერთ კუთხეს; იქ მოწყენილი და ფიქრიანი დგას პატარა ხე ალუბლისა, პირველად რომ დაკრიფეს გუმინ.

გონა, ამ ფილმში ორმოში რომ ჩამავლებენ და უცებ ისეთი ტირილი ამოუშვავ, ვეღარ ვაჩერებ, - რატომ ტირი, შვილო, არ ვარ იმ ორმოში, აგერ ვარ შენ გვერდით-მეთქი, მაგრამ ვერაფრით გავაჩერე.

- ამაზე გამახსენდა თქვენი ნათქვამი - მთაწმინდაზე ფილიპე მახარაძე ამოსათხრელია საფლავიდან და ეგება, ჩემმა შვილმა ამოთხაროსო. ის მართლაც ამოთხარეს, მაგრამ საფლავიდან ამოთხრა სწორია?

- მე არ ვარ არც ვინმეს მკვლეელი, არც ვინმეს ამოთხრელი. ფილიპე მახარაძე სულელი იყო. მაგისთანა სულელი ბევრი გვყავს და ახლა მაგას რომ მივყვებით, დაიწყება საფლავების თხრა. ცოტაა, ვინც დაუმსახურებლად დაიდგა ძეგლი? მე ის კაცი ვარ, რომელიც დაბადებისას ხელიდან გაუვარდა ბებიას და თავი იმ კუთხით დაარტყა, რომ უკურნებელი ოპტიმიზმი შეჰყროდა. არა მარტო ფილიპე, ზოგადად არ ვართ ქართველები ჭკუა-დამჯდარნი, ღვთისმშობელი რომ არ გვიფარავდეს, ჩვენ ქვეყანას გავანადგურებდით. ყველა ქართველს უნდა, იყოს საქართველოს გადამრჩენელი, მაგრამ ვთქვათ, ეს ქართველი არის ვინმე ლობეგლევიძე, მას უნდა რომ ამ გადარჩენას მხოლოდ მისი, კერძოდ, ლობეგლევიძეშვილის სახელი დაერქვას და თუ ასე არ დაერქმევა, მზად არის, საქართველო დაანგრის. ფრანგები ამბობენ, ჩვენი ნაკლოვანება ჩვენი ღირსების გაგრძელებაა და თუ მოვიშორეთ ნაკლოვანება, მაშინ შეიძლება ღირსებაც მოგვშორდეს და გადავიქცეთ სხვა ერად, რომელსაც ექნება ახალი ღირსება, მაგრამ აღარ ექნება ძველიო. ასე ვართ ჩვენც, ეს ყველაფერი, - პუტჩიც, შევარდნაძეც, სააკაშვილიც... აუცილებლად უნდა ყოფილიყო, რომ ამ დროში დაბადებულიყო და გაზრდილიყო ის ახალგაზრდობა, რომელმაც ადამიანის სულიერი სიკვდილი - ღირსების სიკვდილი გააპროტესტა (ლაპარაკია აქციებზე „ძირს წამება ციხეებში“). დიდი ხანია ასე ამაყად და აღტაცებით აღარ გამოხედავს, როგორც მათ ვუყურებდი თბილისის ქუჩებში. აი, სწორედ ასეთი „სიურპრიზების“ გამო ვენანებთ ღვთისმშობელს გადასაშენებლად...

თომარ მარამი



ნიუ-იორკის ტაძის მძღოლის მონათხრობი:

მისამართზე მისვლისთანავე დავესიგნა-
ლე. რამდენიმე წუთიანი ლოდინის შემდეგ
ისევ დავაჭირე საყვირს. ვინაიდან ეს ჩემი
ბოლო გამოცდა იყო და სამუშაო დღეს
ვასრულებდი, ვიფიქრე წავსულიყავი, მაგრამ
ამის ნაცვლად მანქანა ქუჩაში დავტოვე,
ავაკითხე და კარზე დავაკაკუნე.

- ერთი წუთით, - პასუხად სუსტი, მო-
ხუცებულის ხმა გაისმა. კარსმიღმა რაღა-
ცის ძირს დავარდნის ხმაც მომესმა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კარი გაი-
ლო. ჩემს წინ იდგა ტანმორჩილი, ოთხმოც-
დაათამდე წლის ასაკის ქალბატონი. ტანთ
ჩითის კაბა ეცვა, თავს ემოსა პილბოქსის
ქუდი კონტად მიმაგრებული ვუალით, ზუს-
ტად ისეთს, 1940-ანი წლების ფილმებში
რომ ვხვდებოდით.

გვერდით პატარა ნეილონის ჩემოდანი
ეღვა. ბინაში ისეთი შთაბეჭდილება შეგექ-
მნებოდა, თითქოს დიდი ხანია არავის უც-
ხოვრია. ავეჯი ზეწურებით იყო დაფარული,
საათიც კი არ ეკიდა კედელზე, ვერც ტკბ-
ილეულობას და ჭურჭელს დაინახავდი
სამზარეულოს დანლზე. მხოლოდ ერთი
მუყაოს ყუთი იდგა კუთხეში - სავსე ფო-
ტოებით და შუშის ნაკეთობებით.

- ხომ ვერ გაიტანდი ჩემს ჩანთას
მანქანაში? - მოკრძალებულად მკითხა მან.

ჩემოდანი გავიტანე და უკან მოხუცის
დასახმარებლად შემოვბრუნდი. მან მკლავზე
ჩამჭიდა ხელი და ნელი სვლით დავიძა-
რით მანქანისკენ. ხშირად მასხენებდა მად-
ლობას სიკეთისთვის.

ეს არაფერია, - ვპასუხობდი, - ვცდილობ
ჩემს მგზავრებს ისე მოვექცე, როგორც ვი-
სურვებდი დედაჩემს მოქცეოდნენ.

- ოჰ, რა კარგი ბიჭუნა ხარ, - გაუხარ-
და ჩემი პასუხი.

როცა მანქანაში ჩავსხდით, მომაწოდა

მისამართი და მკითხა, შევძლებდი თუ არა
ქალაქის ცენტრით გავლას.

- ეს არც ის მოკლე გზაა, - ვუპასუხე
უძალად.

- ოჰ, ეს არ შემაწუხებს, არსად მეჩქა-
რება, დაურდომილთა უკანასკნელ თავშესა-
ფარში მივდივარ.

გავხედე სარკიდან, თვალები უბრწყინავდა.

- ოჯახი აღარ მყავს, - სათნო, რბილი
ხმით განაგრძო, - ექიმებმა მითხრეს, ბევრი
დრო აღარ დამრჩა. მშვიდად მივალწიე
დასასრულს და ჩემი მრიცხველი გამო-
ირთება.

- რომელი გზით ისურვებთ წასვლას?
- შევეკითხე.

შემდეგი ორი საათი ქალაქში დავდი-
ოდით. მაჩვენა შენობა, სადაც ერთ დროს
ლიფტის ოპერატორად მუშაობდა. გავია-
რეთ იმ უბანშიც, მეუღლესთან ერთად
რომ ცხოვრობდა, ახალდაქორწინებული.
მისი თხოვნით შევაჩერე მანქანა ავეჯის
საწყობის წინ, რომელიც ადრე საცეკვაო
დარბაზი ყოფილა, სადაც ცმაწვილქლობი-
სას დადიოდა.

ზოგჯერ შემაჩერებდა განსაკუთრებულ
შენობებთან თუ კუთხესთან, იჯდა უსიტყ-
ვეოდ და გასცქეროდა წყვილადს ფიქრებ-
ში ჩაძირული.

მზის პირველი სხივის გამოჩენისთანავე,
უეცრად მითხრა რომ დაიდა და წაყვანა
მითხვა. მგზავრობა უნძოდ გავაგრძელებე
დანიშნულების ადგილისკენ.

იქ მისულთ დაბალი შენობა დაგვხდა
- პატარა სანატორიუმს ჩამოგავდა მისას-
ვლელი გზით, რომელიც შედიოდა თაღე-
ბიან შესასვლელში.

მისვლისთანავე მანქანას ორი სანიტა-
რი მოუახლოვდა, რომლებიც გამოირჩეოდ-
ნენ მზრუნველობით და სიფრთხილით.

თვალს ადევნებდნენ მის ყოველ მოძრაო-
ბას. როგორც სჩანს, ელოდებოდნენ კიდევ.

გავაღე საბარგული და ამოვიღე პატა-
რა ჩემოდანი. ქალბატონი უკვე ინვალიდის
ეტლში ჩაეჯინათ.

- რამდენი მმართველს თქვენი? - მკითხა
და თან ხელჩანთისკენ წაიღო ხელი.

- არაფერი, - ვუთხარი მე.

- თქვენც ხომ უნდა იარსებოთ?

- სხვა მგზავრებიც არსებობენ! - ვუპა-
სუხე.

დაუფიქრებლად დავიხარე და გადავეხ-
ვიე. მან გულში ჩამიკრა მჭიდროდ.

- თქვენ მოხუც ქალბატონს სიხარუ-
ლის წუთები აჩუქეთ, - წარმოთქვა მან.

ხელი მოუჭირე და დავემშვიდობე.
გავუყვი დილის მქრქალ შუქს. ჩემს უკან
კარი დაიკეტა და მას ცხოვრების დახურ-
ვის ხმა ჰქონდა.

იმ ცვლაში მეტი მგზავრი აღარ ამიყვა-
ნია. დავხეტილობდი უმინოდ, ფიქრებში
დაკარგული. დღის ბოლომდე მეტყველებაც
კი მიჭირდა.

წარმოვიდგინე - რა მოხდებოდა იმ
ქალბატონს ბრაზიანი ან გალიზიანებული
მძღოლი რომ შეხვედროდა, ან ვინმე სულს-
წრაფი თუ როდის დაამთავრებდა სამუ-
შაო დღეს? ან მე რომ არ ავსულიყავი, უბ-
რალოდ ერთხელ მიმეცა სიგნალი და
უკან გამოვბრუნებულიყავი?

მოკლედ რომ ვითხრათ, არ მგონია
ამაზე მნიშვნელოვანი რამე გამეკეთებინოს
ცხოვრებაში. ჩვენ დასაჩუქრებულნი ვართ
ისეთი ცხოვრებით, რომელიც ბრუნავს უდი-
დესი მომენტების ირგვლივ. მაგრამ ხანდა-
ხან ეს უდიდესი წამები გაუფრთხილებ-
ლად მოდიან - ლამაზად შეფუთულნი,
თუმც უმნიშვნელო რომ გგონია.

მოამზადა **ტიბო მაჭაზარიანმა**

 ივერია

მხოლოდ \$19.99



ქართული ტელევიზია და ფილმები კომპიუტერში, მძვინვარე ტელევიზორებში

ზირდაპირი ეთერი, ერთი კვირის ჩანაწერი; ნებისმიერ დროს
ეურება, ზაუსა, გადახვევა; კლასიკური, დოკუმენტური, ახალი
ფილმები; ქრისტიანული და საბავშვო გადაცემები; უმაღლესი ვიდეო
და აუდიო ხარისხი; უმარტივესი ინსტალაცია, ქართული მენიუ.

www.iveriatv.com

1-800-959-8541



ნა
ჩემთვის
დრო
განიერდა

ნომინალ
ქვეყნის

მანანა: ძალიან, ძალიან დიდი სურვილი მქონდა, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში, მონატრებული მეგობრების გვერდით, აღმეზინა ეს დღე - 50 წლის შესრულება...

იცო, რის ფასად მივიღე ეს ბედნიერება? ყოველ კვირაში ვიკეთებ გადასხმას... ექიმს დაუწოქე, რომ ნება მოეცა, ეს ერთი კვირა როგორმე „ამოვგლო“ და ჩემთვის თავისუფლება ეჩუქებინა.

ფიზიკურად არ ვიყავი კარგად... ღამით იყო დანიშნული რეისი და დღის 4 საათზე ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი, გამოვფრინდებოდი თუ არა. ბილეთი დაჯავშნული მქონდა. ჩემმა ძველმა ნაცნობმა თენგიმ, რომელიც „აირზენას“ წარმომადგენელია, ორჯერ დამირეკა - მოდიხარო? მე თვითონ არ ვიცი, საიდან მოვიკრიფე ეს ძალა და ნებისყოფა - გამოვფრინდი...

- მანანა, ქუთაისში ძალიან აქტიურადამიანად ვიცნობდნენ. იქ, ისრაელში, რას საქმიანობ?

- ფაქტობრივად, ახლა არაფერს ვაკეთებ. მე მაქვს 100 პროცენტითანი ინვალიდობის სტატუსი, ამიტომ ოფიციალურად არ მეძლევა მუშაობის უფლება. სახლშიც რა გამაჩერებს, ჩავდივარ ხოლმე მეუღლესთან, ჩვენს დაქირავებულ პატარა მინი-მარკეტში და ცოტას ვეხმარები.

ჩვენთან, ხაიფაში, ქალთა კარგი ორგანიზაციაა, რომელსაც მწერალი იზოლდა მოშიაშვილი ხელმძღვანელობს. ძალიან სასიამოვნო ადამიანია, დიდი ხნის წასული გახლავთ საქართველოდან. აი, იქ ხშირად იკრიბებით სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესების ქალბატონები, ვაწყობთ შეხვედრებს, საინტერესო ღონისძიებებს.

- საერთოდ, როგორ ცხოვრობენ და საქმიანობენ იქაური ქალები?

- რა ვიცი, რა ვითხრა. მიგრაციაა ქვეყანაში ძალიან მაღალი. საერთოდ, შეიცვალა ეკონომიკური მდგომარეობა ყოველნაირად. იმატა უმუშევრობამ, ახალგაზრდობას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. საოცრად ძვირია სწავლა. დაამთავრებენ და ვერ საქმდებიან, ან ისეთი მიზეზური ხელფასებია, სწავლაში დანახარჯის ამოღებას ვერ ახერხებენ. გამოსავალს იმაში ძებნიან, რომ ქვეყნიდან გარბიან.

- ჩვენთანაც იგივე ხდება...

- იქ უარესია. სწავლა არის მეტისმეტად ძვირი. მაღლობა ღმერთს, რომ მე და ჩემი მეუღლე წლების მანძილზე ყოველთვიურად გადავინახავდით ხოლმე დანახარჯს. ბავშვების სამომავლო სწავლის ქირისათვის, თორემ რა შესწავდებოდა ახლა! იქ პირველ ეტაპზე სწავლის გადასახადი 10 ათასი დოლარიდან იწყება და

მანანა ქუთაისში დაიბადა. დედამისი, რუთი თავდობიშვილი, თოჯინების თეატრის მსახიობთა პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მანანაც ბავშვობიდან ამ თეატრში იზრდებოდა. რად არ იმუშავა: სცენის მუშად, მოკარნახედ, რეკვიზიტორად, ბოლოს - რეჟისორის თანამშემწედ (70-ზე მეტ სპექტაკლში). აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან. მან, ფაქტობრივად, თოჯინების თეატრის საინტერესო ისტორია შექმნა - 80-90-იანი და შემდგომი წლების ყურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი თავისი კორესპონდენციებით, ინტერვიუებით, რეცენზიებით, მსახიობთა შემოქმედებითი პორტრეტებით... ხალისიანი, ენერგიული მანანა არონაშვილი უყვარდა მისი ქალაქის საზოგადოებას, ამიტომაც ყველას ძლიერ დასწყდა გული, როცა ისრაელში გაემგზავრა ქმარ-შვილთან ერთად.

და, აი, მანანა, მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა და თავისი გულის სითბო, მაცხოვრის საფლავიდან წამოღებულ სანთლებთან ერთად, ალაღად უწილადა მონატრებულ მეგობრებს.



უნივერსიტეტსაც გააჩნია, ფაკულტეტსაც, ყველას თავისი ტარიფი აქვს...

- შეიღებოდა სწავლობენ?

- უფროსი ქალიშვილი, ნანუჩია, ამ წუთში გადის ალტერნატიულ სამსახურს, რომ ჯარში არ წავიდეს. სკოლაში ეხმარება საქმეთა მმართველს, თუ ჩამორჩენილი ბავშვები არიან, ხელს წაუკრავს ხოლმე სწავლაში... თან ნახევარ განაკვეთზე მუშაობს მაღაზიაში გამყიდველად. ფიქრობს, გაისად ჩააბაროს - ფრანგულები, საერთაშორისო ყურნალისტიკა და სამართალი აინტერესებს.

უმცროსი გოგონა ხაიფაში, რუბინის სახელობის ბავშვთა კონსერვატორიაში ეუფლება ვოკალს. მის ხელმძღვანელია ცნობილი პედაგოგი მარი კლერი, რომლის კლასში მოხვედრა დიდი ბედნიერებაა. ჩემს მარის ამ მხრივ ძალიან გაუძარტლა. სხვათაშორის, მარი, მარიამი ისრაელში იწოდება როგორც მირი, მირიამი. „მე არა ვარ მირი, - მარი ვარ, გაჩეჩილაძეო!“ - დაჟინებით გაიძახოდა მარი და იმას მიაღწია, რომ დღეს მთელ სკოლაში მას ყველა იცნობს, როგორც მარი გაჩეჩილაძეს.

- ჩვენ ვიცით, როგორ პატივს სცემ

შენი ქართველი, მართლმადიდებელი ქმარ-შვილის რწმენას, როგორ უვლი სახლში მათ სალოცავ კუთხეს. ალბათ, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობისა და სიყვარულის საზომად, თქვენი ოჯახის მაგალითიც გამოდგება.

- ... (თავდახრილი იღიმება)

- მანანა, შენ არ გიყვარს საკუთარ ქველმოქმედებასა და სიკეთეზე ხმაძალა ლაპარაკი. და მაინც, ძალიან მინდა ვთხოვო, გვიამბო, როგორ უვლიდით და პატრონობდით დები არონაშვილები დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს ისრაელში.

- 2008 წლის აგვისტოში ომი აქ რომ დამთავრდა, იქ, ჩვენთვის - არა! ხუთი თვე კიდევ გაგრძელდა! ბევრი დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი იყო ჩამოყვანილი ისრაელში და ჩვენ გავხდით, ასე ვთქვათ, მათი დედობილები: ვუვლიდით, საქმელს ვუკეთებდით, სარეცხს ვურეცხავდით, ვამხნევედით. ისრაელში ჩამოსული იყო გორის სამხედრო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების უფროსი გოჩა კინწურაშვილი, რომლის პირად მძღოლად და თარჯიმნად დაინიშნა ჩემი და, მარი-ნა. როგორც ექთანს და როგორც ივრი-



მეუღლესთან ერთად



■ მამა-შვილი



ჯარისკაცებთან

თიდან ქართულად მთარგმნელი, მარინა ემსახურებოდა მას. ქალაქიდან ქალაქში, საავადმყოფოდან საავადმყოფოში დავლიოდით, სად არ იყვნენ ქართველი ბიჭები: ხაიფაში - „რამბაძის“ საავადმყოფოში, იერუსალიმში - „ჰადასას“, თელ-ავივში - „ტელჰა-შომერის“, ბერშევაში - „სოროკას“ საავადმყოფოებში... ისეთებიც იყვნენ მათ შორის, რუსულიც კი არ იცოდნენ და ძალიან უჭირდათ მედპერსონალთან ურთიერთობა, ჩვენ ვეხმარებოდით. როგორც საკუთარ ოჯახის წევრებთან, ისე მიგვეკონდა დაჭრილი ბიჭებისათვის საიფაში ცხელ-ცხელი ღობი, ზაჭაპური, საცივი... ფაქტობრივად, ბევრ მათგანს საავადმყოფოს კერძი არც გაუსინჯავს. ჩვენი ქალთა ორგანიზაციის ქალებიც დადიოდნენ და ბიჭებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ერთ-ერთი ჯარისკაცის, გურამის დედას, გულთბილი სამადლობელი წერილი გამოუქვეყნებია გაზეთ „მენორაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ნომერი ვერ მოვიპოვეთ. თუმცა, ჯარისკაცის დედის მაღლიერებამ ძალიან გაგვახარა.

- როცა დაჭრილ ქართველ ბიჭებს ისე უანგაროდ, საკუთარი სურვილით უვლიდი, განსაკუთრებული მიზეზიც გქონდა?
- წარმოვიდგინე ჩემი შვილები (სხვათაშორის, აგვისტოს ომის დღეებში ჩემი გოგონები საქართველოში იყვნენ, ჩვენმა ოჯახმაც დიდი შიში და მღელვარება გადაიტანა მანძინ)...

არ შემეძლო, განსაკუთრებული სიყვარულით არ მომეველო ამ ბიჭებისათვის იმის გამოც, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ეს ჩვენი ომიც იყო. და ყველა ქართველი ებრაელი ძლიერ მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს ბედს.

არამართო ისინი! მე შევხვდი ცნობილ ებრაელ ჟურნალისტს ცადოკი იესხიკიელს, რომელიც გორთან დაიჭრა. მას პირველი ოპერაცია საქართველოში გაუკეთეს და, ფაქტობრივად, სიკვდილს გადაარჩინეს. იმდენად დიდი პერსონაა, მის გადასაყვანად საგანგებო თვითმფრინავი გაიგზავნა ისრაელიდან. მერე თვეების მანძილზე გრძელდებოდა იესხიკიელის რეაბილიტაციის პროცესი ისრაელში. ისე უყვარს ამ ადამიანს საქართველო და ისეთი დიდი შთაბეჭდილებებითაა სავსე, რომ, ამდენი განცდილ-გადატანილის მიუხედავად, ინტერვიუში მითხრა: მე ისევ წავალ საქართველოში. ზუსტად ასეთი სათაური მქონდა მიცემული ჩვენი ინტერვიუსთვისაც. ეს მასალა ჟურნალში „დიდი კავშირები“ დაიბეჭდა.

- ვიცი, რომ ისრაელში სავასტროლოდ თუ სხვადასხვა მიზნით ჩასული არაერთი ცნობილი ქართველი ხელოვანის, საზოგადო მოღვაწის უპირველესი მასპინძელი ხარ, ხაიფადან შორეულ ქალაქშიც კი

ჩადიხარ მათ სანახავად...

- ყველაფერი, რაც საქართველოსთან მაკავშირებს, განუზომლად ძვირფასია. ნებისმიერი ქართველის დანახვა ისრაელში ჩემთვის ზეიმიია.

- მანანა, აი, ავისრულდა ნატვრა და ქუთაისში ხარ. რას გრძნობ?

- ჩემთვის თითქოს გაჩერდა დრო. ის მონაკვეთი, რაც იქ, ისრაელში, გავატარე, თითქოს ამოვარდა და კვლავ „იმ“ ქუთაისში ვარ. თუმცა, მეორე მხრივ, გული მწყდება, რომ ბევრ ნაცნობ სახეს ვეღარ ვხედავ ბაღისკიდებზე, ქალაქის ცენტრში, საყვარელ ქუჩებში, სადაც მთელი ჩემი ბავშვობა გავატარე.

მე როგორ უნდა დავივიწყო ის სიბოლო და საოცარი ერთგულება, აქ რომ მიგრძენია და განმიცდია? როგორ დავივიწყებ, მაგალითად, ლია ხარაბაძეს, თავისი უკანასკნელი 40 თეთრი ჩემთვის რომ მოუცია: მანანა, ბავშვს პური უყიდევო და თვითონ, შუალაშით, პრესის სახლიდან ავტოქარხანამდე, ფეხით წასულა სახლში, რადგან გზის ფული აღარ ჰქონდა. ამის დავიწყება როგორ შემიძლია.

იცი, ამ დღით დედაჩემის საფლავი მოვინახულე. იქაურობის გაწმენდა-გასუფთავება მინდოდა და მომვლელი მოვიკითხე. იქვე მცხოვრებმა ქალმა ჩემს თვალწინ დარეკა: „მოი, ვინცხა იბრაილია მოსულიო“, ანუ - ფულის შოვნის შანსი არ დაკარგო. საოცრად დამწყვეტა გული ამ სიტყვებმა: „ვინცხა იბრაილი“ როგორ გავხდი ჩემი ქუთაისისათვის! მერე მოვიდა ის ქალბატონიც და 70 ლარი მოითხოვა! ფულზე კი არაა საქმე, ამ ადამიანების უტაქტობამ და სიხარბემ შემადრწუნა.

ეს არ იყო ჩემი ქუთაისი, სადღაც, სხვაგან მოვხვდი...

ქუთაისი ჩემთვის ყველაფერია, აქ რომ ურთიერთობებია, აქ რომ სიყვარულია, ისეთი იქ არ არის. მე სულ ეს ქუთაისი მენატრება ისრაელში, მახსოვს, მიყვარს და ფიქრებით ვეფერები.

* * *

სალამოს, მუხნარის ტყეში, რესტორანში, მანანა არონაშვილმა უახლოესი მეგობრების გარემოცვაში აღნიშნა თავისი დაბადების 50 წელი.

მეზობელი მაგიდებიდან სრულიად უცნობი ქუთათურები კი რესტორნის მუსიკოსებს მანანას პატივსაცემად წამდაუწუმ უკვეთავდნენ სიმღერებს ქართულ-ებრაულ მეგობრობაზე. მეგობრებმა წრის შუაგულში ჩაიყენეს თვალცრემლიანი იუბილარი და აიძულეს, თავდაც ეცეკვა, გამხიარულებულიყო.

დარბაზში ნაირფერი შუქის რკალი სევდიანი სიხარულით ელიცლიცებოდა ქართულ-ებრაულ სამეგობროს.

ნანული ცხვედიანი



ჩემს ქალაქში



ბედნიერი წლები



შხვედრა მსახიობთან

დიდი სიამოვნებით დავთანხმდი, დამეწერა რამე რუბრიკის ქვეშ „იმოგზაურე საქართველოში“. დიდი სიამოვნებით იმიტომ, რომ რაც თავი მახსოვს, მართლა აქეთ-იქით დავეხეტები და არათუ კუთხე, საქართველოში ადმინისტრაციული ერთეული არ მეგულება, რომ არ ვიყო ნამყოფი.

როცა საწერად დავჯექი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მე ამ ქვეყნის თითქმის არაფერი ვიცი. კი, ბევრი მიხვტილია და ყველგან ნამყოფი ვარ, მაგრამ ის, რაც მნიშვნელოვანია, ის, რაც განასხვავებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს ერთმანეთისგან - ადამიანები - მათ შესახებ არაფერი ვიცი. გარდა იმისა, რომ ამ აღმოჩენამ ძალიან დამამწუხრა, დამაფიქრა კიდევ და თვალიც ამიხილა - დროა გავიცნო ჩემი ქვეყანა და ვიყო უკეთესი ტურისტი, ვიდრე ავსტრიელი კლაუსი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გადავწყვიტე დღეს საქართველოს იმ ნაწილზე მოგიყვებო, სადაც არაფერია ცხოვრობს, გარდა გარეული ცხოველებისა და ზაფხულობით კარვებში დაბანაკებული ტურისტებისა. ამ ადგილს ყელის ტბა ჰქვია და დღეს იქ მოხვედრა თითქმის შეუძლებელია. არა იმიტომ, რომ ზამთარია, არამედ იმიტომ, რომ ყელის ტბის მიმდებარე ტერიტორიას დღეს რუსი და ოსი მესაზღვრეები აკონტროლებენ.

ყელის ტბაზე მოხვედრა რამდენიმე მარშრუტით არის შესაძლებელი და აქედან ყველაზე პოპულარული თეთრი არაგვის ხეობიდან, გულდამყრის მარშრუტი და ქსნის ხეობის მარშრუტია. ამბობენ, - ქსნის ხეობიდან ჯობს, უფრო შთამბეჭდავია, ბევრად უფრო ლამაზიაო. ეგ მარშრუტი მე არ ვიცი, მე არაგვის ხეობიდან წავიდი, ზემო მღეთას ცოტა გავაციდი და სერპანტინის პირველივე მოსახვევში ჩამოვედი ტრანსპორტიდან, დანარჩენი ფეხით...

ოთხნი ვიყავით - თინიკო, დათო, მია და მე. თინიკოც და დათოც ტყე-ღრეში გამოცდილი მოგზაურები არიან, მეც, ასე თუ ისე ვქაჩავ, აი, მის კი ამჟამად ეტყობოდა, რომ გამოუცდიელი იყო. ამას პირველად მაშინ მივხვდით, როდესაც ტრანსპორტიდან ჩამოსულემა ბარგის გადანაწილება დავიწყეთ. მის ისეთი ზურგჩანთა ჰქონდა წამოდებული, ერთი კილომეტრი ორი კილო ბარგიც რო ეტარებინა, მხარზე მოსაკიდებელი ქამრები მხრებს მოაჭრიდა. ეს პრობლემა მოვაგვარეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ თითქმის ჩუსტებით იყო წამოსული, რაც იმას ნიშნავდა, ერთი ათჯერ მაინც გადაუტრიალდებოდა ფეხი და შეიძლება უკან მობრუნებაც კი დაგვჭირებოდა. მისასასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაზე მაგრად იარა. მაშინ 15 წლის იყო.

დავიძარი და პირველი დაბრკოლება იქ შეგვხვდა, სადაც ყაზბეგას სახლი დგას



ყელის ტბა

და სახლს კიდევ რამდენიმე ქოფაკი იცავს. ყაზბეგას სახლი არაგვის მარჯვენა ნაპირზე (დინების მიმართულებით) სულ მარტო დგას, შეფენილი მთის ფერდზე. ყაზბეგას სახლში არ იყო, მისმა ქალიშვილებმა კი ძაღლებს ვერაფერი მოუხერხეს, ამიტომაც თითქმის კედელზე მოგვიწია ხოხვა. როგორც იქნა, ავიარეთ ყაზბეგას სახლს უკან მთის ფერდი და გავსწორდით.

პირველივე ნახევარ საათში ისე დავილაღე, ვიფიქრე, აქვე გავშლი კარავს-მეთქი. სწორზე მწყემსები შეგვხვდნენ. საღამო-ქალამის შემდეგ, - აბა, საით გავიწევათო, - და რომ გაიგეს, ყელის ტბაზე მივიღოდით და თან ჩემი ქოშინიც დიდხანს ისმინეს, თავი გააქნიეს და გზა დაგვილოცეს. კი გავიკვირდა, უხალისოდ რომ აგვისსნეს გზა, ხელეით და თავის გაწევა-გამოწევა, მაგრამ სამი დღის შემდეგ, როდესაც ტბას მივალწიეთ, მივხვდით რატომაც გვისხიდადნენ უხალისოდ - ამხელა გზის ჩვენება შეუძლებელია და განსაკუთრებით მაშინ, როცა თითქმის გზის დასაწყისში ხარ. მიგნებით კი მივაგნებდით, ტოპოგრაფიული სამხედრო რუკაც გვქონდა და თან თბილისიდან ერთი თვით ადრე ყელის ტბაზე ნამყოფი ჯაბა მალალურაძეც ხაზზე იყო, და თუ სადმე ორიენტირს ვკარგავდით, ეგრევე ხარი ჯაბასთან და, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

ორსაათნახევარი ისე ვიარეთ, ერთხელაც არ გავჩერებულვართ და საკმაოდ დიდი და რთული მონაკვეთი გავიარეთ. დასასვენებლად რომ დავსხედით, დავინახეთ, გულაური თითქმის მოტოვებული გვქონდა. ისე კი, უცნაური სანახავი იყო ხევის მეორე მხარეს მოტიტვებული გულაური. ამის შემდეგ კიდევ ცოტა ვიარეთ, რამდენჯერმე შევისვენეთ და არაგვის სათავესთან მისულეხს, იქ, სადაც მიწას მოწყვეტილი მდინარე ჩანჩქერად იქცევა,

დავბანაკდით. პირველმა დღემ, რუკის და ჯაბას მონაცემების თანახმად, საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა, ანუ მეორე დღეს, დაახლოებით ხუთი-ექვსი საათისთვის უკვე ყელის ტბა უნდა გვენახა.

იმ ღამეს დავკრიფეთ დეკა და გზად ფინხიც მივაყოლეთ და მშვენიერი კოცონი გამოგვივიდა. დავლიეთ არაფი, რომელიც იმდენი გვქონდა, სად წავგელო, არ ვიცოდით და დავიძინეთ.

მეორე დღე უფრო რთული იყო, ვიდრე წინა ღამით წარმოგვედგინა, ცეცხლის გარშემო მჯდომები არაფს რომ ვურტყამდით. პირველად სწორად ყელის ტბაზე გამოვცადე, თუ როგორი მძიმე შეიძლება იყოს „პანხელია“. მე და დათო დავიტანჯეთ, რაც შეეხება მის და თინიკოს, მათ არაფერი ეტყობოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მია და თინიკო მკვირცხლად შეუყენენ ბილიკს, იძულებულნი გახდნენ, ჩემი და დათოს ტემპს მორგებოდნენ, ამიტომაც ყელის ტბა ვერც იმ დღეს ვნახეთ. თუმცა, ერთი ათჯერ მაინც იყვინა წინ წასულმა მამ, - ვხედავ, ვხედავო, მაგრამ... ჩვენ ვულკანურ პლატოს მივუყვებოდით, სადაც რამდენიმე ათეული ტბა არის და ალბათ გაზაფხულობით კიდევ უფრო მეტი.

ღამე ერთ-ერთი პატარა ტბის ნაპირას გავათიეთ. კარვები ქვიშაზე გავშალეთ და გავიმეორეთ ის, რაც წინა ღამით - კოცონი, ოლონდ ცოტა მოკრძალებული და დაღვევაც კიდევ უფრო მოკრძალებული. რაშიც თავი არ დავხოვეთ, ჭამა იყო. გემრიელად მივირთვით და დავგვიძინა.

დათომ დილაუთენია წამოგვეყარა. ჩვენ პატარა სანაპიროს ჯერ მზე არ მოსდგომოდა, კერა, რა თქმა უნდა, გაციებული იყო, და ამიტომაც ჩავიცვით ყველაფერი, რაც კი თან გვქონდა, რამენაირად სიცივეს რომ არ ავეტანეთ. დათომ ჯერ დასიებულ სახეებზე შემოგვხვდა, მერე კარვების გარშემო

და მთელ პლაჟზე ჯერ კიდევ თბილი და-
თვის ნაკვალავი გვანახა და ხელი ჩრდი-
ლოეთით გაიშვირა, - ამ გორას იქით ყე-
ლის ტბა არისო.

ყელის ტბა მართლაც ულამაზესი სანა-
ხაობაა, მით უფრო დილაუთენია, ჯერ
კიდევ ჰაერი რომ არ იძვრის და ტბას
მზის სხივები არ დასდგომია. გვონია, თით-
ქოს უზარმაზარი სარკის ნამსხრევვი ვდია
და მასში ყველაფერი ჩანს, რაც მას ზევით
არის. მზის ამოსვლის შემდეგ ნიავიც
დაუბერავს ხოლმე და გარდა იმისა, რომ
ტბა მზის სხივებს ირეკლავს და მისი
სრული სილამაზით დატკბობას ვერ ახერ-
ხებ, ტბაც ლივლივს იწყებს, და სარკის
ეფექტიც მომავალ დილაზე ქრება. დილა-
ობით ყელის ტბა ყველაზე ლამაზია.

გადავიღეთ ფოტოები, ვიბოდიადეთ
აქეთ-იქით და ორ საათში ბანაკში დავბ-
რუნდით. ჯერ ათი საათიც არ იყო. გადავ-
წყვიტეთ, მალევე ავბარგებულებოდათ, რომ
ის მანძილი ერთ დღეში ჩაგვევლო, რომლის
ამოვლასაც თითქმის სამი დღე მოვანდო-
მეთ. აქ ცოტათი კანონზომიერების დარღვე-
ვა მოვისურვეთ ალბათ, და ამიტომაც მოხდა
ისე, რომ მაინც მეორე დღეს ჩავვდივით.

მე მთელი მეორე დღე წელი მაწუხებ-
და. ხო, დამავიწყდა მეთქვა, რომ ყოველ
ღამე წვიმდა. ჩემს კარავში წყალი შემო-
ვიდა, შესაბამისად საძილე ტომარაშიც
და წელი ამიტომაც მტკიოდა - გამიცვი-
და. წელის ტკივილის გამო, ჩემთვის ადგო-
მა-დაჯდომა დიდ სირთულეებთან იყო და-
კავშირებული, ამიტომაც დათოს, თინიკოს
და ძიას ვუთხარი, - მე წავალ, არ გაჩერ-
დები, გახურებულზე საერთოდ არ მაწუ-
ხებს წელის ტკივილი, და არაგვის სათა-
ვესთან დაველოდებით, სადაც პირველი ბა-
ნაკი გვქონდა-მეთქი. ძიამ, მეც წაბოგყვებიო.

სათანახეგარი-ორი საათი იყო, რაც
გზაში ვიყავით, მე და ძიამ სროლის ხმა
რომ გავიგეთ. ძალიან შორს, დაახლოე-
ბით 40 წუთის სავალში ქვევით დავინა-
ხეთ, წერტილები მოძრაობდნენ. ძიას ფი-
ლოსოფიურად ვუთხარი, - მწყემსები, მათთან
შევისვენოთ და იქ დაველოდოთ დათოს
და თინიკოს-მეთქი. თან გამორიცხული
იყო, დათო და თინიკო ავცკდნოდნენ -
უკანა გზაზე ვიდაც ღვთისნიერის მიერ
ავებულ ყორღანებს მოვეყვებოდით.

დაახლოებით 40 წუთში ადგილზე
მივედით. მანამდე ვხედავდით, რომ მწყემსები
რალაც უცნაურად გადაადგილდებოდნენ.
არც რამე ოთხფეხი დაგვიანახავს და ცოტა
ეჭვი კი შემეპარა - მწყემსებისთვის ცოტა
უცნაურად იქცევინ-მეთქი. მერე ვიფიქრე,
მონადირეები იქნებიან, აბა, სხვა ვინ უნდა
იყოს-მეთქი...

Руки вверх! - დიდი ლოდის უკნი-
დან გამოძვრა ახალგაზრდა ყმაწვილი და
ავტომატი მოგვიშვირა მე და ძიას. მას

კიდევ ორი დაქმნა - მოგვიშვირეს რუმი-
ნული კალაშნიკოვები; დაგვაგდეს ქვასთან
და გვეკითხებთან ათას სისულულეს. ძიას
უხარია, ერთფეროვნულ თბილისურ ცხო-
ვრებას მოწყვეტილი ასეთ ამბავში რომ
გაეხვია. ვერ ხვდება, რამდენად სერიოზუ-
ლად შეიძლება განვითარდეს მოვლენები
და ამიტომაც რალაც სისულულეებს ლაპა-
რაკობს, მესაზღვრებს ელაპარაკება. აღმოჩ-
ნდა, რომ ოსი მესაზღვრეები ყოფილან და
ჩვენ გვადანაშაულებენ საზღვრის უკანონო
გადაკვეთასა და ჯაშუშობაში. მე და ძიას
(15 წლის არის!). არაფერს გვეუბნებიან,
გარდა იმისა, რომ ცხინვალში უნდა წაგ-
ვიყვანონ და ხელისუფლებას გადავცვენ.
გვეუბნებიან, რომ თავის მეგობრებს ელო-
დებიან და, როგორც კი ისინი მოვლენ,
ცხინვალისკენ დავიძვრებით, მაგრამ გამოჩ-
ნდა ერთი პრობლემა - როდესაც გვეკითხეს,
მარტო ხართ თუ არაო, დავეთანხმე.

ამ ჩემმა დაუფიქრებელმა პასუხმა კინა-
ღამ იმსხვერპლა დათო: სანამ მესაზღვრე-
ების მეგობრებს ველოდებოდით, ერთ-ერთი
მესაზღვრე, რომელსაც შემდეგში როდო-
დენდრონი შევარქვით, დურბინდით არემარ-
ენს ათვალიერებდა. უცებ შამხანა მოი-
მარჯვა და ჩაუჯდა. რა ხდებაო? ვიდაც
ზანგი და ქალი მოდიანო. ზანგი დათო
იყო, წვერებში და დამწვარი სახით. სასწრა-
ფოდ ვიყვირე - НЕ СТРЕЛЯЙТЕ, ОНИ С
НАМИ!

სანამ დათო და თინიკო ჩვენამდე მოვიდ-
ნენ (გზაში მათაც ეგონათ, რომ მწყემსები
დახვდებოდათ), აუუსენი მესაზღვრეებს, რომ
არ მომიტყუებია ისინი, როდესაც ვუთხარ-
ი, მარტო ვართ-მეთქი. ჩვენზე წინ იყვნენ
და მეგონა, უკვე უნაგირს იქით იქნებოდ-
ნენ და ამიტომაც ვითხარი, რომ მარტო
ვართ, ესენი აქ მოჩანჩალებენ-მეთქი.

დათო და თინიკო გაღიმებულები მოვი-
დნენ, თინიკოს გზად ალპური ყვავილების
თაიგულიც კი შეეკრა. როცა მიხვდნენ,
რამი იყო საქმე, ისეთივე გაღიმებულები
დარჩნენ და გვერდით მოგვისხდნენ. ჰოდა,
ვისხედით ასე გაღიმებულები, სანამ ის
სამი მესაზღვრეც არ მოვიდა. ყველაზე
უარყოფითი გმირი ტერორისტი თუ გავაზ-
სენდათ ვინმე, რომელიმე ამერიკული „ბო-
ვეიკ“-ტრილერიდან, აი, სწორად ეგ გმირი
იყო ერთ-ერთი იმ სამიდან და ამიტომაც
მის დანახვაზე ღიმილი ბუნებრივად წამე-
შალა და საშინელი მწუხარება გამომე-
ხატა სახეზე. ყველაფერზე ვიფიქრე, რაც
კი დამიშავებია ცხოვრებაში და ვინანე
ყველაფერი, რისი ვაკეთებაც შეძლო და
არ ვაკეთებ. კბილებამდე შეიარაღებული,
ცხენზე ამხედრებული შამილ ბასაევი მოე-
მართებოდა ჩვენსკენ დინჯად და ცხენის
ყოველი ნაბიჯი მასლოვებდა ინფარქტთან,
არადა, ასეთი ახალგაზრდა ვიყავი.

საბედნიეროდ, შამილ ბასაევი მხოლოდ

„ვიღზე“ აღმოჩნდა შამილ ბასაევი და იმ
ექვსკაციან ჯგუფში მთავარი და ყველა-
ზე საშიში თურმე სულ სხვა ყოფილა,
სახელადაც და გვარადაც „ბედუშკა“ რომ-
ლის სიტყვაც ისეთივე კანონი იყო დანარ-
ჩენი ხუთისთვის, როგორც - ვენესუელის
ლტოლვილთა და განსახლების მინისტ-
რისთვის უგო ჩავესის სიტყვა.

ბეგრი რომ აღარ გავაგრძელო, დაგვა-
ლეს ხელი და ნარნარით ჩამოვლილი ეს
დაღმართი სულ აღმართად გვიქციეს -
ცხინვალისკენ გზას შევუდევით. როცა
მივხვდით, რომ არ მოგვკლავდნენ, დაიწყეთ
ჯერ ტკბილი სიტყვით ახსნა, რომ აგენტები
არ ვართ, მერე ცოტა წავიწუწუნეთ, მერე
მხოლოდ ვწუწუნებდით და ბოლოს როცა
ფეხები აღარ გვემორჩილებოდა და არც
გონება, ისევ ინსტინქტმა გამოგვიყვანა მდ-
გომარეობიდან და გავბრაზდით. უფრო
სწორად კი, თინიკო გაბრაზდა, ჩვენ კი
თინიკოზე ვბრაზობდით, - ნუ უყვირი, აქვე
დაგვხოცავენ, დაგვჩხვენ, დაგვყრიან და
ევითი რამე-რუმეები.


თინიკომ თავისი გაიტანა: მაშინ მაღლა-
ფერიძე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუ-
ბერნატორი იყო, ამთ ვუთხარით, გადარე-
კეთ ცხინვალში, გადარეკონ ვასოსთან და
იქ გაარკვევენ, ვინ ვართ ჩვენ. ამან გაგვრა,
მირეკვა-მორეკვის შემდეგ ვითხრეს, - დღეს
ვეღარ გაგიშვებთ და ღამე ერთად გაათი-
ოთ, ხვალ კი თქვენ გზაზე მიბრძანდითო.

იმ ღამეს ისევ ის გავაკეთეთ, რასაც
წინა ღამეებში ვაკეთებდით - ისეთი კოცო-
ნი გვქონდა, ჯორდანო ბრუნოსაც კი შემურ-
დებოდა, არჩვის მწვადები (ამთ იქ უნადი-
რიათ კიდევ), ცოტა არაყი და ცოტაც
სპირტში გახვეული წყალი. მაშინ კი
ვინანეთ, სიმძიმის გამო პირველ ბანაკთან
ორი ლიტრი არაყი რომ დავტოვეთ, მაგრამ
ვერაფერს ვიზამდით - ვსვით და ვსვით
ეს წყალნარევი სამედიცინო სპირტი. სად-
ვერძელოებში ყველამ აღვნიშნეთ, რომ პო-
ლიტიკის დედაც და ჩვენ ძმები და დები
ვართ, რამ გავგყო ოსი და ქართველები,
რომ ორივე მართლმადიდებლები ვართ
და დავიძინეთ, მაგრამ ტკბილად ვერა, იმი-
ტომ რომ გავვიმდა და ისევ დავსველდი.

დილით ფოტოები გადავიღეთ, ძიას
ავტომატიც კი მისცეს ხელში და ხელიც
გადახვიეს. „ბედუშკამ“ თავისი ტელეფონი
ჩაგვაწერინა, ჩვენ ჩვენი მივეციით და სახ-
ლში მშვიდობით დავბრუნდით.

ომამდე „ბედუშკაც“ რეკავდა და ჩვენც
ვრეკავდით მასთან, ომის მერე კი ჩვენი
ტელეფონები დაღუშდა. დაღუშდა ყელის
ტბაც, იმიტომ რომ იქ, ქართველების და
საქართველოში ჩამოსული ტურისტების
გარდა, არავინ დადიოდა და ისიც ძალიან
იშვიათად, ახლა კი, ალბათ, აღარავინ დადის
და, ვინ იცის, რამდენი წელი იქნება ასე.

სანდრო ნაფობიანი



המבט
המבט

კანონი და მართალი

ქართული სადღოჯილაშვილი

ბესიკ სარანაშვილი

ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე, რომლისთვისაც თურმე ყველა მწერალი პირველი გაუმართავი სტრიქონის დაწერისთანავე ემზადება და რომელიც ავერ უკვე 40 წელია ტექსტობს ბესიკ ხარანაშვილი, ის ასეთი რამის თქმას აპირებს: მწერალი ამაოდ ცდილობს, თავისი სულიერი მეტამორფოზა აქციოს წიგნად, ცდილობს, რაღაცეები მოიგონოს, მაგრამ არაფერი გამოდის და ამბობს: - ხედავ, რა ყოფილა ეს პოეზია - ერთადერთი მართალი, რომელიც სრულიად ტყუილია...

კიდევ ამის თქმასაც აპირებს: დაე, დიდი ერები ნუ ჩაყლაპავენ პატარა ერებს, ვაითუ, რომელიმე აღმოჩნდეს ალმასისა... დიდთა ენები, ნუ დაამცირებთ მცირეთა ენებს, ვაითუ, რომელიმე დმერთს ეამბოღდეს...

ამ „სანობელე სიტყვაში“ საჩემო ადგილსაც მივაგენი, ბესიკ ხარანაშვილის ახალ წიგნთან მკითხველის მისატყუებლად რომ გამომადგება.

„მოდი, ფრაგმენტებს შევაჩვიოთ ჩვენი მკითხველი. სინამდვილეში გაბზულად არაფერი ხდება. ყველაფერი ფრაგმენტებად მიმდინარეობს. მოდი, შევავყვაროთ. მოდი, შევაჩვიოთ. მოდი, დავარწმუნოთ ფრაგმენტებში“.

შეყვარება, შეჩვევა და დარწმუნება ფრაგმენტებით მაშინ გადავწყვიტე, როცა ბესიკ ხარანაშვილის ახალი წიგნის „სამოცი ჯოჯოხე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ მკითხველის წინაშე წარდგენა მთხოვეს. წიგნს რომ წაიკითხავ, წესით, უნდა შეგრცხვეს, რამე დაწერო, რადგან რაც შეიძლებოდა გეფიქრა, გელაღა, გეთქვა და ჩაგედინა, აქ ყველაფერია. წარდგენაც რა, წიგნის პირველი გვერდიდან, სათაურების სარჩევშივეა. მე უბრალოდ, „ტკბილი სიცივის“ მონაწილის „სტატუსი“ მთვრალ ავტორთან საუბარშიც შევინარჩუნე და მინდოდა თუ არა, ალოგიკური ფრაგმენტების მდინარეს მივეყვი. აი, ასე:

„იმდერე სისულელე, დაე სიბრძნეს ედოს საფარველი! სისულელე ვერ გაძლებს უმდერლად, სიბრძნე კიდევ ღუმლის გარეშე, შენ იქნები მათ პირშესაყარზე როგორც მთვრალი მიწისმზომელი და სინამდვილეს აურ-დაურევ“.

„ჩემი სიტყვა არაფერს არაა ამოფარებული, არც გმირობას, არც ნაწარმოებს...“

მარტო საკუთარ თავს ებრძვის და სხვებისთვის დრო აღარ რჩება“

- ჩემთან ყველა სიტყვა არის კრიტიკული, რომელსაც უნდა მიაგნო და პოეზიად აქციო. საერთოდ არ მიყვარს, როცა პოეტი რამეს იგონებს, პოეტი უნდა მოედინებოდეს სინამდვილიდან. მე საიდუმლოებები არა მაქვს, არასოდეს მომინდება ვიყო არქილოქე, არადა, მომწონს. ჰომეროსის ილიადა მაგონებს ხევსურულ პოეზიას, აბსოლუტურად ერთნაირია და ბევრი აქვთ საერთო, ტიპები იქაც ოხრად ყრია, მაგრამ საქციელი, მორალი, ზნეობა და ვაჟკაცობა ერთნაირია. სხვათა შორის, ჰომეროსთან შეზავარდა ვაჟკაცობა, საძაგლობა და იმიტომ, მთელი გზა ამტკიცებს, რომ ეს გმირები სულაც არ არიან გმირები, ისინი არიან ამპარტავანი ხალხი, მკვლელები და მოხვეჭელები.

- ვერ თუ გავყვებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც არაჰუმანურები არიან, მკვლელობებზე რომ არაფერი ვთქვათ.

- მანდ ორი რამე ირევა ერთმანეთში, „ვეფხისტყაოსანი“ როგორც მხატვრული ნაწარმოები, ყველაზე წინაა მთელ დედამიწაზე, რადგან არსად არაა სული და ხორცი ასეთ ჰარმონიაში, დანტე ვინ არის მაგასთან. ყოველი მესამე სტრიქონი რომ ერთმანეთს ერთიმეება, ის არის ქაჯობა. ვაჟასთან სტრიქონები არის იოლი. ჯოჯოხეთის აღწერა ხალხურ პოეზიაში ისეთია, რომ მაგასთან ვერავინ მივა. სიკვდილი? ქართველ კაცს მარტო ევ აინტერესებს.

- მე მგონი, „ჯოჯოხე ამხედრებულ რაინდებსაც“ მარტო ევ აინტერესებთ - სიკვდილთან თამაში და არშიეი. სიკვდილი გაივიწყებული აქვთ ადამიანთან, რომელიც უყვარს, რომლის თანასწორადაც თვლიან თავს.

- არც არსებობს ისეთი სრულყოფილი არსება, ვისთვისაც სიკვდილი არ იყოს სუბიექტი. სიკვდილი არის მარად არსებული მისტიკა, ამიტომ ის, რაც უკვდავია, არის მხატვრული, რაც მოკვდავია, არის არამხატვრული.

- ადამიანს, რომელსაც არ ესმის პოეზია, როგორ გააგებინებთ, რა არის პოეზია.

- ვერ გააგებინებ. ეს ყოფილა საოცარი რაღაც. მე ვერც დავიჯერებ, რომ წესიერ ადამიანს არ ესმის რა არის პოეზია. ნიჭია, რა. მე რომ დავასწრო იმის

თქმა, რასაც შენ მერე გაიგებ. პოეტი არის არსება, რომელიც იგებს და ამბობს „რაღაცას“, მე მგონი სწორი ევ არის.

- ახლა ეს გამახსენდა: „რაც მე არ ვიცი - ეს არის ცხოვრება, რასაც არ ვიცნობ - ადამიანი, მაგრამ ამეებსაც არაფრად ჩავთვლიდი ჩემს თავს რომ ვიცნობდე, ამიტომაც ვწერ, ვწერ არცოდნაზე და უსასრულოა ჩემი ასპარეზი“.

- მე სანამ ცოცხალი ვარ, არ შევწყვეტ ბრძოლას იმისათვის, რომ გავიგო, ვინა ვარ, საიდან მოვდივარ... ადამიანს აქვს უფლება ეცადოს, მეტი არაფერი შეუძლია.

ერთი სურათი გადამიღო დედაჩემმა, ყელზე აბრეშუმის ბანტით, მის მერე ვეხვეწები ყველას ეს ბანტი მომიტანონ, ტრაქტორს მოგიტანენ, მაგრამ იმ ბანტს ვერავინ მოგიტანს. მინდა რომ ის ვიყო, იმას ვერ დავმორდები, დედაჩემს, ჩემს ბავშვობას, იმის იქით ნაბიჯი არ მინდა.

- მთვრალს ოდესმე გიწერიათ?

- დამიწერია, მაგრამ არ ვარგოდა და გადავყარე, სისულელე იყო, სამარცხვინო.

ბანტის ამბავი არ გაინტერესებს? დედაჩემი მოვიდა ერთხელ, საყვარელი, და მითხრა - წამო, სოსიკომ სურათი უნდა გადაგიღოსო. გამიკეთა შავი ბანტი და წამიყვანა, სოსიკომ გამოალო შიფანერის კარი, ფონი დაყენა, ჩხაკ-ჩხუკ გადამიღო და გამოვედი ჯოჯოხეთისნაირი ტიპი... ის ადამიანი, რომელიც პირველად შეურაცხვეს, ეხლა ვინ უნდა შეურაცხმოს? იცი, რა მაგარი ბიჭი ვიყავი? ყველას ვეროდი უბანში, მერე მითხრეს, მამაშენს რა ქვიაო და დავკომპლექსდი, რატომ იცი? ჩემს გარდა არავინ იყო ისეთი, ვისაც მამა არ ჰყავდა და ამან დამთრგუნა.

„ასეთ პატარა სოფელში ხბოხეც კი არ იკითხავდნენ, - ვისიო? და მეც შემკითხველებს, სხვადასხვა ფორმით, მანსოვს, ვალში არ დავრჩენილვარ. ამაზე გული არა მწყდება. მე უფრო ის მაინტერესებს, ამ ბოლო ხანებში კითხვა რომ ამეკვიტა: განა დმერთს მიწაზე შვილი არა ჰყავს? განა დმერთი არ ეძებს თავის შვილს? და, აი, ერთ დღიას, აზრისა და გრძნობის ერთდროულმა დარტყმამ გამომაღვი-

და: ღმერთი ეძებს შვილს და პოულობს მას ნაგავსაყრელზე.

უკეთეს პასუხს არც ველოდი“ (წიგნიდან)

- *ნერვებადღე შიშველი პოეტია ბესიკ ზარანაული, ვისთანაც არაფერია დაფარული და რატომ ვაქვთ ეს მამის კომპლექსი, თქვით ერთხელ და მოისვენეთ. ზედმეტ ტვირთს რატომ იმატებთ?*

- ტვირთს კი არა, უპირატესობას ვიმატებ. მაგარი ვარ და არც შეიძლება, სხვანაირი ვიყო. მე მყავს შვილიშვილი, რომელსაც ბესიკი პქვია და ძალიან მგავს, იცი, როგორ უმკლავდება სოფელს? ერთხელ ლევანს უთქვია - საწყალი მამაჩემი, როგორ უმკლავდებოდა ამ გათასსირებულ სოფელსო.

- *გათასსირებულ ქალაქს როგორღა უმკლავდებით?*

- ვაცლი, რომ იყოს გათასსირებული, რა ჩემი საქმეა. სოფელი სხვა არის, რადგან შენ თვითონ ხარ სოფელი. ქალაქი დიდაა, აქედან წახვალ, სხვაგან მიხვალ, სოფელი პატარაა.

როგორ ივარგებ - ესაა, მეტი კი არაფერია ცხოვრება, ამისთვის კი ყველაზე კარგია ხელოვნება. ხედავ, რამდენხანს გაძლო პომეროსმა, იმიტომ რომ უფრო მაღალია, ვიდრე სინამდვილე. პოეზია ყველაზე დიდი რამეა, პროზაში რაც კარგია, ისიც პოეზიაშია. ბევრი პოეტი ხომ არ არსებობს, პოეტები არიან თითო-ორიღა შერეკლები. თავისთვის ცხოვრობდნენ დიდი პოეტები - ბერნსი, მერცხალა. ჩვენზე დიდი პოეტები არ არსებობს, მერე ეს ყველაფერი შეკონა შექსპირმა, ჰომეროსმა.

- *ალარ გამოველიათ მარაგი?*

- არც გამომეღვევა არასოდეს. ერთადერთხელ მქონდა კრიზისი, როცა მივხვდი, რომ ჩემი ნაწერი ლექსი არ იყო, პატარა ვიყავი მაშინ, სკოლაში ვსწავლობდი. ბებო-ჩემმა საბი მანეთი სახსარი გამატანა გასვენებაში, იქ იტირეს ქალებმა, ვისაც თვითონაც ჰყავდათ მიცვალებული. კიოდა მოტირალი და ეს სცენა არასოდეს ამომივა თავიდან, ნამდვილი იყო, ის ტიროდა თავის ქმარს, შვილებს, წარსულს, ქმარი აქეთ ისწრწებოდა - ეს იყო ძღვენი ჩემთვის, იმიტომ, რომ მაშინ გავიგე, რა არის პოეზია. შენ როგორ ფიქრობ, ახალი აღთქმა, იოანეს სახარება პროზაა თუ პოეზია?

- *ფსალმუნებიც დიდი პოეზიაა.*

- მე ესე მიმაჩნია, რომ სახარება პოეზიაა. ჩემთვის ჭეშმარიტების ფორმა პოეზიის გარდა არაფერს არა აქვს. 2+2 არის 4, თუ ეს პოეზიაში არ არის ნათქვამი, მე ის არა მწამს, მეცინება. აბსოლუტურად მათემატიკურად ზუსტია პოეზია. ბარათმევილისთანა გენიოსი პოეტი სადღაა, არც დაიბადება. ნიკოლოზ ბარათაშვილისნაირ-

რი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი დღესვე. ანდა ილია, ყვარლის მიუბისნაირ ლექსს ვერავინ დაწერს. კიდევ ათას სისუღელეს ამბობენ ილიაზე. მე მაგალითად ვილტვი, რომ ვინმე კარგი იყოს, გენი ილტვიან, რომ ვინმე ცუდი იყოს. ვილაკამ მითხრა, აი, ტომეულები გამოვიდა გალაკტიონის და ორი ტომი თუ იქნება კარგიო. ვალაკტიონი იმით კი არაა ცუდი, რაც არ უვარგა, იმიტოა კარგი, რაც კარგი აქვს. ცუდს ეძებენ, გაიცი?

- *ჯორზე ამხედრებულ რაინდებს მივხედოთ, რეალურები იყვნენ ისინი?*

- იცი, რას გეტყვი? (პაუზა), მე მგონი მინახია ეგენი. რაღაცნაირად დარწმუნებული ვარ, რომ მინახია, თუ არ მინახია, არ მაინტერესებს.

„იმის ეჭვიც მინდებია, იყო თუ არა ეს ყველაფერი სინამდვილეში, მაგრამ რომ გამახსენდება, როგორ მძღვედა სიცხეებს ამ ამბების გამო და როგორ ვისველებდი ღამდობით, რის გამოც იძულებული ვახდებოდი დედაჩემი, ცალთვალა მკითხავთან წავეყვანე გამოსალოცად (ასეთი შემთხვევა ერთი და ორი როდი ყოფილა), ვამჯობინებ დავიჯერო, რომ სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ნამდვილად ვნახე“ (წიგნიდან)

- *ნანახი გამონავონს უნდა შერეოდა, სხვადასხვა ავტორების მოგონებებით და ეთნოგრაფიული ჩანახატებით - თავიდანვე ასეთი ფორმა გქონდათ ჩაფიქრებული?*

- ეს არის ერთი ლექსი, დაწერილი ხუთას გვერდზე, მეტი არაფერი. ერთი ხუთასი გვერდი კიდევ, ამოყვარე. რომ ჩახვილი იმ გადაყრეში, დაგენება, რატომ არ შეედა წიგნში, მაგრამ ვეღარ ავიტანე. დავხოცე ხმლით, ხანჯლით. 3 წელი ვწერდი. ჩემი ტვინი არის ისარივით გასროლილი, მაგრამ მაინც ის ბანტი მინდა მქონდეს, სურათში რომ მაქვს, ძვირფას საჩუქრებს მჩუქნიან და იმ ბანტს არავინ მჩუქნის.

- *ვინც უკვე წაიკითხა „ჰიპერბოლები“ და მეტაფორების წიგნი“; ყველა ამბობს, ძველი დაუღდა ფშავ-ხევსურებსო.*

- რა ძველი? ეს არის ზღაპრული სინამდვილე, რომელშიც ადამიანი ცხოვრობდა. ქერის მარცვალს ითვლიდნენ და სიცოცხლეს არ ითვლიდნენ, ეს იყო მათი უბედურება, მაგრამ მაინც ჯიჯრები იყვნენ, მიყვარან, რა.

- *წიგნში მაინც შეიმჩნევა დაპირისპირება ხევსურებსა და ფშავლებს შორის.*

- ვაჟა ფშაველი იყო და 85-86 წლებში წერდა კორესპონდენციებს ჰიპერბოლებ-

ზე კი არა, მათ აჩრდილებზე, მაგრამ რაქნა იცი, რაც გენიალური დაწერა, დაწერა ჰიპერბოლებზე, ანუ ხევსურებზე. „ალოდა ქეთელაური“ და „გველისმჭამელი“ სულ მაგათ ანდრეზებზე დაწერა. ეს ხალხი თავად იყო წიგნი, მაგრამ როგორც კი ფეხი გადმოდგეს წიგნიდან, დაერხათ...

- *თქვენ მათი დაწერილი ზეპირი წიგნი გადმოწერეთ?*

- ყველა სიტყვა, რაც წიგნშია, მე მეკუთვნის, და ამავე დროს, ჩემი კი არ არის, ეკუთვნის ნამდვილ ისტორიას.

- *მკითხველმა როგორ გააჩინოს, თქვენ რა გეკუთვინთ და ისტორიას რა.*

- რაც ჩემი არაა, ბრჭყალებშია. მკითხველი თვითონ იგონობს, რომ მე არასოდეს ვიტყვი იმას, რაც არ ვიცი. რასაც ამბობენ ზისერმანი, რადე, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი, ბესარიონ გაბუური, მე იმათთან არ ვერევი, ჩემსას ვმღერი, ჩემს სიმღერას.

- *რომელიც სათაურებიდანვე იგონობა.*

- აი, იქა ვარ, სათაურებში. 140 სათაურია ანუ ერთი დიდი ლექსი, მარტო სათაურები რომ წაიკითხონ, მუტის წაკითხვის თავი არცა აქვთ და არც არის საჭირო. არადა, ამ წიგნში კითხვა ვაქციე ხელოვნებად, მთელი წიგნი არის თამაში, რადგან ვერაფერზე იტყვი, რომ რეალურია. მთელ წიგნს ვთავაზობ მკითხველს იმისათვის, რომ იმხატვრულოს, რაღაცა ნახოს.

- *წიგნის სათაურიდანვე „ჯორზე ამხედრებული რაინდები“ ერთგვარ ირონიულ ასოციაციას იწვევს როსინანტზე ამხედრებულ რაინდისას.*

- განა რატომ არ უნდა განდეს ეს ასოციაცია? ოღონდ ეს არის კომიზმი - მარად განმეორებადი ჭეშმარიტება. სინამდვილე, სილამაზეა კომიზმი, ესენი აბსოლუტურად არა ჰვანან ღონ კიხოტს, მაგრამ მკითხველი ელოდება ღონ კიხოტს, ამ დროს კი მკითხველსაც დავცინი და ყველა დანარჩენსაც.

- *ძლიან ნათელია ჯოროსების სახეები, ცოცხების თავებსა და ჯორის ფლოკებს აღვებულები მტერის ბულს ახლაც ვხედავ. ნამდვილი წიგნიც ხომ სინამდვილეა, რომელიც ოდესღაც ვინახავს. „ჰიპერბოლებისა და მეტაფორების“ ფინალი ჩვენი საუკუნის ირონიია?*

- ნამდვილად ირონიია. ის ბიჭიც მე ვარ, 40 წლისა რომ ხდება, მერე წავა, წავა და უცებ გახდება ასაკის გარეშე. ცხოვრებაში შესატყუებელ წიგნში ვამბობ: სიტკბოთი კი არ შეიტყუებს კაცს ცხოვრება - სიმწარით. სინარულით კი არა - ტანჯვით.

- *წიგნში ბევრია ფილოსოფია და სიბრძნეები.*

- სიბრძნეა შვილო, ესა, ფილასოფიაა. რაც ვნახე, ვნახე ბავშვმა და ის არასო-



დეს ამოძეწურება. მე, ბავშვმა ვნახე მთელი ქვეყნიერება, როგორ მიდგას იცი თვალწინ მთელი სამყარო, გაგიჟდები. ხანდახან ვფიქრობ, რას ვაფერადებ-მეთქი, მრცხვენია. რაც ვნახე, იმას ვწერ და ძაან იოლადაც. წამოვწკები, ვღგვჯარ თუ დავდივარ, ყველგან ჩამესმის რა უნდა დავწერო. ასეა, ასე. „უნდა მიპყვე პოეზიას სრულად და ლექსს რამდენადმე“.

წარსული არის ის, რაც არ გახსოვს, მაგრამ გელანდება. მე მაგალითად უცნაური რაღაცეები მემატება. წინა წიგნში მყავდა პროკლოვიანთ კატო, ერთხელაც, მინდა, რომ გადავაკეთო ეს პროკლოვიანთ კატო და მივდივარ გამოძეწელობაში, სადაც წიგნი ეწყობა, ერთი ქუჩა უნდა გადავკვეთო და გადავიდე მეორეზე. ბესიკ, გამარჯობა! - მესმის უცებ - ვერ მიცანი, პროკლოვიანთ კატოს შვილიშვილი ვარო. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, მინდოდა, მეტირა. მაპატიე, ჩემო კატო დეიდა, როგორ ვლაღატობდი-მეთქი.

- ამ ერთგვარ ეპოსში კავკასიაზე უმეტესობა ხალხურ ანდრეზებზეა დაფუძნებული თუ გამონავიცი ბევრია?

- მე ვარ ადამიანი, რომელსაც უყვარს ეს ყველაფერი და მინდა ვანახო მკითხველ-

საც, რაც დაწერა ვაჟამ, გაბუურმა. გაბუურს ხომ არასოდეს წაიკითხავს მკითხველი. მოვაროვე ეს ყველაფერი და მივეცი მკითხველს. ბევრი რამ აღმოვაჩინე ჩემთვისაც, იმდენად მხატვრულ ირონიაშია მოთხრობილი ყველაფერი, მოუკვდეთ ჩემი თავი, „ყოფილვართ ცოტინიკანი, ადგილ გვჭერივა ხმლითაო, ვხოცილვართ სიუჭკოვითა, ისივ ადგომამც იყვალ“ არავის არ აქვს თავისთავზე ეგეთი რამ ნათქვამი. ხევსურებისნაირი კილოკავიც, მწიგნობრული ენა არსად არაა საქართველოში, მათნაირი ტანსაცმელიც, ჩემი აზრებით კავკასიაში არავის აცვია, არადა, კავკასია რა არის? ყველაფერს ერთმანეთისგან იღებენ.

- ჰიპერბოლა და მეტაფორა ასე ვაქვთ განმარტებული - შეუძლებელი და შესაძლებელი. როცა შეუძლებელი და შესაძლებელი ერთმანეთთან ვერ თავსდება, ის კულტურა იღუპება?

- არა, ის კულტურა არ იღუპება, პოეზიაში რჩება. სანამ არის შესაძლებელი და შეუძლებელი და ეს ყოველთვის იქნება, მანამ არის პოეზია, ევრეა. პოეზია კი მარადცოცხალია, სიცოცხლის გარეშე პოეზია არ არსებობს.

- მეეჭვება „ჰიპერბოლებისა და მეტაფორების წიგნს“ მრავალრიცხოვანი მკითხველი გამოუჩნდეს.

- მკითხველს მხალღვით დაფუკეპე მთელი წიგნი ანუ სათაურები რომ წაიკითხოს, ისიც ეყოფა, ბოლომდე მაგის წაიკითხვა ვის შეუძლია? დავუშვათ, შენ გინდა მსოფლიოს გააგებინო, რაზეა ეს წიგნი, ესაა საუა კავკასიაზე, ადამიანებზე, რომლებმაც სიყვარული კი არ იცოდნენ, სურვილი ჰქვავდათ. სურვილი მათთვის იყო შეუძლებლისადმი ლტოლვა.

- ეს აღმატებული საგაა?

- ბესარიონ გაბუურისას რომ წაიკითხავ, არ არის ევრე.

- ბესიკ ხარანაულისას რომ წაიკითხავ?

- აკი ვითხარი, მთელი წიგნი პოეზიაა, ხუთას გვერდზე გაჭიმული და არცერთი სტრიქონი არ არის ისეთი, პოეტური რომ არ იყოს. მეჯავრება ყველაფერი არაპოეტური და არც შემიძლია, ვერა ვწერ ეგეთ ფრაზებს, იმიტომ, რომ პოეზიის გარდა არცერთი ენა არ მესმის. არც არასოდეს დაიხურება პოეზიის კარი, ისეთი რამეა, წააწყდება ვიდაცა და აიღებს. მე არა მწამს ისეთი წარსული, რომელსაც ადა-

მიანი თუნდაც ორასი წლის მერე აღიჭვამს როგორც იმდროულს, მე მწამს ისეთი წარსული, რომელიც ახალ კულტურულ გარემოში მოექცევა, რაც იყენებს ხევისურები და ფშავლები, ის კულტურული გარემო უნდა ვითამაშოთ ახალ დროში, ახალი ხერხებით.

- სახარებას აღიჭვამთ როგორც პოეზიას, თავად პოეტი რელიგიურია?

- მე სახარება „შემოწმებული“ მაქვს პოეტური თვალთ, იმიტომ რომ პოეზია ჩემთვის არის ყველაზე ზუსტი მეცნიერება და პოეტური თვალთ რომ შევამოწმებ, ენაზე, რომ ზუსტია, ქრისტეს ყოველი სიტყვა არის ზუსტი ანუ პოეზიაა. ჩემთვის სახარების ოთხივე ტექსტი პოეზიაა გაჟღერებული, ფსალმუნებზე არა ვარ ისე გადარეული, რამდენიმე მიყვარს, მაგრამ ფსალმუნებს ისე არ ვუყურებ, როგორც სახარებას, ფსალმუნების ავტორი ქრისტე არ იყო. ქრისტემ შეცვალა კაცობრიობა ჩემი აზრით, მერე ბოროტად გამოიყენა ქრისტე კაცობრიობამ, ეგ არ მომწონს. ქრისტე ჩემთვის ძალა კი არ არის, რომლითაც შეიძლება მოკლა მეორე, არამედ ძალაა, რომლითაც შენს თავს უნდა მოერიო.

- ჰიბერბოლებსა და მეტაფორებსაც ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ? მათ ხომ არც ესმოდათ ლოცვები, რომლებიც გაუგებარი სიტყვების გროვა უფრო იყო.

„მამაო და ღმერთო ჩვენი, რომენი ხარ ცათამბრუნავი, აგრე ხოყანათამბრუნავი და მოგვიტყევი პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალთა მოგვიტანა ნუ შეგვიყვან განსაცდელსა“ (წიგნიდან)

- ერთი ღმერთი ყოველთვის ჰყავდათ. ისტორიკოსები და ეთნოგრაფები არასოდეს ამბობენ, რომ ეს ხალხი ნიჭიერი იყო, არადა, ნიჭიერები იყვნენ, რაც ზევით მიიწვედა მარტო ის ქონდათ - ალვის ხე და მუხა - რაც მაღალი იყო და მათ ზევით იყო, იმაზე ლოცულობდნენ, მერე იპოვეს ღმერთი. კაცობრიობამ რა, როდის იპოვა ქრისტე, მაშინ, როცა დაჭირდათ, როგორც ადამიანი. ამათ კიდევ, სულ ადამიანები ჰყავდათ ხატებზე, იმისათვის რომ გვერდზე ყოლოდათ და მიხმარებოდით, მერე ყველა წმინდა გიორგით გარდაისახა. „მზე ღელა ჩემი, მოვარე მამაჩემი...“ კოსმოსში არაა გასული ამის მოქმედი?

- ლოცვების აზრს კი არ მიყვებიან, არამედ რიტმს.

- სწორედ იქცევიან, იმიტომ რომ შელოცვები და ქადაგება ძირითადად ემყარება პოეტურ რიტმს.

- ფიქრობთ, რომ ისინი უფრო მეტად განვითარებულნი, სივრცეში განფენილები, სამყაროსთან დაახლოებული იყვნენ, ვიდრე ჩვენ?



- დარწმუნებული ვარ, რომ თავიანთ მცირე სივრცეში ისინი აბსოლუტურად ეკუთვნოდნენ მხოლოდ ცას და მიწას, სწამდათ, რა. არადა, დასცინოდნენ მათ. ჩვენ ხომ სასაცილოდ ვივლებთ იმას, რაც თავად არ შეგვიძლია.

- ამ სამყაროში არიან ჰიპერბოლები და მეტაფორები, თუ გადაშენდნენ?

- არ გადაშენებულან, ილტვიან, ილტვიან, ილტვიან. არც შენ და არც მე არ გვინდა ვიყოთ შედარებები, ჩვენ გვინდა ვიყოთ ჰიპერბოლები და მეტაფორები. ხანგრძლივი ეპიკა კი არაა პოეტი, ერთი აბზაცია, ერთი სტრიქონია, რომელსაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მოიპოვებს.

- მერე რას შერება, რომ მოიპოვებს?

- არაფერს არ შერება, პოეტის მოპოვებული რამე გინახავს? პოეტი მოიპოვებს მხოლოდ სიკვდილს, ნამდვილ სიკვდილს. პოეტისთვის ბედნიერება რა არის, იცი? იმან იცის, რომ კვდება, მაგრამ წარმოიდგინე, რომ წახვედი საიქიოში და დაგეჯახა ჰომეროსი, აქილეუსიც დაგეჯახა, ნაბუქლონოსორიც...

- გეშინიათ საიქიოსი?

- საიქიოსი არა, ცოდვების მეშინია და იმის, რომ ცოდვა არ ჩავიდნო, ჩვენ ვცხოვრობთ ანბანს ზედა, ნოტებს ზედა, მან მგრძნობიარეა მიწა, რასაც ცოდვას ვარქმევთ, ამას მხოლოდ ჩვენ ვხედავთ. არადა, ცოდვა არის ისეთი რამე, რომელიც მოგინდება, რომ სხვამ არ გაგიკეთოს. მოკლედ, ცოდვა არის სიგლახე (დიდი პაუზა). თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო.

- ბესიკ ხარანაული ესაა ღელა, მიწა და პოეზია. ვერცერთიდან ვერ გადიხართ, ეს არის ტვირთი თუ ჯილდო?

- ღელა, მიწა და პოეზია არის ერთი და იგივე.

რატომ ვიყავი დედასთან ესე? მარტო ვიყავით, ერთად ვიყავით, სულ ასე იქნება, მე დედაჩემზე კარგი ადამიანი არ მინახავს ცხოვრებაში.

მიწა კიდევ, ერთი მტკაველი გვქონდა და სულ ვიცავდი იმათგან, ვინც იმ მიწაზე შემოიწვედა.

პოეზიაში დავიბადე კაცო და ახლა რომ მეუბნებიან ხოლმე ვერლიბრის მამა ხარო - მეცინება, რა ვერლიბრი, ვერლიბრზე დავიმცირებ თავს? ითანეს სახარება ვერლიბრია? ნატირლები ვერლიბრია? მე არ დავბადებულვარ ვერლიბრში, მე დავიბადე პოეზიაში.

P.S. შევკვება ასე წარადგენდნენ ახალ წიგნს. მართლა ისე გამოვიდა, მთვრალი მიწისმზომელი რომ სინამდვილეს აურდაურვს. არადა, ეს წიგნი საყოველთაოა, ყველანაირი ჯურისა და ჟანრის მკითხველისთვის:

თავგადასავლების მოყვარულთათვის ისტორიისადმი თავმოდრეკილთათვის ეთნოგრაფიით დაინტერესებულთათვის სასიყვარულო, რომანტიკულიადმი თვალმინაბულთათვის

უხამსობის მოტრფიალთათვის ფანტასტიკურში დაკარგულთათვის ირონიულად თვალმომოწკურულთათვის ფილოსოფია - სიბრძნეებისაკენ მილტოლველთათვის

პათეტიკისკენ მიდრეკილთათვის შარა-გზისა და ნაგავსაყრელის სიფათოსნებისათვის

ავტორით აღფრთოვანებულთათვის პოეზიაზე გადარეულთათვის თქვენხარებისათვის ჩემხარებისათვისაც -

„ადრე მეგონა, რომ ყველას ვუყვარდი. მერე მინდოდა, რომ ყველას ვყვარებოდი. ახლა მინდა, რომ თავი დამანებონ“.

ნარკომანები ბირჟაზე დგანან. გამოიარა შაკანინანმა.

- ეს ვინ არი, ტო? - იკითხა ერთმა.
- ეს სომალელი ლტოლვილია!
- ვა, სომალიც დაგკარგეთ ტო? - დაამატა მესამემ.

* * *

სამი სვანი სადგურიდან ახლად დაძრულ მატარებელს მისდევს. ორი შეახტება, ერთი ვერ დაეწევა, დგას და იცინის. სადგურის მორიგე ეკითხება:

- რა გაცინებს?
- ის ორი მე მაცილებდა!

* * *

მეგრელს უთხრეს, სპილო გაქცეულა ზოოპარკიდან და დასაჭერად დასდევნო.

- ხოხ, რას დაიჭერენ ეგენი ამხელა სპილოს?!

მერე გაიგო, დაუჭერიათო.

- ხოხ, აბა სად გაიქცეოდა მაგხელა სპილო.

* * *

გურულს ეკითხებიან, ჭადრაკს რატომ არ თამაშობ?

- რეიზა ძამა და დედოფალს რო ვკიდებ ხელს, ჟრუანტელი მიარს ტანშიო.

* * *

ავტობუსში:

- მოდი შვილო, მოწოვე ტუტუ, თორემ, ავერ, იმ ძიას მივცემ!

ქალმა გავიუტებულ ბავშვს ვერაფერი შესამინა, გვერდით მჯდომა კაცმა უყურა, უყურა და ბოლოს ვედარ მოითმინა:

- ქალბატონო, დროზე გადაწყვიტეთ რას აპირებთ, თორემ უკვე სამი გაჩერებით გავცდები ჩემს სახლს.

* * *

ქალმა უფროსი ქალიშვილი გაათხოვა. დედამ შვილს სთხოვა, რომ შეეტყობინებინა, როგორ აეწყობოდა მისი ინტიმური ცხოვრება. ერთი კვირის შემდეგ ქალიშვილისაგან წერილი მიიღო, რომელშიც ერთადერთი სიტყვა ეწერა: „ნესკაფე“.

დედამ გაზეთში „ნესკაფეს“ რეკლამა წაიკითხა: „სიამოვნება უკანასკნელ წვეთამდე დედა კმაყოფილი დარჩა. მალე მეორე ქალიშვილიც გაათხოვა და მასაც იგივე სთხოვა. ორი კვირის შემდეგ იღებს წერილს, რომელშიც წერია: „ბენსონ ენდ ჰაჯის“. დედამ პასუხს სივარეტის რეკლამაში მიაგნო: ექსტრა ლონგ, ქინგ საიზ, - და ისევე კმაყოფილი დარჩა.

მესამე, ნაბოლარა გოგონაც გათხოვდა და მასაც იგივე თხოვნა გაუშეორა. პასუხი ერთი თვის შემდეგ მიიღო, მასში ეწერა: „ბრიტომ ეარვეის“. სარეკლამო განცხადება ნახა და გონება დაკარგა. მასში ეწერა: დღეში სამჯერ, კვირაში შვიდი დღე, ყველა მიმართულებით.

* * *

გამოიგონეს რობოტი, რომელიც ქერ-

დებს იჭერს. იაპონიაში, 5 წუთში დაიჭირეს 100 ქურდი; ამერიკაში, 5 წუთში დაიჭირეს 200 ქურდი; ქუთაისში, 5 წუთში მოიპარეს სუპერ-რობოტი.

* * *

წვრთნას გადიან რუსი, ქართველი და ამერიკელი სპეცრაზმელები. დავალებაა, ვინ უფრო მალე გამოიყვანს კურდღელს ტყიდან. ამერიკელებმა შეკრიბეს გუნდი: ფსიქოლოგი, სნაიპერი, ადვოკატი, პოლიციელი და მონადირე. შევლენ ტყეში და ნახევარ საათში გამოიყვანენ უვნებელ კურდღელს.

რუსები შეცვივდებიან ტყეში ტანკებით, მოვრალი სპეცრაზმელებით და „ურას“ ძახილით. ნახევარ საათში გადაწვავენ ტყეს, დახოცავენ ცხოველებს და გამოიყვანენ მკვდარ კურდღელს.

ქართველებიდან ტყეში შევა 3 ღიპიანი პოლიციელი, ცოტა ხანში ისმის ცემისა და გინების ხმა. გამოიყვანენ დათვის, დასვამენ მაგიდასთან, ჩასჩრიან თათში კალამს და დააწერინებენ: ვარ კურდღელი, ვცხოვრობ სოროში, მეძახიან ყურცქვიტას...

* * *

გურულს ანკეტას ავსებინებენ:

- სახელი: ლევანი
- გვარი: ლლონტი
- ოჯახური მდგომარეობა: უფ, ნამეტანი დახლართული.

* * *

გურული ვაჭრობს ჯიხურში. კლიენტი ეკითხება:

- სივარეტი თუ გაქვთ ღერებით?

გურული პასუხობს:

- სივარეტი ღერებით არა, ძამა, მარა „მაროჟნი“ გვაქვს ტლაკვით.

* * *

მუხეუშში გურულს ზედამხედველი ეუბნება: - ამ სავარძელში ჯდომა არ შეიძლება, ეს სავარძელი ნაპოლეონისაა.

- მერე რო მუა ქი ავღებო.

* * *

გურულს თოკით ინდაური ჰყავს და რუსთაველზე ასეირნებს. გაჩერებს პატრული და ეტყვის: - აქ ფრინველით სეირნობა არ შეიძლება!

- რეიზა კაცო? მტრელები რო დადიან?

- მტრედი მშვიდობის სიმბოლოა.

- დაგიჯერო ჩემ ინდოურს ომი უნდა? * * *

ამერიკაში წასული შვილი დედას ურეკავს გურიაში. გადაირია სისხარულით დედა:

- მენატრები შვილო, რეიზა არ ჩამოიამღონ ხანს?

- კი მინდა, ჩამოსვლა, მარა მრცხვენია.

- რა ქენი, ნენა, ამფერი, სახლში დაბრუნება რომ გრცხვენია?

- ცოლი მევიყვანე!

- მაგას რა ჯობია, შვილო?!

- ზანგია, ნენა! - პაუზა.

- სიყვარულს ფერი არა აქ, შვილო, ჩამოი და ჩამეყვანე!

- ოთხი შვილი ყავს, ნენა!

- არა უშავს ნენა, გვიხარებს კუთხე, ეზოში შავტუხეი ბაღები რო ირბენენ.

- კი მარა, სად დაგვაწვენ ამდენ სულს?

- შენს ძმას ნალიაში, მამაშენს საწნახელში...

- შენ, ნენა, შენ სა დაწობი?

- მე, ნენა, რავარც დაგვიღებ ყურმილს, იმ მინუტში კუბოში ჩავწობი ნენა!!!!

* * *

დილაუთენია ორი გურული ხვდება ერთმანეთს:

- რაფერ ხარ ძამა, საით მიხვალ?

- მამაჩემის საფლავზე.

- მერე ამ დილაუთენია?

- რავა, ეძინება თუ?

* * *

- აა, დააფურე, რა წერია ავერ, - ეუბნება ერთი გურული მეორეს, - ეგნატე ნინოშვილი ისეთი გაჭირვებული და ღარიბი ყოფილა, ცივი ჭადით იზრდებოდაო.

- ვერ ყოფილა მოხერხებული მაი ვინცხა ნინოშვილი.

- რეიზა ვითომ?

- რავა, შე კაცო, ი ჭადი ცხელი არ ცხვებოდა? რას უცდიდა გაციებას!

* * *

დედა შვილს ციხეში წერილს სწერს: „შვილო, ძალა აღარ მაქვს, ბოსტნის თხრა არ შემძლია, არც არავინ დაამხმარა, წელს ვერაფერი დაეთესე, რა ვქნა, აღარ ვიცი...“

შვილი პასუხობს: „დედა, ბოსტანს არ გაეკარო, თორემ ისეთ რამეს ამოთხრი, მაგრად ინანებ!“

დედა: „შენი წერილი როგორც კი მოვიდა, პოლიცია მოვარდა, ბოსტანი სულ გადათხარეს, ვერაფერი იპოვეს და გაბრაზებულები წავიდნენ.“

შვილი: „რა ვქნა, დედი, რითაც შემეძლო, დაგეხმარე. დაეთესვა შენზეა.“

* * *

გურულს მამა მოუკვდება, ფული არ აქვს და მეორადებში უყიდის კოსტუმს. გადის ორი კვირა, ხვდება მეზობელი, რა გჭირს, რას გიგავს თვალებით, - ეკითხება.

- ბიჯო, მამაი მესინძმრება ყოველდღე, მეუბნება: რა მიქენი აიო, დამდევს აქანე ერთი გერმანელი, მომეცი ჩემი კოსტუმიო.

* * *

გურიაში ჩამოვიდა ჩინელი ტურისტი და ერთ-ერთ გურულს ესტუმრა სახლში. ჩინელმა გაცნობის მიზნით გურულს ხელი გაუწოდა და თავისი სახელი და გვარი უთხრა: - საგავა კუო!

- მაგიზა თუ მოი ძამა, ავერ გაი აივანზე.

ადამიანებს ხშირად მეტსახელით მიმართავენ. ეს სახელები მათ უმეტესობას ბავშვობიდან მოყვება. ხშირად მეტსახელი ზუსტად ასახავს ადამიანის ბუნებას, თვისებებს. ხშირად კი აკნინებს მას და მთელი ცხოვრება ვერ იშორებს მის ანარეკლს. ჭკვიტინა, წიწილა, კუჭა, ჩლოყ... რა მეტსახელს არ არქმევენ, რას არ გაიგებ...

სოფელში იზრდებოდა ბიჭი და მას „ამჩემფეხება“ შეარქვეს. თურმე უყვარდა ჭამა, არ სწავლობდა, ყველაფერი იყო მისთვის სულერთი, გულთან არაფერი მიჰქონდა და შერჩა ეს სახელი დიდობამდე. გავიდა წლები და ერთხელაც ეს ადამიანი, უკვე ასაკში, შემხვდა ქუჩაში. თბილად მომიკითხა. ვერ ვიცანი. გონა ვარო, მითხრა. როცა შეატყო, ვერ გავიხსენე, დაამატა:

- ამჩემფეხება ვარ ბელა, როგორ ვერ მიცანიო.

- რას ამბობ, როგორ მაშინვე არ მითხარი, როგორ გამიხარდა შენი ნახვა, - მართლაც განარებულმა ვუთხარი. თუმცა მოულოდნელობისგან ვერც კი მოვზომე, რომ არაკორექტული ვიყავი.

- თბილისში ჩამოვედი, 20 წელია აქ ვცხოვრობ. ვიფიქრე, აქ მაინც არავის ეხსოვება ეს ოხერი სახელი-მეთქი და აქაც არ მასვენებს, - სევდანარევედ მითხრა გოჩამ.

მივხვდი, რომ ძალიან აღიზიანებდა ეს მეტსახელი. უფრო მეტიც, მგონი ამ სახელს გამოექცა სოფლიდან.

რა არის ცხოვრება. შეიძლება გამდიდრდე, შეიძლება ვარსკვლავები დაკრიფო, მაგრამ სახელს ვერასოდეს შეიცვლი... გოჩას კეითხე თუ სად, რას საქმიანობდა. მითხრა, რომ ბიზნესი ჰქონდა და გაკოტრდა. როცა შევიცხადე, დაამაშვიდა:

- ამ ჩემს ფეხებს, გავკოტრდი და რა უნდა ვქნა. ცხოვრება გრძელდება. ფულს კიდევ ვიშოვი. ახლა კი შალვას დაურეკე და მინდა სადმე დაგაპტიყოთო.

ვუცქერდი გოჩას და ვფიქრობდი, როგორ არ ცვლის წლები ადამიანს.

* * *

მეზობლის ბავშვი ჩამოვიდა საფრანგეთიდან. მათი ოჯახი უკვე 7 წელია წასულია ემიგრაციაში. ჩამომიჯდა და იქაურ ამბებს მიყვებოდა. ერთი პატარა ისტორია დამამახსოვრდა... ნონა, პარიზის ერთ-ერთ სკოლაში მესამე კლასში სწავლობს. მან მითხრა, რომ მამამ მას ფლომასტერების ორი შეკვრა უყიდა. სკოლაში რომ მივიდა, ერთი კოლოფი კლასელს, ლუტეციას აჩუქა. მეგობარმა ძალიან გაიხარა და ნონამაც მამას მოუყვა სიხარულით. მეგობარს კიდევაც უნდა აჩუქო და კიდევაც უნდა უყიდო, თუ ეს მას სიხარულს მოუტანსო, - შეუქია ნონა მამას.

გავიდა რამდენიმე დღე და ნონას სახლში დარჩენია თავისი ფლომასტერები. ლუტეცია მათხოვებსო, დაუმშვიდებია გული

ჩაღამოვისაბან:

ოცდამეერთე საუკუნეში, ჩაის საღამოებმა სოციალურ ქსელებში გადაინაცვლა და საინტერესო ადამიანებსაც უკვე ვირტუალურ სივრცეში ვიცნობთ. ვიცით, როგორ სუნთქვენ, რა სტკივათ და უხარიათ. ზოგი „ფრენდი“ იმდენად საინტერესოდ მეჩვენება ხოლმე, სურვილი მიჩნდება თქვენც გაგაცნოთ, იმ კუთხით დაგანახოთ და შეგაყვაროთ, როგორც მე ვხედავ.

ეს ახალი რუბრიკაც სიყვარულს ემსახურება, იმას, რომ გაგაცნოთ ადამიანები, დაგანახოთ პორტრეტები ფეისბუქიდან.

დღევანდელ რუბრიკას ჩემი ვირტუალური მეგობრის - **ბელა ალიანის** გაცნობით ვიწყებ. ის ულამაზესი სულის ადამიანია, კარგი დედა, და ჭკვიანი მეუღლე - ნომერ პირველი ლეიბორისტის, შალვა ნათელაშვილისა.

და უკან არ მოტრიალებულა, გაუგრძელება გზა სკოლისკენ.

- ბელა დედა, როცა სკოლაში მივედი და ლუტეციას ფანქრები ვთხოვე, მან მკაცრად მითხრა: თუ შენთვის არ გქონდა, მე რატომ მაჩუქე. თუ გქონდა ერთი ფლომასტერების კოლოფი, მეორე რად იყიდე. თუ მე მაჩუქე, არ უნდა მეთხოვო. მითუმეტეს, როცა გაქვს, სახლში არ უნდა დატოვო და უფრო ყურადღებით უნდა იყო საკუთარი ნივთების მიმართ. ახლა მე რომ გათხოვო, მიჩვევი და ივლი ჩემს იმედზეო.

ნონამ ეს ყველაფერი ნაღვლიანად მიაძბო. ითხოვდა ჩემგან ისეთ განმარტებას, რომ მენუგეშებინა. დავბენი ძალიან. მესამე კლასელი ლუტეცია ისეთ განმარტებას აკეთებდა, როგორსაც ჩვენი ცხოვრების გამოცდილებაც არ ეყოფა. ლუტეციამ რა იცის, რომ ნონას მამა ემიგრანტია და უკანასკნელი კაპიკებს გაიღებს მარტო შვილისთვის კი არა, სხვისთვისაც. ლუტეცია ვერ გაუგებს, თუ რატომ უნდა იყიდო 2 ფლომასტერი, როცა მხოლოდ ერთი გჭირდება, მითუმეტეს თუ საშუალება არ გაქვს და სახელმწიფო დახმარებაზე ცხოვრობ. ლუტეცია ვერც იმას მიხვდება, რომ სახლში შემთხვევით როცა დაგრჩება საჭირო ნივთი, შეიძლება ერთხელ ვინმეს და არ დაბრუნდე მის ასაღებად. რა თქმა უნდა, ვერასოდეს გაიგებს, რომ მეგობრის იმედით შეიძლება მთელი სიცოცხლე იყო. რომ მეგობრობა ფლომასტერის თხოვებაზე მეტია... სამაგიეროდ ლუტეციას მკაცრი განაცხადი, ნონას ჭკუას დიდი ხნით ასწავლის და მიაჩვევს ეკონომიას, თავის იმედით ყოფნას, პასუხისმგებლობას..

ძალიან გამიჭირდა ნონა მენუგეშებინა. მისი პაწია გული ძალიან იყო ნატკენი.

- ნონა, მითხარი, რომ აპატიებ მეგობარს. ისე მოიქცევი, თითქოს არაფერი მომხდარა და როცა შესაფერისი მომენტი დადგება, შენი საქციელით ასწავლი მეგობრობას.

- არ ვაპატიებ, არც არაფერს ვაჩუქებ და საერთოდაც მისგან არაფერი მინდა! - მიპასუხა ნონამ.

- მერე რა გამოდის, გინდა მისნაირი

იყო, მასავით ექცეოდე მეგობრებს და ავღილად სტკენდე გულს?

- არ მინდა, - ჩაქინდრა თავი გოგონამ. - ჰოდა, აქედან რომ დაბრუნდები, რაიმე ქართული ჩაუტანე და უთხარი, რომ ძალიან გიყვარს და ამიტომაც ვინდა, რომ ეს მცირედი ინციდენტი დაივიწყოთ...

- შეიძლება ასე სჯობდეს, - დამეთანხმა ნონა და იმაზე ფიქრი დაიწყო, როგორ გაეხარებინა მეგობარი. გადავირიე მისი ასეთი უცაბელი გარდასახვით. ფუსფუსებდა და არჩევდა ნივთებს საჩუქრად.

დიდხანს ვფიქრობდი, რომ ძნელია უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეებისათვის იქაურებთან ადაპტირება. უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნებმა გააირეს ეკონომიკური, პოლიტიკური დაღმავლობისა და აღმავლობის პერიოდები; ისწავლეს ეკონომია; საკუთარი და სხვისი შრომის პატივისცემა; მეტი პასუხისმგებლობა და მუდმივი ბრძოლა არსებობისა თუ დამკვიდრებისათვის; შრომისა და სწავლის ფასი...

ამაოდ ეცდებოდა ნონა, რომ ლუტეციას ქართველობა ასწავლოს, მეგობრობას კი, ალბათ, აუცილებლად ასწავლის. ნონაც ბევრ რამეს ისწავლის მისგან.

* * *

ამ ამბიდან ალბათ 20 წელი გავიდა. ფასანაურში გავემგზავრეთ. შალვას დეიდა ფეფენო უნდა გამეცნო. როცა მივედი, ჭიშკარში იდგა და გველოდებოდა.

- როგორ იმგზავრეთ, შვილებო? - გაგვილიმა და ჩაგვესუტა ორივეს.

- ეგაა, დეი, ჩემი ქალა! - უთხრა შალვამ. დეიდამ ამხედ-დამხედა, თითქოს თვალით გამზომდა და ამწონა...

სახლში ფხლოვანები და ხინკალი გველოდა. ერთმანეთს ნელ-ნელა გავუშინაურდით და დეიდამ გულწრფელად ჰკითხა შალვას: - ამას ელოდი 9 წელი? ამ გოგოს ჯანი სულ გამოცლია. ეგ როგორ მივიხედავს სოფელს?

შალვამ მწარედ გაილიმა და უხერხულად გადმომხედა.

- აგერ ერბო-თაფლი გადაურიე და შენებურად აჭამე, უცებ მოემატება ჯანი -

„გამიმართლა“ თავი შალვამ.

გავიდა წლები. ერთხელაც დეიდა ავად გაგვიხდა და თბილისში ჩემთან ჩამოვიყვანე.

- იცი, პირველად რომ გნახე გახსოვს? ადამიანი ერთი ნახვით არასოდეს შეაფასო. შენთვის საჩუქარი მაქვს, - მითხრა და ჩანთიდან ვერცხლის ქაშარ-ხანჯალი ამოიღო.

- ეს ნივთი მამაპაპისეულია და შალვას ეკუთვნის. ამ ხმლით ჩემი წინაპარი მტერს ებრძოდა. მაგას კიდევ იმხელა ენა აქვს, აბა ხანჯალი რად უნდა. ეგ შენ შაინახე და ბალსს გამაადგება.

უნიკალური სილამაზის, განუმეორებელი ნაკეთობა გადმომცა დეიდამ და დიდხანს მოვუნდი მის დათვალეობას. კიდევ რალაც უნდა გაჩვენო შეილო, - მითხრა და ჩემი მიწერილი, 3-4 წლის წინანდელი წერილი მანახა: - ეს ის წერილია, დამას რომ გამათანე, გახსოვს? მიდი კიდევ ერთხელ წამიკითხე, გთხოვ..

არც კი მახსოვდა ეგ წერილი. ვკითხულობდი, თან ვფიქრობდი, ახლა უფრო სხვანაირად დავწერდი, ახლა უფრო სიტყვაგრძელი ვიქნებოდი. დეიდას თვალეზე ცრემლი მოადგა. მე კიდევ მისი მოწერილი ბარათი ვაჩვენე..

- იცი, მე შეილები არ მყავს და ჩემი შეილები თქვენ ხართ.

- დეიდა, მალე შეილიშვილი გაგიჩნდება, ექოზე მითხრეს გოგოაო. შალვას უნდა დედამისის სახელი დაარქვას, დარეჯანი... მინდა რომ თქვენნაირი თვალები ჰქონდეს, თქვენნაირი თეთრი გოგო გამიჩნდეს, - მართლაც ძალიან გულწრფელად ვუთხარი.

დარეჯანი რომ გაჩნდა, შალვას კვითხე, მგონი მართლა დეიდასაც ჰკავს-მეთქი. შალვამ მითხრა: მასში ყოველი ჩვენგანი მის საყვარელ ადამიანს დაინახავს, იმას ამოიცნობს, ვისი დანახვაც სურს, ვისთან მსგავსებაც უნარია: ცოლს, ქმარს, დეიდას, დედას, ძმას, დას... ესა ჩვენი სულიერი და გენეტიკური ერთობის გაგრძელება.

ახლა ჩემს შეილებს ვუყვები ყველა იმ ადამიანზე, ვისაც მათმა გაჩენამ ამქვეყნად დიდი ბედნიერება მოუტანა, მათ დანატოვარ ნივთებს, მათ შორის წერილებს, მათთვის ნაქსოვ წინდებს და უამრავ ხილულ თუ უხილავ წერილმანებსაც ვუყვები, რომ თავაღმართლივ ავუღწერო მათი რაობა. მინდა მათ დავანახო ისინი ისეთები, როგორსაც ჩემი შეილები ვერ მოესწრნენ...

* * *

გულო ბაბო მოვიდა დღეს და ღვინის კასრი მთხოვა.

- აგერ, გულო ბაბო, მოდი ნახე, ეგეთი გინდათ? - გავიყოლე საკუჭნაოში.

- კი, შეილო, ეგ მინდა... უი, ამ კლადოვკაში მგონი თავი გაგჩენია, - დაიწყო გულომ არემარის დათვალეობა.

- გული არ გამიხეთქო, გულო ბაბო, მეშინია მე თავგების, - შევძახე და უცებ გამოვკეტე კარი.

- ამხელა ქალაი ხარ და პატარა წრუწუნამ შეგაშინა? - იცინის გულო ბაბო და შალვას საყვედურობს, თითქოს მას ელაპარაკება: მოიყვანე ციცი და მორჩა შიში.

შალვას გადავხედე, თითქოს თვალებით ვეკითხები, ნეტა რალაა ციციიიი-თქო.

- გოგო, ციცი გაიხსენე ფშაველადან... მიმანიშნა შალვამ.

დააკლიკით: <https://www.facebook.com/bela.alania>



ოი, ეს როგორ დამავიწყდა: „თავის პატრონი ენაცვლოს, თავის თავყვითულ ციცასა, დაძვრება მეზობლებშია, დამბალ ხაჭოსა ზიდავსა, ვინც მაგას რამეს დამირტყავს, ძალღ იყოს მისი მკვდრისადა“. ციცი ხომ კატაა. გამაგოფა ამ ფშავლებმა. კიდევ კარგი გამახსენდა.

- ხო, გულო ბაბო, მომიყვანე ციცი, მომიყვანე...

გულო ბაბო გავაცილე, კასრი ბავშვებმა მოუტანეს. სახლში დაბრუნებულმა შალვას ვუთხარი, რატომ პირდაპირ არ მითხარი, რომ კატაა-მეთქი?

- გონებას თუ წვეწვს გამოადენ, მერე არასოდეს გადავიწყდება. ისე კი, ხვალამდე არ მიგყვება, - მითხრა გაღიმებულმა.

კიდევ კარგი გამახსენდა, თორემ მტერი ჩავარდა ფშავლების ყბაში.

* * *

მესამე კურსზე ვიყავით, ტანია დამირეკა და დაბადების დღეზე დამპატიოა. მე შევთავაზე, თუ გინდა საცივს გაგიკეთებ და „მამალიგასაც“ შენთან მოვამზადებ-მეთქი. წავედი, სულუგუნიც თან გავიყოლე, ქართული ღვინო და დედამისის ჩურ-

ჩხელაც ბარემ არ დავინანე.

ჩემი კურსელები მონატრებულ ქართულ სუფრაზე თავს შინაურულად გრძობდნენ. ტანია მთხოვა, რომ თამადაც მე ვყოფილიყავი. ბევრი თავპატიო არც დამიწყია და მოკალათი სუფრის თავში და შეკუდექით სადღეგრძელოებს. სმისა რა მოვასუნოთ, მაგრამ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, რა თქმა უნდა, არ დავაკელი და სული-კო-სულიკოს ღლინით მოთავდა ქევიც და მოქეფევიც.

- ალო, ტანია, შენ ხარ? - ვეკითხები

ჩემს თანაკურსელს.

- ბელაჩკა, ჩემო საყვარელო, როგორ დამეკარგე, ხომ კარგად ხარ? - მპასუხობს სასიამოვნოდ აღელვებული.

- მომენტრე ძალიან. რაც თბილისში წამოვედი, რატომ არ მეხმინები, ალბათ არ გენატრები ან არ გახსოვარ. შენ, მართალია მოსკოვში ვარსკვლავებს ეთამაშები, ჩვენთვის აბა როდის მოიცლი.

- რას ამბობ, მე გირეკავდი 2008 წლის აგვისტოში, შენ არ მპასუხობდი... მე, მე... მინდოდა ბოდიში მომეხადა ყველას მაგივრად, - აუკანკალდა ხმა ტანიას.

- შენ რა შუაში ხარ, მე და შენ არავინ არაფერს ვეკითხება. ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი, ესა მთავარი, - ვუთხარი მეც აკანკალებული ხმით.

- სოფელში გახსოვს, ბებოს „პეჩკაზე“ დამეებს რომ ვათენებდით. გახსოვს პეტროვნა, როგორ გვეცხობდა სოკოს „პერაშკებს“, გახსოვს როგორ კითხულობდი ესენინს ხმამაღლა, მე კიდევ როგორ ვიკითხავდი ტაბიძეს ქართულად და შენ მეუბნებოდი, რომ ყველაფერი გაიგე... არყის ჭალაში სეირნობა მენატრება. ის სითითრე,

სინიუმე და ჩვენი გულწრფელი მეგობრობა... - ამეტირა მე.

- მეც, მენატრება შენი სულიკო... - ვემშვიდობები და თან სტუდენტური დღეები მიდგას თვალწინ. რამდენი დრო გასულა.

- ბელაჩკა, იცოდე, რომ მე მიყვარს საქართველო და ხმა არასოდეს მიმიცია იმ ძალისთვის, ვისაც საქართველოს ატკინა. მე მინდა, რომ შენ ეს იცოდე. მომიკითხე შალვა, ბავშვები და იხა დეიდა. მე დღესაც მაქვს მისი მოქსოვილი „ვარიშკები“...

დავემშვიდობე ტანიას და მერე დიდხანს ვისწინებდი ლამაზ დღეებს. მტკიოდა, ძალიან მტკიოდა გულში დიდად ჩემი აფხაზეთი, ჩემი სამამალო... მჯერა რომ ტანიასაც სტკიოდა ჩემსავით.

* * *

საარჩევნო კამპანია იყო და გურიამი გავემზავრეთ. ლანჩხუთში არის ძალაღმთიანი სოფელი - აცანა. სოფლამდე არც ისე ახლო ვხაა. როგორც იქნა მივალწიეთ. სოფლის თავში მანქანიდან გადმოვედით და ფეხით ავუყვებით გზას. უკნიდან მოხუცი კაცი დაგვეწია, უღელში ძროხა ყავდა შებმული: - დაბრძანდი, წაგიყვანო, სტუმრები ჩანხართო. თავპატიყი დავიწყე: - ძროხა და ცოლოა, არ შეწუხდეთ...

- მე კი არა მიხეილა თველორადე აბამდა ძროხას, ხარსაც და კამეჩსაც... საქონლის დანიშნულება ეგაა! - არ ჩერდება მოხუცი. ამ სახელი და გვარის გაგონებაზე შალვას გადავხედე.

- მიხეილა ვინაა? - ვეკითხები მოხუცს.

- ვინაა და ამ კუთხის ბატონ-პატრონი, კაცი, რომელმაც ეროვნული მთავრობა დააფინანსა და საფრანგეთში გაავხანა. ერთი მემოკო ოქრო გაატანა. რომ არა მიხეილი, ვერც კი წაავიღებინებ ამხელა გზაზე... სიამაყით აღვივსე. ეს მოხუცი ჩემს დიდ ბაბუაზე საუბრობდა. თვალებით ვესაუბრები შალვას და თითქოს ვეუბნები, რომ რასაც გიყვებოდი ჩემს წინაპარზე, ხელავ როგორი სიმართლეა-მეთქი?!

- იცით მე ვინ ვარ? ალბათ ვერც კი წარმოიდგენთ, რომ მე მიხეილას შვილთაშვილი ვარ. რა უცნაურია, რომ თქვენ ასე შემთხვევით სწორედ ახლა ახსენეთ ჩემი დიდი ბაბუას სახელი?! - ვეუბნები და თვალბინად ცრემლებს ვერ ვიკავებ. მოხუცსაც ცრემლები მოადგა...

სოფელში დამხვდნენ ნათესავები. ბევრ მათგანს არც კი ვიცნობდი. ამ სოფელში ერთადერთი უმდიდრესი ოჯახის ფუძეზე უკვე სხვები ცხოვრობენ. გაკულაკებული, რაიონის მუზეუმში გადატანილი აწდაკარგული ვემინვენტარი არსად იყო... ვეძებდი ჩემი წინაპრების აჩრდილებს ნათესავების სახეებში და ღიმილში, მათ მოგონებებში, სიტობსა და სიყვარულში. უცებ ვიპოვე ის ძაფი, რომელიც წარსულს და აწმყის აერთიანებს; ძაფი, რომელიც უწყვე-

ტია და რომელსაც ჩვენი გენეტიკურ-სულიერი კოდი ჰქვია.

ლევების მამული, რომელიც ქართველების ნავსაყუდელია საფრანგეთში, სწორედ ის ადგილია, რომლის შექმნაშიც მიხეილ თელორადემ დიდი წვლილი გაიღო და ჟორდანას ხელისუფლებას დიდად დაეხმარა...

დიდი სუფრა გაიშალა, ყველა სადღეობრივად დაილია...

თბილისისკენ გვიან გამოვეშურეთ... მთელი გზა ვფიქრობდი იმაზე, რომ ადამიანი მანამა ცოცხალი, სანამ მისი სიკეთე თუნდაც ერთ ადამიანს ახსოვს.

* *

აბაშის რაიონში არის სოფელი ონტოფო. იქ ჩემი ბებოს დედ-მამა ცხოვრობდნენ - ანტონ და ლიზა ნადარეიშვილები. ჩემი ბავშვობის მოგონებებში დღესაც ცოცხლობს ულამაზესი ეზო-კარი ოღა სახლით, უთვალავი ვარდით და გუმბათოვანი ბუხები; ეზოში მოფუსფუსე მოხუცებით და ქლაქებიდან ზაფხულად ჩამობრძანებული სტუმრებით.

ერთ ზაფხულს საშინელი ტრაგედია დატრიალდა და 17 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა მდინარეში. ბუნებრივია, რომ მთელი სოფელი გლოვობდა და ჩვენც ვმონაწილეობდით მთელი დაკრძალვის ცერემონიაში. ბავშვებს გვირგვინებს დაგვირგებდნენ, ზოგს სურათი უჭირა და მიყვებოდით მიცვალებულს... დამწუხრებულმა ჭირისუფალმა, ყველას ჯვარი გვეწერია და სასაფლაოზე მალევე ააშენა პატარა სახლი. იქ მიცვალებულის სრული ფოტო, კარადა მისი ტანსაცმელებით, ტელევიზორი, მაგნიტოფონი, ე.წ. პრაივივატელი თავისი პლასტიკებით, მაგადა, სკამებით, ნარდი, ჭადრაკი, დომინო ელაგა.

სახლიდან სასაფლაომდე სულ რაღაც 50-100 მეტრი იყო. სოფლის ცენტრამდე რომ მისულიყავი, სასაფლაო უნდა გაგველო. მიცვალებულის ოჯახი 40-მდე ყოველ დღე მაგიდაზე აწყობდა ხილს, ხაჭაპურს, ღვინო-ლიმონათს. სოფლის ბავშვების შეკრების ადგილი სასაფლაო გახდა. სიმაღლის მიხედვით დავეწკრივდებოდით და მივიდიოდით, რომ პლასტიკები ჩავკეროთ და ლიმონათი დაგველია... ასე გრძელდებოდა რაღაც დრო, სანამ, ერთხელაც ანტონ ბაბუმ მოცეკვავე და მოძღვრალ ბავშვებს არ მოგვისწრო. წვრილი წკნელით სულ სახლში გამოგვრეკა: „გვალო, მიოღინეთი სინდისი“, „ონჯღორე ვა გიჩქუნანი“. დღესაც მასსოვს იმ წკნელის ხმა და სიმწარე.

მეორე დღეს ჭირისუფალი სახლში მოგვადგა და ანტონი და ლიზიკო სულ ბოდიშებით მიეგება. ქალბატონმა ნათელამ კი მოხუცებს უსაყვედურა:

- მე სანამ ამ ბავშვების ჟრიაშული მესმოდა, მანამ მეგონა, რომ ჩემი კახა ცო-

ცხალია. განა მართლა მიცვალებულს და ვუდგი ტელევიზორი და რადიო... ანტონ, ეგ რა მიქენი, როგორ დადუმდა და დასამარდა დღევანდელი დღე.

სახლში დაბრუნებული მოხუცები ტიროდნენ. მეორე დღით ბებომ ხაჭაპური გამოგვიცხო და გაგვატანა. ჩვენ სირბილით გავეშურეთ და კიდევ ერთხელ მოვილხინეთ კახას საფლაოთან.

* * *

ცოტა ხნის წინ ულამაზეს ქორწილში ვიყავი. მე პატარძლის მხარეს წარმოვადგინდი. სიძე მართლმადიდებლად მოინათლა პატარძლის თხოვნით და ჯვარიც ანანურის ეკლესიაში დაიწერეს. ქორწილში გერმანიიდან სპეციალურად ჩამობრძანებულმა სტუმრებმა გამოგვიცხადეს, არ ინერვიულოთ, პატარძალი კი არ წაგართვით, არამედ სიძე შემოვიმატეთო. მართლაც, სიძე ისე გამინაურდა, რომ ქართულად სადღეგრძელოც კი დაგვკალევენა და დიდი სიმპათიებიც მოიპოვა ჩვენი.

მთელმა ცერემონიალმა უაღრესად თბილ გარემოში ჩაიარა... თამადამ წინაპრების სადღეგრძელო წარმოთქვა და სიძე-პატარძლის პაპის შესანდობარი წარმოთქვა. თურმე, ნუ იტყვით და ორივე 1945 წელს გერმანიაში ომის დროს დაღუპულა, ორივე ერთ ქლაქში და ვინ იცის... თვალბებზე ცრემლები მომადგა. მე ჩემი ბაბუა გამახსენდა, რომელიც ომიდან არ დაბრუნებულა... რამხელა ძალა აქვს სიყვარულს, ის შლის საზღვრებს, მიდლომებს, წყენას, ტკივილს... ვისხედით გვერდი-გვერდ ახლა უკვე მოყვრები და საქართველოსა და გერმანიის სადღეგრძელოს გულითა და სულით, მართლაც და დიდი სიყვარულით ვსვამდით.

* * *

საქალაქში რაღაცას ვეძებდი და შემთხვევით ჩემი შვილების პატარაობის დროინდელ ჩანაწერებს წავაწყდი. ჩემს ბებოს ჩამოწერია მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები: მატაბელე-მატარებელი, კაფუა-კამფეტი, პეჩენია-პეჩენია, ბებე-ბებია, ონონო-მინდა, ფუა-მტკივა, ზიზი-ლამაზი, ძია-ძივი, ამუნია-ძალი, მუა-ფისო...

იქვე, საქალაქში წერილები ვიპოვე... მოსკოვში ყოფნისას რომ მწერდნენ ახლობლები. სიამოვნებით ჩავუყვები. ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე მათი კითხვისას და სინანულიც. ზოგიერთი მათგანი ახლა ცოცხალი აღარაა... რამდენი სიტობი, სიყვარული მოდის მათგან. ამ ხელნაწერების მიღმა თითოეული მათგანის სუნთქვა ისმის თითქოს. ხელნაწერი ავტორის სულის ნაწილია უდაოდ. თითოეული სიტყვის უკან ემოციია...

გული მწყდება, რომ თანდათან საკომუნიკაციო საშუალებებმა გაამძვეს ჩვენი უკვლავი, უბერებელი, გაცეითილი, მაგრამ მინც

მარადიული წერილები.

* * *

მოსკოვში, სამსახურში ერთმა ქართველმა ქალბატონმა დამირეკა. საკმაოდ ასაკოვანი ხმა ჰქონდა, მენატრება საქართველომითხრა. დიდხანს ვისაუბრეთ... შევთანხმდით, რომ ხშირად დამირეკავდა და მე მოვუყვებოდი ახალ-ახალ ამბებს. მერე სახლშიც ვეწვიე. სრულიად მარტოხელა, დაუცველი იყო. თანდათანობით დავუახლოვდით. ვფიცავარ, გულს და სულს არ ვიმურებდი მისთვის. ვყილულობდი საჭმელს, ტკბილეულს, წამლებს. საელჩოდან დახმარებაც კი გამოვაწვინე. უძღურობისგან უჭირდა თავის მოვლა. არ მეზარებოდა ნამდვილად. გარეთ იჯდა ხოლმე და მელიდებოდა, როდის მივიდოდი მასთან. პატარა ბავშვივით მიმნდობი იყო... ასე გაგრძელდა თვეები. ერთხელაც უხასიათოდ მომჩვენა, მითხრა, რომ სალაპარაკო აქვს ჩემთან. არ გეწყინოს და ასე მგონია, რომ ჩემი ბინა გაინტერესებს და იმიტომაც მივიღო, - მითხრა თვალცრემლიანმა. ხმა გამიწყდა, ვერაფერი ვუთხარი. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ეს სიტყვები დიდ ტრაგედიად მივიღე... უცებ წამოვხტი სკამიდან და გავიქეცი უსიტყვოდ. მივრბოდი და ყელში გაჩხერილი ბურთი მახრხოდა. მან ჩემს უანგარობაში ეჭვი როგორ შეიტანა-მეთქი... იმის მერე მირეკავდა სამსახურში და მე არ ვპასუხობდი, მერე სულაც გაქრა. ახლა მგონია, რომ მასთან უფრო დამთმობი უნდა ვყოფილიყავი, ან საერთოდ არ მიმეცია დიდი ყურადღება მისი სიტყვებისათვის. არ ვიცი, ახალგაზრდობაში ყველაფერი სხვანაირად გეჩვენება. ახლა, ალბათ სხვანაირად მოვიქცეოდი, ვაპატიებდი დიდსულოვნად.

* * *

1995 წლის საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა. შალვას სენაკის ხორავას სახელობის თეატრში ჰქონდა ამომრჩეველთან შეხვედრა. დედაჩემი საგულდაგულოდ ემზადებოდა და ამ დღისთვის თეთრი კოსტიუმი შეუკერავს. მე ვურჩიე, რომ ოქტომბრისთვის არც ისე შესაფერისი სამოსია-მეთქი და თან არ მინდა, რომ გამორჩეულად გეცვას ხალხისგან-თქო. დედამ სინანულით შემომხედა და უსიტყვოდ გამოიცვალა...

ორ თვეში მამაჩემი გარდაიცვალა და ეს კაბა-პიჯაკი დღესაც უკიდია ჩაუცმელი... ამასწინათ, კარადა რომ გამოვადე, თვალში მეცა და ცრემლებმა დამახრჩო.

ასეთია ცხოვრება - არასოდეს იცი რა მოხდება ხვალ. არასოდეს გადადო ხვალისთვის ის, რისი მოსწრება, გაკეთება, თქმა დღეს შეიძლება.

* * *

უნივერსიტეტში ამ დღეებში პირველკურსელების რეგისტრაცია მიმდინარეობს.

დილიდან რეესტრში ვიყავით ატესტატის ასაღებად მე და ჩემი ქალიშვილი. ბუნებრივია, რომ საბუთების ჩამონათვალში, რომელიც უნდა წარადგინონ ახლადწარიცხულემა, ატესტატიც არის. რეესტრში რიგია. ჩვენ წინ 80 წელს გადაცილებული ქალბატონი დგას ყავარჯნით. მას პირადობის აღება სურს. ქალბატონი შეწუხებულია, რადგან ფეხი აქვს მოტეხილი და დახმარებას ვერ აიღებს, თუ პირადობა არ აიღო. მის მაგივრად ვნერვიულობ, რადგან ძალიან ტკივა... რომესაც მისი რიგი მოვიდა, გაარკვია, რომ 30 ლარი უნდა გადაინახლოს პირადობაში. მოხუცი ძალიან დაბნეული ჩანს, რადგან ეგონა უფასოდ აიღებდა.

- არ მაქვს შვილი 30 ლარი, - ტირის და ჩივის.

- რა ვქნა ქალბატონო, როცა გექნება, მაშინ მობრძანდითო, - ზრდილობიანად და შეწუხებული სახით პასუხობს თანამშრომელი...

გული დამეწვა. მიწოდდა მისთვის ეს თანხა გადახედა, მაგრამ ამომრჩევლის მოსყიდვაზე შარი არ ავიკიდო-მეთქი... ახლა სახლში ვარ და ვნერვიულობ. ღმერთო, რა ეშველება ამ ქვეყანას, რამდენი საწყალა ჩვენს ირგვლივ. რატომ არ გამოვართვი ტელეფონი ან მისამართი? ახლა ამაზე ბევრს ვიდარდებ.

* * *

მალინა, მალინაა... მალინა, მალინაა... დილაუთენია ჩამქმის ყურებში. რა ძალიან ნოტებით მღერის ქალბატონი, რა ხმა აქვს. უსათუოდ გაიმარჯვებდა „ნიჭიერში“.

რა საყვარლად თენდება. ამიტომაც მიყვარს თბილისი.

* * *

მეზობლის დედამ სასიძოდ ბიჭი დაიწუნა. ატარა და აიძულა ქალიშვილი დასცილებოდა შეყვარებულს.

- რა სჭირს, კარგი ბიჭია, ლამაზი, განათლებული ქართველია-მეთქი, - ძლივს შეგბედე მეზობელს.

- ღარიბიაო, - მითხრა, - და სად ველოდო როდის გამდიდრდებაო.

შემეცოდა ის ბიჭიც და მისი სიყვარულიც - ფულზე გაცვლილი და დაწუნებული.

* * *

ეს ამბავი რამდენიმე წლის წინ იყო. თამარის სახელობის ტაძარი დოლიძეზეა და სიანლოვის გამოც იქ ხშირად დავდივარ. ერთხელაც, ძალიან ადრე მომიწია მისვლა. წირვა დილის 7 საათზე იწყებოდა და მგონი, ნახევარი საათით ადრე მივედი. ტაძარში არავინ იყო. ერთი ქალბატონი ალაგებდა. ბუნებრივია, გულხელდაკრეფილი ვერ ვიქნებოდი და მეც მივეხმარე. ხალხით ნელ-ნელა ივსებოდა დარბაზი, ჩვენ კი განვაგრძობდით დალაგებას, დაწყებამდე უნდა მოგვესწრო... წირვის

დამთავრების შემდეგ ქალბატონს ტელეფონი დაუტოვებ და ვთხოვე, როცა საჭირო ვიქნებოდი, მზად ვიყავი მეც დავეხმარებოდი მას ასეთ მადლიან საქმეში...

ამ ამბავში გასაკვირი არაფერია, რომ არა ზარი, რომელიც ორ დღეში გაისმა ჩემს მობილურზე. ახალგაზრდა ქალბატონმა დამირეკა და წყნეთის აგარაკის დალაგებაში 150 ლარი შემომთავაზა. მართალი ვითხრათ დავიბენი, ვუთხარი, ალბათ სხვაგან მოხვდით-მეთქი. ჩემი ნომერი გაიმეორა და მითხრა, რომ ეს ნომერი მისცეს, რადგან თურმე ძალიან კარგად ვალაგებ.

- თუ დავრდობილი, ლოვინად ჩავარდნილი ხართ, დაგეხმარებით-მეთქი, - ამოვილულულე... ასეთი რომ ყოფილიყო, მართლა დავეხმარებოდი. მეეჭვება, რომ მას დალაგება სდომოდა, მგონი საკმაოდ უნიჭოდ გამაწყვირა.

* * *

საზამთროს მოზრდილი ნაჭერი ჩემს სტუმრად მყოფ ნათლულს გადავუდე და თან ვაგაფრთხილე, რომ თუ კურკებს შეჭამდა, მუცელში საზამთროები გაეზრდებოდა. მან შემომხედა და ირონიულად გაიცინა. არადა, მისი ტოლი რომ ვიყავი, ადვილად ვტყუვდებოდი. მართალია არ ვასრულებდი და რაც შეიძლება მეტ კურკას ვყლაპავდი იმის მოლოდინში, რომ მუცელში დიიიდი საზამთრო გამეზრდებოდა. სარკეშიც სულ ტყუელად ვიციკრებოდი. მეზობლის გაზრდილ მუცელს მის ღორმუცელობას და კურკების სიყვარულს მივაწერდი და საშინლად მშურდა. რა შტერუკაა ბავშვი...

* * *

დედაჩემი მეტყოდა: ხელი არ ახლო ამ „ბამბანერკას“, სტუმრებისთვის გვენდაო.

მივეპარებოდი, გამოვზრავდი და ცარიელ კოლოფს, ისევ ადვილზე დავდებდი. სტუმრისთვის გასამასპინძლებლად კი ცარიელი კოლოფი იმდენჯერ მერჩინათ, რომ მინც ვერ ისწავლეს ჭკუა ჩემმა მშობლებმა... მაგრამ ახლა სხვა რამის თქმა მინდა.

არსებობს მსოფლიოში ასეთი ერი, რომელიც ყველაფერ საუკეთესოს სტუმარს უნახავს, ყველაფერი გემრიელი მისთვის ემეტება. ჩვენ ხომ შეწირული ერი ვართ, როცა ვამბობთ: „შენი ჭირიძე, შენ გენაცვალე, შენ შემოგველე, ვაიმე, უიმე“...

დააკვირდით ჩვენს დედაკოებს, განა მათ მხოლოდ ჩვენთვის არ იცოცხლეს. რამდენი რამ დააკლეს თავს, ოღონდაც ჩვენ არაფერი მოგვკლებოდა... ელემენტარულად სუფრაზეც კი მუდმივად ვგრძნობდით მათ მზრუნველობას. მე მანამ მეგონა, რომ დედაჩემს მხოლოდ ქათმის ფრთა, კისერი უყვარდა, სანამ თვითონ დედა არ გავხდი.

ასეთ ხალხს არ უწყრია გადარჩენა?!

მუდმივად სხვისთვის ფიქრსა და ჯაფაში დაღლილ ერს.

როგორ მენატრები

ულამაზესო ჩემო ქვეყანავ,
 რა ვქნა, რომ ასე მიყვარხარ ძლიერ
 მინდა ცოტა ხნით გადავივიწყო,
 მაგრამ სიყვარულს ვერაფრით ვძლიე.
 სულ მასსოვხარ და სულ მენატრები,
 საოცრება ხარ ნამძვლად დიდი,
 რაც წამოვედი და შენ დაგტოვე,
 დღე არ მქონია წყნარი და მშვიდი.
 აქ მე ყველაფერს - შენსას ვადარებ,
 სახლებს, ხეივანებს, სკვერებს თუ ქუჩას
 შენს სილამაზეს რა შეედრება...
 შენს მონატრებას ბოლო არ უჩანს.
 იქნებ ვერც გნახო, ვეღარ ვინილო
 შენი უსაზღვრო მშვენიერება,
 დაე, უფალმა შენ მოგანიჭოს
 უკვდავება და ბედნიერება.



პატარა ნერვი

ეს ნორჩი ნერვი ჩვენ ერთად დავრგეთ,
 მაგრამ არ ხარობს - დაჭკნა, ჩამოხმა...
 ეს იმიტომ, რომ ჩვენი მდინარის
 შენ გაღმა ხარ და მე კი - გამოღმა.
 ნერვი ხომ ჩვენი იმედით არის,
 და მას სიცოცხლე ძლიერ სწყურია,
 თუკი პატარა არ გაიზარდა
 ეს ხომ სამყაროს დასასრულია.
 კაცის ძალა რომ ერთობაშია,
 ჩვენ ბავშვობაში ყველამ ვისწავლეთ.
 ცხოვრებაში კი მას არ ვიყენებთ,
 სხვებსაც ვაწვალებთ,
 თავსაც ვიწვალებთ.
 ჩვენ ერთად შევძლებთ მის გადარჩენას,
 ორთავ გავუყოფთ გულებს სითბოს,
 მას ჩვენ ორთავე ერთად ვჭირდებით,
 ორთავეს ერთად გვეძებს და გვიხმობს.
 და რომ პატარა გადავარჩინოთ,
 ერთად ყოფნა რომ შევძლოთ,
 ვისწავლოთ,
 ნება მომეცი ხელი მოგხვიო
 და ჩემს ნაპირზე გადმოვიყვანო.

მზისკენ გაფრენა

ეს ბილიკები მზისკენ მიდიან
 შენ მას მიყვები სულ მარტოდ-მარტო
 ის ხომ საშიში ბეწვის ხილია
 შენ კი მის გაულას ესწრაფვი, ნატრობ.
 თავად მზის სხივი მისკენ მიიღტვი
 რომ მზეს შეერწყმე მისი ნაწილი
 ბედნიერების წამსაც მიითვლი
 რომ დაიპყარი შორი მანძილი.
 დედამიწაზე მზე კვლავ იბრწყინებს
 მუქთამფენი და სხივით აღესილი
 ის არ ჩაქრება, არ განელდება
 რადგან შენა ხარ მისი ნაწილი.

შენთვის...

სულ ყვავილებით მოვრთავ ჩემს ბინას,
 რომ სილამაზე სუფევდეს ირგვლივ,
 დილით, მზე როცა შემოანათებს,
 მას ატყვევებდეს ყვავილთა ხიბლი.
 მზის სითბოსა და ყვავილთ მორევში,
 ჩაიძირება მშვენიერა შენი...
 ო, როგორ ნახად ერწყმით ერთმანეთს...

თანგული ზამბახიძე

გაითხველის კუთხა

ერთმანეთს როგორ საოცრად შვენიით...
 მე კი სიხარულს ველარ დაფარავ,
 არ დამეტევა გული საგულეს...
 გულშიც, სახლშიც და
 ჩემს სამყაროშიც,
 ბედნიერება დაისადგურებს.

ის შორეული მოგონებები

გაცამტვერდა და სულ მთლად მოისრა,
 როგორ გადარჩა ეს მოგონება,
 ვით არ წალეკა ტალღამ დროისა...
 შენა ხარ ჩემთვის დაუვიწყარი,
 შენ ვერ გივიწყებ ძვირფასო დედავ,
 და მენატრები, ო, ისე ძლიერ,
 სიზმარშიაც და ცხადშიაც გხედავ.
 ხან ბაღში გხედავ სულ მოფუსფუსეს,
 ხან ჩაის კრეფ და მზეში იწვები,
 ხან - კი მარტოცა გასცქერი შარას
 შვილებს მოელი თავდავიწყებით.
 სადღაც მიდიხარ, ისევ მოდიხარ,
 სიკეთეს თესავ და სოფელს შვენი...
 შენზე ფიქრებს და შენს წარმოსახვას,
 მსურს შემოველოს სიცოცხლე ჩემი!

მანჭეტენი


შენობები მაღლა ცამდე აზიდული,
 აზიდული შენობები მაღალ ცაზე,
 მანჭეტენი, მანჭეტენი ნიუ იორკის
 სავიზიტო ბარათი და სილამაზე.
 რეკლამების სიუხვე და ფერთა გამა,
 სილამაზე, სიკაშკაშე, ელვარება.
 ყველაფერი, ყველა ერთად აღებული
 სიხარული, სიყვარული, მღელვარება.
 გართობები, მუსიკა და სიმღერები
 შერწყმულია ერთმანეთში მაღალ ხმაზე.
 მანჭეტენი, მანჭეტენი ნიუ იორკის
 სავიზიტო ბარათი და სილამაზე.

მანჩანვლით ინგლისურს

ნებისმიერი
 ასაკისა და დონის
 მსურველებს.
 სურვილის
 მიხედვით
 პრაქტიკის
 ბაკვეთილები
 ჩატარდება
 ტელეფონის
 და სკაიპის
 საშუალებით

English Learning School

ლელა
 347-924-4027
 212-564-4148



თარაზულად:

1. პოეტური უშფოთველი ცხოვრება ბუნების წიაღში; 2. ურჩხული (წიგნი); 3. ლიტერატურული ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელიც დაწერილია საუბრის სახით; 4. ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება; 5. რუსი მწერალი; 6. დიონისეს მხლებელი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ქართველი მწერალი, დრამატურგი, ავტორი პიესებისა „მეტეხის ჩრდილში“ და „იეთიმ გურჯი“; 8. „მას ტანსა კაბა ეძოსა, გარეთმა ვეფხის...“; 9. არჩიბალდ მეკემის სატრფო („გველის პერანგი“); 10. ფლობერის რომანი; 11. ნინოშვილი „ჩვენი ქვეყნის...“; 12. რეზო ჭვიშვილი „ჩემი მეგობარი...“; 13. ხელოვნური ენა; 14. ჰამლეტის მეგობარი; 15. დათა თუთაშვიას საყვარელი; 16. ლიტერატორი, რომელიც რაიმე ნაწარმოების, ვისიმე შემოქმედების კრიტიკას ეწევა; 17. ჰომეროსის პოემა; 18. ბერნარდ შოუ „... და კლეოპატრა“; 19. მთავარი პერსონაჟი გრინის ნაწარმოებიდან „აღლისფერი იაღქნები“; 20. ვ. გუნიას პიესა „და-...“; 21. მეფე-ლირის ერთ-ერთი ქალიშვილი; 22. მშვენიერი ელენეს და დიოსკურების დედა;

23. ზოლას რომანი; 24. პროდუქტი, რომელსაც მაგდანა ყიდდა; 25. IV-V სს ბერძენი პოეტი, ... პანაპოლისელი;

შვებულად:

7. ლექსი „... მუხასა“; 21. ქართველი მწერალი ... ჩაჩანიძე („გზა ნავსადგურისკენ მიდის“, „ლურჯი წიგნი“); 26. ზოლა „ტერეზა...“; 27. რა გვარია შუმანიკი?; 28. ლიტერატურული ნაწარმოების დიდი ქვეგანაყოფი; 29. მამა გორიოს ერთ-ერთი ქალიშვილი; 30. ერთ-ერთი „ბრემნელი მუსიკოსი“; 31. ჯუშუბერის გამზრდელი „სიბრძნე სიცრუისადა“; 32. კონტინენტი, სადაც გაემგზავრა აიბოლიტი მხეცების

სამკურნალოდ; 33. ჯუანშერის დედა („თეთრი კურდღელი“); 34. ასე გამოითქმის ბერძნულად სიტყვა „ვწერ“; 35. ჩეხოვი „...ვანია“; 36. ნუნუს სატრფო („მამის მკვლელები“); 37. უნგრელი მწერალი; 38. გოდუნოვის სახელი; 39. ნაბუკოვის რომანი; 40. ლეონიძე „ჩირიკი და...“; 41. ნინოშვილის მითოსრობა; 42. „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები! მე შენში მიყვარს ... ჩემი“ (გალაკტი); 43. ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა „წყურვილი სიცოცხლისა“; 44. სულელის ამყოლი თვითონაც... (ანდ); 45. იაპონელი მწერალი; 46. დიუმა „დედოფალი...“

წინა ნომრის ლიტვორდის პასუხები

თარაზულად: 1. დორიან; 2. დეა; 3. ადელა; 4. მთას; 5. აბაშიძე; 6. ნეკრასოვი; 7. ბალზაკი; 8. ბიონი; 9. ფანჯიკიძე; 10. ნიფნიფი; 11. კასია; 12. მაიკო; 13. დეფო; 14. მუმუ; 15. იარაღი; 16. დადიანი; 17. ლალიონი; 18. ბონასიე; 19. ეპითეტი; 20. დანია; 21. ეკლაში; 22. აპი; 23. ანაბაზისი.

შვებულად: 24. ჯორჯაძე; 25. პროზა; 26. ზაქარა; 27. გავატინი; 28. გრიგორი; 29. ალან; 30. ხალვაში; 31. თვალი; 32. ლეო; 33. დიდი; 34. ფინეზი; 35. იგორის; 36. მერიძე; 37. ბუხაიძე; 38. ნონეშვილი; 39. აროსტი; 40. რას; 41. ფაუსტი; 42. მალრაძე; 43. ნავოი; 44. დანაე; 45. ბიძინა; 46. ილია; 47. გზა.

ქობები ემბრაციაში



პატარა **დაჩის** დაბადებას ვულოცავთ ირინა მშვენიერაძესა და გიორგი ჩანტლაძეს.



პატარა **ბიორბი** კაკაურიძის დაბადებას ვულოცავთ დიმიტრი კაკაურიძესა და თეო გობეჩიას.



პატარა **ზოსიმე** ადვიშვილი **შვისის** დაბადებას ვულოცავთ ეკა ადვიშვილსა და აკივა ვეისს.

ვუსურვებთ ბედნიერ და ლად ბავშვობას, სასახელო ქართველ ვაჟკაცებად გაზრდას

დაბადების დღეს ვულოცავთ 64-წლიანი შუალედით ერთ დღეს დაბადებულ ბაბუა და შვილიშვილს - ჩვენი ემიგრაციისათვის საყვარელ კაცს, ანსამბლ „ფესვების“ ცნობილ მედლოეს, ბატონ **ნოდარ ობოლაშვილს** და მის პატარა სენია შვილიშვილს - ნოდარი ობოლაშვილს. პატარას ვუსურვებთ ამაყად ვგლოს და გაეგრძელებინოს ბაბუის დიდი სახელი და კაცობა, ბაბუას კი დიდხანს ტკბობას ვუსურვებთ მისი მონაგარით.



მეგობრები ჯვრისწერას ვულოცავთ ჩვენს ძვირფასს მეგობრებს **ბეჭა გუბელაძესა** და **თიკო შალაშვირძის**, ვუსურვებთ სიტკბოს, ოჯახურ ბედნიერებას და ულევ სიყვარულს.

2013

January

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
30	31	1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31	1	2
3	4	5	6	7	8	9

February

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
27	28	29	30	31	1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	1	2
3	4	5	6	7	8	9

March

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
24	25	26	27	28	1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31	1	2	3	4	5	6

April

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
31	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11

May

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
28	29	30	1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	1
2	3	4	5	6	7	8

June

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
26	27	28	29	30	31	1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	1	2	3	4	5	6

July

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
30	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31	1	2	3
4	5	6	7	8	9	10

August

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
28	29	30	31	1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31
1	2	3	4	5	6	7

September

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12

October

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
29	30	1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31	1	2
3	4	5	6	7	8	9

November

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
27	28	29	30	31	1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
1	2	3	4	5	6	7

December

Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31	1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11

პანაში

გილოცავთ ახალ წელს

**ავსტრალიაში:
ავსტრალიაში:
საქაერო და საზღვაო
სწრაფი გზები**

607-00630:

164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700

Alt: 347-500-5037

607-36630:

123 Pennsylvania Ave, # 3
Kearny NJ 07032

Tel: 201-333-5555

ტეკსასში:

9333 Reading Road

Reading, OH 45215

Tel: 513-322-5102

პენსილვანიაში:

1243 Street Road

Southampton, PA 18966

215-710-0322

საქართველოში:

მთავარი ოფისი:

წინამძღვრიშვილის 158.

ტელ. (32) 2-506833

საბურთალო: აკურის ქუჩა 13

გლდანის ვიქუას 10-1

რუსთაველი: მეგობრობის ქ.2

ქუთაისში: აღმაშენებლის 136

ბათუმში: საბაგოს ქ. 4

ზესტაფონში: სტაროსელკის 25

ზუგდიდში: კოსტავას ქ. 2

გორში: ცხინვალის გზა 8

თელავში: ბახტრიონის ქ. 3

მარნეულში: რუსთაველის ქ.1